აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის
არქეოლოგიის ინსტიტუტი

ევროპის უნივერსიტეტის
ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი

არქეოლოგია

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

№2

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის
არქეოლოგიის ინსტიტუტი

ევროპის უნივერსიტეტის
ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

ARCHAEOLOGIA

№2

AUREUS
გამომცემლობა AUREUS

ISSN 2587-5175

თბილისი
2019

მთავარი რედაქტორი: **პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, **პროფ. გურამ ლორთქიფანიძე**
2. **პროფ. გურამ გრიგოლია**
3. **პროფ. გურამ ყიფიანი**
4. **პროფ. ვალერი ვაშაკიძე**
5. **პროფ. ვახტანგ ლიჩელი**
6. **პროფ. გივი ინანიშვილი**
7. ისტორიის დოქტორი **თემურ ბიბილური**
8. არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი **მადონა მშვილდაძე** (პასუხისმგებელი რედაქტორი)
9. **ლევან ხეცურიანი**
10. **გოჩა გერაძე**

© 2019. აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი

© 2019. ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი

© 2019. გამომცემლობა AUREUS

მხატვარ-დიზაინერი: გურამ ყიფიანი

საბა ნონეშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ახრახაძე

დაიბეჭდა შპს-ში „ბეჭდვის სამყარო“

ელ-ფოსტა: info@wop.ge

გურამ ლორთქიფანიძე - 80

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

წევრ-კორესპონდენტს

გურამ ლორთქიფანიძეს

80

დიდად პატივცემულო ბატონო გურამ,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება გულითადად გილოცავთ თქვენ, თვალსაჩინო ქართველ მეცნიერ-არქეოლოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სახელოვან მამულიშვილს, დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

დიდია თქვენი დამსახურება სამამულო საისტორიო მეცნიერების, კერძოდ საქართველოს არქეოლოგიის, განვითარების საქმეში.

თქვენ ბრძანდებით 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 12 მონოგრაფიის ავტორი. ქართული არქეოლოგიის დიდი შენაძენია თქვენი მონოგრაფიები: „ძველი კოლხეთის ისტორიისათვის“ (გაანალიზებულია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის უახლესი აღმოჩენები), ,,კოლხეთი ძვ. წ. VI-II სს.“ (დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა რუსეთსა და უკრაინაში), „ფულადი მიმოქცევა ცენტრალურ კოლხეთში ძვ. წ. V-I სს.“, „ბიჭვინთის ნაქალაქარი“ (ახლებურადაა გაშუქებული ამ უძველესი ნაქალაქარისა და დასავლეთ საქართველოს დიდი საეკლესიო ცენტრის რომაული კასტელუმისა და მისი კანაბეს სამოქალაქო დასახლების ისტორია), ნარკვევი „ქართული ანტიკური ხანის ისტორიოგრაფია“, „ახალი საარქივო მასალები ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე“, „კოლხური თეთრი. კულტუროლოგიური ასპექტები“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

თქვენი ინიციატივით თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნდა კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა. ამით საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას. ახალგაზრდა თანამშრომლებთან და მოწაფეებთან ერთად ორიგინალური საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები შექმენით ქართული კულტურის ისტორიასა და კულტუროლოგიაში, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა: „ქართული კულტურის ისტორია“ (სახელმძღვანელომ 1985 წელს საუნივერსიტეტო პრემია მოიპოვა), „კულტუროლოგია“, ,,„კულტუროლოგია ყმაწვილთათვის“, სამი ტომი და სხვ. დაწყებული გაქვთ მუშაობა „ქართული კულტურის ისტორიის“ ახალ გამოცემაზე.

თქვენი ხელმძღვანელობით წლების მანძილზე წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, სადაც თქვენი ძალისხმევით აიგო თსუ-ს სასწავლო ბაზა. აქტიურად მონაწილეობდით სიმფეროპოლის, დონუზღავის, წოვის, ვანის, ჭალადიდის, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში.

ბატონო გურამ, თქვენ ბრძანდებით მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო (ინგლისი, გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუსეთი, უკრაინა) ფორუმის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი.

დიდია თქვენი დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის, სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. ამისი ნათელი დადასტურებაა თქვენი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტში, სადაც დღემდე მუშაობთ ემერიტუს პროფესორად და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელად. თქვენი აღზრდილია მთელი პლეადა ახალგაზრდა მეცნიერებისა, რომლებიც წარმატებით იღვწიან ქართული არქეოლოგიის სასიკეთოდ.

თქვენ ბრძანდებით საქართველოში და საზღვარგარეთ გამოსაცემი არქეოლოგიური ჟურნალების, პოლონური ქართველოლოგიურ ჟურნალ „პრო-გეორგიას“ სარედაქციო კოლეგიების წევრი, ოდესის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და იუდაიკის მასწავლებელთა მოსკოვის საერთაშორისო საზოგადოება „სეფერის“ აკადემიური საბჭოს წევრი.

სათანადოდ დაფასდა თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური, საზოგადოებრივი საქმიანობა: დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენოთ, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და მიხეილ ლერმონტოვის მედლებით; 2018 წელს მოგენიჭათ ქალაქ ბათუმის საპატიო მოქალაქისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

ძვირფასო ბატონო გურამ, სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ახალ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს, ხალხისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე

ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

2018 წლის 14 სექტემბერი

მეცნიერისა და მამულიშვილის გზა

არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშივე ეზიარებიან უკვდავებას, განუზომელ სიყვარულსა და გულწრფელ პატივისცემას. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე. მან ისე იცხოვრა და იღვაწა, რომ კარგი კაცის სახელით ცხოვრობს ამ სამყაროში.

აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე გახლავთ ქართული არქეოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი. მან სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რთული გზა განვლო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიამდე. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში.

გურამ ლორთქიფანიძე იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ცხოვრების ნახევარზე მეტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეში გაატარა. იოლი არ არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის სახელი ატარო და გახდე ათასობით სტუდენტის საყვარელი და სათაყვანებელი ლექტორი; მაღალი დონის მეცნიერი-მკლევარი; სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მუდამ მშფოთვარე, შემართებული და სპეტაკი პიროვნება, სიტყვისა და საქმის ერთგული კაცი. იგი გახლავთ მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი, არაჩვეულებრივი პედაგოგი, ქართველი არქეოლოგების შესანიშნავი პლეადის აღმზრდელი, რასაც რამდენიმე ათეული წელია ემსახურება და, მიუხედავად ასაკისა, დღესაც ჩვეული ენერგიითა და წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ბატონი გურამი მისაბაძია ახალგაზრდა თაობისათვის. მას აქვს უნარი - დააჯეროს სტუდენტი, რომ შენი დარგი, შენი სპეციალობა ყველაზე საინტერესოა მათ შორის, რისი სწავლაც შესაძლებელია; რომ ღირს უარი თქვა ათას მომხიბლავ წინადადებაზე და ამ პრაგმატულ ეპოქაში შენს დარგში შეყვარებულ რომანტიკოსად იქცე. მას აქვს უნარი, შთაგინერგოს მისწრაფება, გახდე ქართული კლასიკური არქეოლოგიის საამაყო სკოლის წევრი და, რაც მთავარია, დაგაჯეროს, რომ თუ მოინდომებ, შენც შეგიძლია შეიტანო შენი საგულისხმო წვლილი ამ ტრადიციის გაგრძელებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ - კორესპოდენტი გურამ ლოთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობს, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩენს ქართული მეცნიერების პრესტიჟს. მას ხშირად იწვევენ ლექციების წასაკითხად სხვადასხვა უნივერსიტეტები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოხსენებებით გამოდის ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში. მის მიერ 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტში ჩატარებულ საჯარო

ლექციას ,,საქართველოს არქეოლოგია“ დიდი რეზონანსი მოჰყვა. 2014 წელს რუსმა პროფესორმა, არქეოლოგმა ოლღა დაშევსკაიამ თავის მონოგრაფიაში: ,,Некрополь Беляуса“ სამადლობელი წერილი მიუძღვნა ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს, როგორც დიდ მეცნიერს, ყურადღებიან კოლეგას და კეთილშობილ ადამიანს. გურამ ლორთქიფანიძის ნაშრომები მუდამ იმსახურებს სპეციალისთა დიდ ყურადღებას. მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგები ასახულია სამეცნიერო პუბლიკაციებში, რომელთა რაოდენობა 250 აღწევს. მათ შორისაა 13 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 4 ბროშურა. მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. ის, როგორც წარმატებული მეცნიერი, შეყვანილია საქართველოს ბიოგრაფიულ ცნობარში ,,ვინ ვინ არის საქართველოში“. დაჯილდოებულია: ღორსების ორდენით (N01158), ექვთიმე თაიყაიშვილის მედლით (N001), მიხეილ ლერმონტოვის მედლით (N472), ივანე ჯავახიშვილის მედლით (N279).

გურამ ლორთქიფანიძე დაიბადა 1938 წლის 14 სექტემბერს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. დედა ოლღა ვახტანგიშვილი კბილის ექიმი გახლდათ, მამა ამბროსი ლორთქიფანიძე გრიგოლ ლორთქიფანიძის (დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრი, - რედ.) თანაშემწე იყო. ოჯახის დედაქალაქში გადმოსვლის შემდეგ, თბილისის 68-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. პროფესიის არჩევანი მშობლიური აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა განაპირობა, სადაც ბატონი გურამის ნათლია მუშაობდა და ჰქონდა შესაძლებლობა ექსპონატები დაეთვალიერებინა. ამასთანავე, მისი ბიძაშვილი ჯიმშერ ლორთქიფანიძე, რომელიც მოსკოვის დიპლომატიურ სამსახურში იყო, ბათუმში ჩამოსვლისას მათ ოჯახს სტუმრობდა და საღამოობით თურქეთის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე საუბრობდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა, საიდანაც, როგორც ნიჭიერი სტუდენტი, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ბაკურ ბაქრაძის რეკომენდაციით სასწავლებლად მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში გაიგზავნა.კონკურსის გავლის შემდეგ კი ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის განყოფილებაზე ჩაირიცხა. იმხანად საბჭოთა კავშირის მთავარ უნივერსიტეტში სწავლა ახალგაზრდისათვის, ერთის მხრივ, საშურ სტიმულად, ხოლო, მეორე მხრივ, დიდ პასუხისმგებლობად ითვლებოდა. მაშინ სსრკ ფარგლებს გარეთ გასვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიჩნეოდა ახალგაზრდობისათვის საკუთარი შესაძლებლობების, რესპუბლიკისა და საკუთარი ერის წარმოჩენის ერთ-ერთ უმთავრეს ასპარეზად. გურამ ლორთქიფანიძეს გაუმართლა, რადგან მან სტუდენტური წლები ისეთი ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით გაატარა, როგორებიც იყვნენ ვლადიმერ ბლავატსკი, არტემი არციხოვსკი და მრავალი სხვა. პირველ პედაგოგებს დღემდე მადლიერებით იხსენებს, მათ შორის განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს ბორის ნიკოლოზის ძე გრაკოვზე, რომელმაც არა მარტო არქეოლოგია, არამედ ერისკაცობაც ასწავლა. ,,ეს იყო უდიდესი პიროვნება, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, რომელმაც პატარა ბათუმელი ბიჭი მეგობრად გამიხადა და სახლშიც კი დავყავდი, რომ ესწავლებინა ჩემთვის“.

ქართველი სტუდენტის წარმატებები, როგორც ჩანს, იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მოსკოვში ჩასული ცნობილი ქართველოლოგი დევიდ ლანგი, მას ასევე როგორც საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეს, თავის წიგნს ამგვარი წარწერით უძღვნის: ,,დიდად პატივცემულ და საყვარელ მეგობარს გურამ ლორთქიფანიძეს ავტორისაგან, 16,VIII, 60, მოსკოვი". ბატონი გურამი განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეზე, აკადემიკოს ანდრია აფაქიძეზე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მისი მეცნიერად ჩამოყალიბების საქმეში. ,,ახალგაზრდა არქეოლოგებისადმი კეთილგანწყობის მაჩვენებელია პირადად ჩემი და ბატონ ანდრია აფაქიძის, ქართველი არქეოლოგების ნაცადი ხელმძღვანელის ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი. ,,1960 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტარდებოდა აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესი. საქართველო წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი დელეგაციით, რომელმაც მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული გამოფენა მოაწყო. მე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, დამხმარე მუშაკად ვიყავი გაფორმებული და საქართველოს სტენდს არ ვშორდებოდი. გაიგო რა, რომ არქეოლოგობას ვაპირებდი, აკად. გიორგი ჩიტაიამ მირჩია მიმემართა წერილით ბატონ ანდრია აფაქიძისათვის. ჭკუად ვიღე დიდი მეცნიერის რჩევა, გავბედე და ბატონ ანდრიას წერილით მივმართე. თქვენ წარმოიდგინეთ სასწაული, მოკლე ხანში მივიღე პასუხი და ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სამუშაოდ მიმიწვია. ამ ექსპედიციას, რომელსაც ბატონი ანდრო აფაქიძე ხელმძღვანელობდა, 1953 - 1974 წლებში უდიდესი როლი აქვს ნათამაშევი, მცხეთის შემდეგ ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის განვითარებაში. მის მიერ გამოვლენილი ძველი ბერძნული, რომაული წყაროების ციხე ქალაქი პიტიუნტ-პიტიუსი, ქართულ-აფხაზურ ,,ბიჭუინტა", ადრეული ქრისტიანობის ცენტრი, X-XI სს. კათედრალით, რომლის მომლოცველთა შორის დავით აღმაშენებელიც გახლდათ, მსოფლიო არქეოლოგიის ყურადღების ცენტრშია."

მოსკოვის უნივერსიტეტში გატარებულმა სტუდენტობის წლებმა გააფართოვა მომავალი არქეოლოგის თვალსაწიერი. პირველი საველე პრაქტიკა მან მიიღო რუსეთში - ყირიმში, შემდეგ ნოვგოროდში..... 1961 წელს გურამ ლორთქიფანიძე საქართველოში ბრუნდება. მუშაობას იწყებს საქართვერლოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, როგორც არქეოლოგის კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელი. ძალიან მალე აკადემიკოსმა ანდრო აფაქიძემ შრმისმოყვარე, ნიჭიერ ახალგაზრდა არქეოლოგს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა დააკისრა, რაც დიდი პატივი იყო ახალგაზრდა მეცნიერისთვის და რასაც დროთა განმავლობაში ღირსეულად გაართვა თავი გურამ ლორთქიფანიძემ.

1965 წელს იგი ვ. ბლავატსკის ხელმძღვანელობით იცავს საკანდიდატო დისერტაციას ,,კოლხეთი ძვ. წ. II-I საუკუნეებში", რომელიც მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 1970 წელს აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის რედაქტორობით, 1965 წელსვე გურამ ლორთქიფანიძეს ირჩევენ ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანმშრომლად, რაც ახალგაზრდა მეცნიერის აღიარებაზე მიუთითებს. არქეოლო-

გიური მასალის დეტალური შესწავლის საფუძველზე კოლხეთის ისტორიის აღდგენის უაღრესად წარმატებულ ცდას წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაცია: ,, კოლხეთი ძვ. წ. VI-II საუკუნეებში“, რომლის დაცვა შედგა 1977 წელს. ნაშრომი გამოქვეყნდა 1978 წელს. სადოქტორო დისერტაციის დაცვისთანავე გურამ ლორთქიფანიძის ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მას, როგორც ცნობილ მეცნიერს, უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე ირჩევენ. ასე გახდა უნივერსიტეტელი და დღემდე უნივერსიტეტელად რჩება.

თვალსაჩინოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური, სამეცნიერო და ორგანიზატორული მუშაობის მასშტაბები. მისი ინიციატივით დაფუძნდა ისტორიის ფაკულტეტზე კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, რომელსაც იგი 1985-2005 წლებში ხელმძღვანელობდა. ამით, ფაქტობრივად, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას. მან შეძლო შედარებით მოკლე დროში მოემზადებინა და ასპარეზზე გამოეყვანა ამ სფეროში ახალგაზრდა საპეციალისტთა მთელი თაობა, რომელთა თანამშრო-მლობითაც შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო: ქართული კულტურის ისტორია (1997) და კულტუროლოგია (2003). მისმა მოწაფეებმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მისი ღვაწლის აღიარების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ გურამ ლოთქიფანიძის არჩევა: იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის - ,,სეფერის“ - აკადემიური საბჭოს (მოსკოვი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის (MAAH) ჟიურის (მოსკოვი), ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალის ,,Pro Georgia” სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ ,,მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. წლებია იგი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალის ,,ჩვენი მეცნიერება“, სარედაქციო კოლეგიის, სამეცნიერო შრომების კრებულის, „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული ,,არქეოლოგიური კომისიის'' წევრი, თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი (2008 წლიდან-დღემდე); თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990-2004) იგი იყო თსუ-ში უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი, 2002-2004 წლებში საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთი-ერთობების უნივერსიტეტის რექტორი. ამჟამად ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავმჯდომარეა. აკად. ვ. პარკაძის საქმის გამგრძელებელი. დიდი ინტერესით სარგებლობს მისი სალექციო კურსები: ბიბლიური არქეოლოგია, კლასიკური არქეოლოგია, კულტურა - ისტორიის შესწავლის ობიექტი.

დიდია მისი ღვაწლი ახალგაზრდა არქეოლოგიური კადრების აღზრდაში, რასაც თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია ემსახურება და, მიუხედავად ასაკისა, დღესაც

ჩვეული ენერგიით წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ბატონი გურამი მოუწოდებს ახალგაზრდობას, რომ ისტორიკოსობა პოპულარული პროფესიაა, უხსნის მის ხიბლსა და სიკეთეს, რომ საქართველოს ისტორიის სამსახური დიდი პატივია. ბატონი გურამი მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის, სტუდენტები და კოლეგები მისგან ყოველთვის გრძნობენ ფაქიზ, გამორჩეულ ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას.

ბატონი გურამის პირადი თვისებებიდან განსაკუთრებით ხაზგასასმელია თანადროულობის მძაფრი შეგრძნება და მუდმივი სწრაფვა სიახლისაკენ. გურამ ლორთქიფანიძის ცხოვრების მიზანია კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, მისი წარსულის ობიექტური წარმოჩენა, ეროვნული ინეტერესების დაცვა, შრომა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ზრუნვა შვილიშვილების ღირსეულ მომავალზე. სურს ობიექტური იყოს წარსულისა და თანამედროვეობის შეფასებაში. ამავე დროს იგი არის უნიკალური ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება, დახვეწილი ინტელექტით. ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ხვდა წილად, აღნიშნავს, რომ მან სიღრმისეულად იცის ქართველი ერის კულტურა, არის ხელოვნების მრავალი დარგის – მუსიკის, ფერწერის, პოეზიის, ლიტერატურის მცოდნე და თაყვანისმცემელი.

აკადემიკოსმა გურამ ლორთქიფანიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობით და პადაგოგიური მოღვაწეობით გამორჩეული წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. ამას ადასტურებს გურამ ლორთქიფაინიძის მიერ განვლილი გზის ობიექტური ანალიზი. გურამ ლორთქიფანიძის წარმატებული კარიერის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მის მეუღლეს, მისივე პროფესიის მომხიბლავ ქალბატონს, ნინო კიღურაძეს. ოჯახური სითბო, სანიმუშო შვილისა და შვილიშვილების აღზრდა, საოჯახო პრობლემებისაგან გათავისუფლება აძლევდა ბატონ გურამს საშუალებას, მეტი დრო გამოეყო თავისი პროფესიული საქმიანობისათვის. თითქოს ამაოდ არ ჩაუვლია წლებს, მაგრამ მაინც, დარდობს, რომ მისი ქალიშვილი და შვილიშვილები არ გაჰყვნენ მის პროფესიას, მაგრამ საამაყო აქვს, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი ქეთევანი წარმატებული ორიენტალისტია, შვილიშვილები თამაზ შალამბერიძე და ბაბუის მოსახელე გურამ შალამბერიძე იურისტები არიან.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ბატონ გურამს ჯერ კიდევ აქვს თავისი სათქმელი და მომავალშიც არაერთ სასიამოვნო სურპრიზს შემოგვთავაზებს ახალი სახელმძღვანელოებისა თუ ორიგინალური ნაშრომების სახით.

,,80“ წლის იუბილარ ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს ვუსურვებთ: დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას,ვიმედოვნებთ, რომ კიდევ არაერთ თაობას გამოადგება მისი უბერებელი ცოდნა-გამოცდილება და მაღალი ზნეობა იმის შუქურად, თუ როგორი უნდა იყოს სამაგალითო მოქალაქე და მეცნიერი.

ელენე გეგეშიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, ემერიტუს პროფესორის გურამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია

1. დიოსკურია-სებასტოპოლისის სახელწოდების შესახებ. მოსკოვის უნივერსიტეტის არქეოლოგიური კრებული (რუსულ ენაზე), 1961 წ.
2. კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. ახალგაზრდა მენც. XIII კონფერენცია, ისტორიის ინსტიტუტი, თბ., 1962.
3. ქ. დიოსკურიის მონეტების მოტივების შესახებ. ,,საბჭოთა ხელოვნება" N12, თბ., 1962.
4. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის I უბნის გათხრებისა და სადაზვერვო სამუშაოების ანგარიში, 1961 წელი. კრ.: ,,საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები", თბ., 1962.
5. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1962 წ. სადაზვერვო თხრილსა და I უბანზე ჩატარებული მუშაობის ანგარიში. კრებ.: ,,საქართველოში 1962 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები". თბ., 1963.
6. ამიერკავკასიის ქვევრსამარხები. სტუდენტთა შრომების კრებული, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რუსულ ენაზე), მოსკოვი 1963.
7. ანტიკური ხანის საწონები ვანიდან, ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა XIV კონფერენცია, თბ., 1964.
8. ლეგენდარული კოლხეთის უძველესი ქალაქი; ჟურნ.: ,,ცისკარი", N4; თბ., 1964.
9. ძვ. წ. II-I სს კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხები. ჟურნ.: ,,მაცნე", N2, თბ., 1965.
10. კოლხური საწონი სისტემის შესახებ; კრ.: ,,ანტიკური სამყაროს კულტურა" (რუსულ ენაზე), მოსკოვი 1966.
11. კოლხეთი ძვ.წ. II-I სს. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1966.
12. მეცხოველეობა და სარეწები ანტიკურ კოლხეთში. ჟურნ.: ,,სოვეტსკაია არხეოლოგია" (რუსულ ენაზე) N1, მოსკოვი, 1967.
13. ანტიკური მონეტები ვანის ნაქალაქარიდან. ჟურნ.: ,,ცისკარი" N8, თბ., 1967.
14. ძვ.წ. V ს. კოლხეთის ისტორიიდან/ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით. ისტორიის ინსტიტუტის ახალგ. მეცნიერთა და ასპირანტთა კონფერენცია, თბ., 1967.
15. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, ისტ. ინსტიტუტის XVI სამეცნ. სესია, მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური ძიებებისადმი, თბ., 1967.
16. ანტიკური კოლხეთის რელიგიისა და კულტურის ზოგიერთი საკითხი. კრ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. საკითხები (რუსულ ენაზე), თბ., 1967.
17. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის მუშაობის ანგარიში. ისტ. ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1968 წ. საკ. არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი; თბ., 1969.

18. არქეოლოგიური გამოკვლევები დაფნარში /დას. საქართველო/. კრ.: ,,არქეოლოგიური აღმოჩენები", მოსკოვი, 1969.
19. ურნალი ვანის ნაქალაქარიდან, ჟურნ.: ,,სოვეტსკაია არხეოლოგია" (რუსულ ენაზე). N4, მოსკოვი, 1969.
20. ძველი კოლხეთის ისტორიისათვის. მონოგრაფია. თბ., 1970.
21. დაფნარის არქეოლოგიური გათხრები. კრ.: ,,არქეოლოგიური აღმოჩენები", მოსკოვი, 1970.
22. დაფნარის ნასოფლარის შესწავლის შედეგები. კრ.: ,,არქეოლოგიური აღმოჩენები", მოსკოვი, 1972.
23. დაფნარში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. კრ.: ,,არქეოლოგიური კვლევა - ძიება საქართველოში 1971წ.", თბ., 1972.
24. დას. საქართველოს საძიებო ექსპედიციის მუშაობის ძირითადი შედეგები. კრ.: ,,მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიაში", ტ. V, თბ., 1972.
25. ვანის ნაქალაქარის I უბანზე 1961-1963 წწ. ჩატრებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. კრ.: ,,ვანი" I; თბ., 1972.
26. ვანის ნაქალაქარის და კოლხეთის სამხედრო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი. კრ.: ,,ვანის ექსპედიციის 25 წელი", თბ., 1973.
27. კოლხური რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღის ქიმიურ-ტექნიკური გამოკვლევების შედგები, კრებ.: ,,საისტორიო მოამბე" ტ. VI; თბ., 1973.
28. დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლთა შესწავლის ისტორიიდან. ჟურნ.: ,,ცისკარი" N5; თბ., 1974.
29. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები 1973 წ., კრებ.: ,,არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში 1973 წ." თბ., 1974.
30. ვანის არქეოლოგიური მუშაობის ძირითადი შედეგები 1973 წ. კრებ.: ,,არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში 1973 წ." თბ., 1974.
31. კოლხური პითოსი. კრებ.: ,,სამხრეთ დას. საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები" ტ. VI; თბ., 1974.
32. ძველი კოლხეთი ძვ.წ. VI-IIსს. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1975.
33. საბრძოლო და სამეურნეო იარაღი ვანის ნაქალაქარიდან. კრებ.: ,,ვანი" II, თბ., 1976.
34. 1970-1971 წწ-ში ვანში ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. კრებ.: ,,ვანი" II, თბ., 1976.
35. ვანის ნაქალაქარის საკურთხევლები. კრ. ,,ანტიკური სამყაროს კულტურა" მოსკოვი, 1977.
36. ფულის მონეტამდელი ფორმები კოლხეთში. კრ., ,,ნუმიზმატიკური კრებული" თბ., 1977.
37. მონეტები ვანიდან. კრ.: ,,ვანი" III; თბ., 1977.
38. ბიჭვინთის ნაქალაქარი. კრ.: ,,ძეგლის მეგობარი" N46 თბ., 1977.

39. ივ. ჯავახიშვილის ბიბლიოგრაფიის უცნობი ფურცლები. თსუ შრომები, ისტ. სერია N184, თბ., 1977.
40. ვანის ნაქალაქარის თავდაცვითი ნაგებობანი. თსუ შრომები, არქეოლოგიის სერია N188, თბ., 1977.
41. გათხრები ბიჭვინთაში 1977 წლის არქეოლოგიური აღმოჩენები. მოსკოვი, 1978.
42. კოლხეთის სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან. თსუ შრომები, ისტორიის სერია N205, თბ., 1979.
43. დაფნარის ნასოფლარი და სამაროვანი /ძვ. კოლხეთის სასოფლო დასახლებათა პრობლემისათვის/; ჟურნ.: ,,არქეოლოგიის ინსტიტუტის მოკლე ცნობები" N151, მოსკოვი , 1977.
44. კოლხეთი ძვ.წ. VI-II სს. მონოგრაფია; თბ., 1978.
45. კოლხეთ-საბერძნეთის ურთიერთობის ხასიათის შესახებ, ძვ.წ. VI-IV სს. კრ.: ,,ბერძნული კოლონიზაციის საკითხები", თბ., 1979.
46. ანტიკური მონეტები ვანიდან; კრ.: ,,ანტიკური კულტურის პრობლემები" ერევანი, 1979.
47. პიტიუნტის არქეოლოგიური გათხრები. კრ.: ,,საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1975 წ.", თბ., 1979.
48. ელინისტური მონეტები ვანიდან. ჟურნ.: ,,ნუმიზმატიკური მატიანე" (ინგლისურ ენაზე), ოქსფორდი 1979.
49. ბიჭვინტა-პიტიუნტი გვიანანტიკურ ხანაში, ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. ჟურნ.: ,,გეორგიკა" (გერმანულ ენაზე) გერმანია, 1980.
50. ბიჭვინთის ნაქალაქარის XXII თხრილის შესწავლის შედგები. კრ.: ,,არქეოლოგიური კვლევითი ძიება საქართველოში 1978 წ." თბ., 1981.
51. ბერძნულ-კოლხური ურთიერთობანი ძვ.წ. VI-IV სს. ჟურნ.: ,,ვესტნიკ დრევნეი ისტორიი'' N2; (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1982.
52. ანტიკური ხანის ქართული კულტურის ისტორია /იდეოლოგია, რწმენა-წარმოადგენები/. შ. მესხიას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1983.
53. ფულადი მიმოქცევა ცენტრალურ კოლხეთში ძვ.წ. V-I სს; მონოგრაფია. თბ., 1983.
54. გათხრები ბიჭვინთის სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე. კრ.: ,,არქეო-ლოგიური აღმოჩენები აფხაზეთში", თბ., 1983.
55. გამოკვლევები ბიჭვინთის ნაქალაქარზე; კრ.: ,,არქეოლოგიური აღმოჩენები'' (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1985.
56. საქართველო და მითრიდატე VI. კრ.: ,,შავიზღვისპირეთი ელინისტურ ეპოქაში" თბ., 1985.
57. ბიჭვინთის ნეკროპოლის გათხრა. კრ.: ,,არქეოლოგიური აღმოჩენები 1984", (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1986.
58. ანტიკური ხანის ქართული კულტურის ისტორიის ზოგიერთი პრობლემები. კრ.: ,,ანტიკური სამყაროს კულტურა", (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1986.

59. პიტიუნტი და ,,პონტოს ლიმესი”. XIII ლიმეს კონგრესის მასალები, (გერმანულ ენაზე). ვენა, 1986.
60. XV ლეგიონის ტვიფრიანი აგურები ბიჭვინთიდან. ჟურნ.: ,,ძველი ისტორიის მოამბე” N2, (რუსულ ენაზე) მოსკოვი, 1987.
61. დვრიტა. ჟურნ.: ,,სკოლა და ცხოვრება” N1, თბ., 1988.
62. ქართული კულტურის ისტორია, პროგრამა თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თსუ გამომცემლობა, 1988.
63. ადრექრისტიანული სტელა ბიჭვინთის ნაქალაქარიდან; ჟურნ.: ,,ძველი ისტორიის მოამბე” N3; თბ., 1990.
64. არქეოლოგიური კვლევა-ძიება პიტიუსში; roman fronties studies, 1989; Exceter 1991
65. საბრძოლო ეტლის მოდელი კოლხეთიდან; არქეოლოგიური კრებული I; თსუ გამომცემლობა, 1991.
66. ბიჭვინთის ნაქალაქარი; მონოგრაფია თბ., 1991.
67. სკვითური ქანდაკება აღმოსავლეთ საქართველოდან; საისტორიო არქეოლოგიური ალმანახი (რუსულ ენაზე), მოსკოვი 1995.
68. ნუმიზმატიკური მასალები პიტიუნტიდან ძვ.წ. II. Aახ.წ. V სს.; ჟურნ. “გეორგიკა” 318, იენა, 1995.
69. არქეოლოგიური გათხრები პიტიუნტში (პიცუნდა-ბიჭვინთა). საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, იენა, 1995.
70. რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური ს. მოედნიდან (გურია). კრ.: ,,ქართული კულტურის ისტორიის საკითხები” I, თბ., 1995.
71. Скифское изваяние из Восточной Грузии. Историко-археологический альманах, I. М. 1995 с. 99-101 .
72. Археологические раскопки в Пицунде. Полевые археологические исследования в 1987 г., Тб. 1995, с. 89-93.
73. Das numismatiche Material von Pitiunt; Goergica N18, 1995, pp.32-38, tafel 3-7.
74. Forzchungen in Pitious Pitzunda Bitschwinta. იენა-თბილისი, სამეცნიერო შრომების კრებული /გერმანულ ენაზე/. Iena, 1995, pp.306-310.
75. Деталь балисты из Пицундского голодища. აკად. მიხაილოვისადმი მიძღვნილი სამუშაო შრომების კრებული, София, 1995, с. 273-277.
76. ი. ჭავჭავაძე და ქართული კულტურის ისტორიის საკითხები. კრ.: ,,კულტურის ისტორიის საკითხები” II, თბ., 1996.
77. ქართული კულტურის ისტორია. სახელმძღვანელო, თსუ გამომცემლობა, 1997.
78. საბრძოლო ეტლები საქართველოში. ჟურნ.: ,,გეორგიკა” , 1997.
79. ქართული კულტურის ფენომენი. კრ.: ,,ქართული კულტურა”, თბ., 1997.
80. Археологические раскопки в Пицунде. Тб. 1997. сс. 76-79.
81. Проблемы войны и мира в античной Грузии VI-IV вв. до н. э. Caucasica 2; Тб. 1998; с. 152-161
82. ქართული კულტურის ფენომენისათვის XIX ს. პირველ ნახევარში. კრ.: ,,ჩვენ ქართველები” გვ. 111-123, თბ., 1998,

83. საისტორიო მეცნიერებები. თსუ. მეცნიერება და ტექნიკა, N4-6, გვ. 105-113.თბ., 1998.
84. კულტუროლოგია. კულტურის თეორია და ისტორია. პროგრამა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თსუ გამომცემლობა, 1998.
85. Die Kampfwagen des alten Georgien. Caucasica 3, Tb.1999, pp.86-92.
86. ბალისტი ბიჭვინთის ნაქალაქარიდან. III საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, გვ. 37-42, თბ., 1999.
87. Боевые колесницы Грузии. Россииская археология, 1999, №4 с. 195-199.
88. ქართულ-ბერძნული ეკონომიკური კონტაქტები ძვ.წ. V-IV სს ფიჭვნარის მასალების მიხედვით. თ. ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 195-199, თბ., 1999.
89. ახალი ფურცლები საქართველო-პოლონეთის ურთიერთობაში. კულტურის ისტორიის საკითხები VI, გვ. 220-223. თბ., 1999.
90. ადრექრისტიანული ბაზილიკები ბიჭვინთის X ს. კათედრალიზის ეზოში. კრ.: ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები" IX, გვ. 35-39 თბ., 2000.
91. ჭოროხის აუზი – კოლხური კულტურის უძველესი კერა. რეცენზია ა. კახიძის, შ. მუმლაძის გამოკვლევაზე. კრ.: ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები" X, გვ. 196-199, თბ., 2001.
92. სტუმართმოყვარე ფასისელები. კრ.: ,,მნემე", თბ., 2000, გვ. 140-147.
93. Coins from Vani (Surium)., Phasis, v. 2-3., Tbilisi 2000; pp. 250-252.
94. ისიდას სიმბოლებიანი მონეტები ძველი ვანიდან. გ. ჟორდანიასადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, გვ. 95-101, თბ., 2001.
95. გონიო-აფსაროსის კასტელის N2 კოშკის გათხრების ძირითადი შედეგები. გონიო-აფსაროსი., III, გვ. 168-183, თბ., 2002.
96. პტოლემაიოსის ,,გეორგრაფიის სახელმძღვანელო" და კოლხეთის ქალაქების ლოკალიზაციის პრობლემები. ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ,,ოჩხარი", გვ. 234-243.
97. თბ., 2002.
98. ფასისის თვითმართველობის ისტორიიდან. ქართული დიპლომატია – წელიწდეული 8, გვ. 88-98, თბ., 2002.
99. იუდაიზმი – ებრაული კულტურის საფუძველი. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XII, გვ. 46-61 თბ., 2002.
100. კულტუროლოგია (სახელმძღვანელო). თბ., 2003.
101. Numismatic Materials from Bichvinta – Pitiunt. თბილისისა და კორნელის უნივერსიტეტის ერთობლივი ჟურნალი Bulletin of the AGIBAS; გვ. 31-37, თბ., 2003.
102. წინასიტყვაობა ნ. თომაძის წიგნისათვის იცხაკ დავითი და ჯვრის მონასტრის სიძველეები. გვ. 5-8, თბ., 2003.
103. აჰმედ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია. თბ., 2004, გვ. 5-84.

104. Монеты Диоскуриады из городища Беляус (Крым). კავკასიაურ-აღმოსავლური კრებული XI, გვ. 173-177, თბ., 2004.
105. ავრელიოს აქოლისი რომის მოქალაქე. კრ.: ,,ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში", გვ. 151-158, თბ., 2004.
106. Аврелии Ахол – Квазипрозелит?!, сб. «Археология, этнология, фольклористика Кавказа»., Тбилиси 2004, с. 173-180.
107. სსრკ რუსეთის იმპერიის მემკვიდრე. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XX. თბ., 2004.
108. ბიჭვინთა – პიტიუნტი ახ.წ. I-II სს. პროფ. კ. კუციასადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ,,ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", IV, გვ. 185-187, თბ., 2004.
109. კოლხური თეთრი – კულტუროლოგიური ასპექტები. /ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე/ გვ. 5-110, თბ., 2005.
110. რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა და ქართული ნუმიზმატიკის პრობლემები. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXII, , გვ. 12-16, თბ., 2005.
111. ქართული კულტურა ანტიკურ ხანაში. ,,საქართველოს ისტორია" I ტომი, გვ. 89-106, თსუ 2006.
112. Sinop Amphorae and Trapezunt Coins from Pitiunt. კრ. "production and Trade of Amphorae in the Black Sea. International Raund Table Conference. Batumi-Trabzon, 2006.
113. Проблемы археологии на страницах журнала «Кавказская старина». «Археология Кавказа». Тб. 2006.
114. V археологический съезд в Тифлисе и проблемы истории евреев на Кавказе. კრ.: ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები" XXIII, გვ. 47-53, თბ., 2007.
115. ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან. გვ. 3-133.
116. თბ., 2007.
117. ცედაკა – ცდაკას –ს ინსტიტუტი ებრაულ კულტურაში. აკად. მ. ლორთქიფანიძის იუბილესადმი მიძღვილი კრებული., თბ., 2007.
118. იუდაიკის ინსტიტუტი ებრაულ კულტურაში. აკად. მ. ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თსუ გამომცემლობა, 2007.
119. ებრაელები საქართველოში (დოკუმენტების ნუსხა). თსუ კრებული ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები", XXIV. თსუ გამომცემლობა, 2008.
120. სვანეთის 2007წლის კულტურულ-ისტორიული ექსპედიციის შედეგები. კრ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციები, I (ზვ. კვიციანთან თანაავტორობით). თსუ გამომცემლობა, 2008.
121. სვანეთი - ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა (ზვ. კვიციანთან თანაავტორობით). გამომცემლობა ,,არტანუჯი'', თბ., 2008.

122. "მოქცევა ქართლისა და მცხეთის გალუთი გვიანანტიკურ ხანაში". კრ.: ,,ისტორიანი", მიძღვნილი აკად. რ. მეტრეველის 70 წლისთავისადმი. გამომცემლობა ,,არტანუჯი", თბ., 2009.

123. ქალაქ ,,სარაკეს“ ლოკალიზაციისათვის (გ. ყიფიანთან თანაავტორობით). გამომცემლობა ,,არტანუჯი", თბ., 2009.

124. Fortress Building "Korogli" in the Western Georgia. Miras, N 4, Ashgabat.

125. Sinop Amphorae and Trapezunt coins from Pitiunt. Varia Anatolica, XXI, Paris, 2010.

126. ჰუნები პიტიუნტში, IV ს. კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული. თსუ გამომცემლობა, 2010.

127. Результаты физико-химического анализа анонимных монет, I в. до н.э. из Ванского городища. Сб. "Археология, этнология, фольклористика Кавказа", Изд-во "Меридиан", 2010.

128. ადრექრისტიანული სტელა ბიჭვინთის სამაროვნიდან. კრებული ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“, II, ,,უნივერსალი“, თბ., 2010, გვ.9-11.

129. ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. I საუკუნის ანონიმური მონეტების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის შედეგები. კრებული ,,კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“, ,,მერიდიანი“ (რუსულ ენაზე) გვ. 184-185, თბ., 2010.

130. ჰუნები პიტიუნტში IV ს (თანაავტორობით). კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესის მასალები. თსუ გამომცემლობა, 83-87. 2010.

131. სალვადორ დე მადირიაგა და მისი ფანტასტიკური არქეოლოგიური რომანი ,,წმინდა ჟირაფი“ ж. ,,Археология Кавказа“, N2-3, საქართველოს ეროვნული მუზეუმი (რუსულ ენაზე) გვ. 163-173, თბილისი, 2010.

132. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დინამიკა. კრებული ,,კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.5-13, თბ., 2010.

133. ცაიშის განძი (თანაავტორობით).კრებული ,,კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.41-48, თბ., 2010.

134. ებრაულწარწერიანი ჭურჭელი ყულევიდან (თანაავტორობით). კრებული ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. აღმოსავლური კრებული“ XXVI, თსუ გამომცემლობა, 2010, გვ. 89-93.

135. რეცენზია აკად. რ. მეტრეველის წიგნზე ,,ებრაელები საქართველოში“ ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. აღმოსავლური კრებული“ XXVI, თსუ გამომცემლობა, გვ. 131-135, თბ., 2010.

136. პარადიგმატიკა ,,დასავლეთი - აღმოსავლეთი“ და ანტიკური საქართველო“ (J. ,,The Gaucasus & globalization”, v. 4, CA&CC Press, 161-168, ინგლისურ ენაზე; ж. ,,Кавказ и глобализация“, т. 4, выпуск 3-4, 183-191, რუსულ ენაზე, CA&CC Press, შვედეთი).

137. ოქროს ზოდები: კოლხური ფულის მონეტამდელი ფორმა. კრ.: ლინგვისტურ-კულტუროლოგიური ძიებანი. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

138. Georgia in Antiquity: Choosing Between the West and the East. The Caucasus Globalization, 4. Ca and CC Press, Sweden, 2011.

139. კულტუროლოგია ყმაწვილთათვის. წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი (გ. გერაძესთან თანაავტორობით) თბ., 2011.

140. ბიჭვინთის სამაროვანი (თანაავტორობით). კრებული ,,აფხაზეთი, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები“, 2. გამომცემლობა ,,გლობალ-პრინტი“, გვ., 116-125, თბ., 2011.

141. ახალი საარქივო მასალა რაბინ დავით ბააზოვის შესახებ. გაზეთი ,,მენორა“, თბ., N12, 2011.

142. ერის ზნეობრივი გმირის - გრ. ლორთქიფანიძის შესახებ. გაზეთი ,,რაეო“ თბ., N4, 2011.

143. მილეტი და ფასისი ძვ. წ. VI-V სს (მეტროპოლია და აპოიკია). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულია აკადემიის მაცნე, N1. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, გვ.5-17, თბ., 2012.

144. ადრექრისტიანული სამარხები ბიჭვინთაში. კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი, IV. გამომც. ,,უნივერსალი", გვ. 173-177, თბ., 2012.

145. არქეოლოგიური მონაცემები ბიჭვინთის ადრექრისტიანული თემის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, N1. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2012.

146. ადრექტისტიანული ვერცხლის ბარძიმი უშგულიდან. კრებული ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ ნაკვეთი XXVII, თსუ გამომცემლობა, გვ., 97-102, 2012.

147. სომხურწარწერიანი ფაიფურის ჭურჭლის ფრაგმენტები ყულევიდან. კრებული ,,კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, ეძღვნება აკად. წევრ-კორ. ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. გვ., 63-66, თბ., 2012.

148. არქეოლოგიური მონაცემები ბიჭვინთის ადრექრისტიანული თემის შესახებ. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ჟურნალი ,,მაცნე“ №2, გვ., 69-75, თბ., 2012.

149. შემობრუნება სულიერებისაკენ. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ჟურნალი ,,მაცნე“ №2, გვ., 207-210, თბ., 2012.

150. რომის მოქალაქე-ქართველები. ბაქოს II საერთაშორისო ჰუმანიტარული ფორუმი ,,ახალი მეთოდოლგიური მიდგომები გლობალიზაციის პროცესებისადმი XXI საუკუნეში'', ბაქო, აზერბაიჯანი, 2012.

151. პიტიუნტისა და სებასტოპოლის ადრექრისტიანული ძეგლები. (გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ბიჭვინთის კომპლექსური შესწავლისადმი. 2012.

152. თვალსაჩინო ქართველი არქეოლოგის კიაზო ფიცხელაურის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თაობაზე. კრ.: ,,საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები", მიძღვნილი კ. ფიცხელაურის 80 წლის იუბილესადმი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რედაქტორი პროფ. გ. ყიფიანი, თბ., 2012.

153. ბიბლიური არქეოლოგია. (მ მშვილდაძესთან თანაავტორობით), თსუ გამომცემლობა, 2012.

154. Грузия (Иберия) и Pax Romana в I-III вв. н.э. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრ.: ,,ინტერდისციპლინარული არქეოლოგია", II. რედაქტორი ვ. ლიჩელი, გამომც. ,,უნივერსალი“, თბ., 2013.

155. რომის მოქალაქე (Civitas Romana) ქართველები ახ. წ. II-IV სს. სამეცნიერო ჟურნალი ,,ქართული პოლიტიკა", N 1. რედაქტორი ზ. ჯიბლაძე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2013.

156. ბათუმი (Porto Altus) და მისი შემოგარენი რომაულ სამხედრო-საგზაო რუკებზე". კრ.: ბათუმი, IV. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, რედაქტორი ბ. დიასამიძე, 2013.

157. დავითის გვირგვინი. ქართველი ებრაელების ლეგენდა. თსუ გამომცემლობა, 2013.

158. საქართველო (იბერია) და რომაული სამყარო I-II სს. ახ. წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებ.: ,,ინტერდისციპლინარული არქეოლოგია", თსუ გამომცემლობა, 2013.

159. ხუფათის (ხოფი) ხეობის და არქაბის ლაზური სოფლები. კრებ.: ,,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ ნაკვ. XXVII, თსუ გამომცემლობა, 2013.

160. ექვთიმე თაყაიშვილი - პროფესიონალი არქეოლოგი. კრებული: ,,ექვთიმე თაყაიშვილი 150“, ,,გლობალ- პრინტი“, თბ., 2013.

161. რომის მოქალაქე (Civitas Romana) ქართველები ახ. წ. II-IV სს. (თანაავტორობით). ჟურ.: ,,ქართული პოლიტიკა“, თბ., 2013.

162. ,,Portaltu” ბათუმის შემოგარენი ახ. წ. IV საუკუნის საგზაო სამხედრო რუკაზე. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული ,,ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა“, გვ., 20-30. ბათუმი, 2013.

163. დავით გვირგინოსანი აკაკის აგადა (თანაავტორობით). კრებული ,,დავითის გვირგვინი ქართველი ებრაელების ლეგენდა“, თსუ გამომცემლობა (ქართულ და ებრაულ ენაზე) გვ. 7-29, 2013.

164. მასალები ქართული საფასმცოდნეობის ისტორიისათვის, კულტუროლოგიური ასპექტები (თანაავტორობით). ქუთაისის მერია, გამომცემლობა ,,თეთნულდი“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), გვ., 3- 99, 2014.

165. კულტუროლოგია ყმაწვილთათვის, II (ანტიკური ცივილიზაცია), (თანაავტორობით), თსუ-ის გამომცემლობა გვ., 162, 2014.

166. ანდრია აფაქიძე 100. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გვ., 23, თბილისი, 2014.
167. ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე, ნაწილი I. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ,,მაცნე“ №1, თბ., გვ134-152, 2014.
168. ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე, ნაწილი II. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ,,მაცნე“ №2, თბ., გვ106-117, 2014.
169. ანდრია აფაქიძე 1914-2005. (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ა. აფაქიძის ბიბლიოგრაფია) თსუ-ის ბიბლიოთეკა სერია - ქართველი მეცნიერები, გვ., 9-24, 2014.
170. არქეოლოგიური განათლებიდან რუსეთსა და საქართველოში. კრებ.: ,კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ ნაკვეთი XXIX, თსუ გამომცემლობა, გვ., 37-45, 2014.
171. ალექსანდრე გამყრელიძის გახსენება. 1918-1971წწ.. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ,,მაცნე“ №2, თბ., გვ., 189-194, 2014.
172. აბანოები/თერმები. ანტიკური ენციკლოპედია, ტ II, I. გამომცემლობა ,,ლოგოსი“, გვ., 1-17, 2014.
173. ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. ანტიკური ენციკლოპედია, ტ II, I. გამომცემლობა ,,ლოგოსი“, გვ., 67-68, 2014.
174. ანტონიანები. ანტიკური ენციკლოპედია, ტ II, I. გამომცემლობა ,,ლოგოსი“, გვ., 92, 2014.
175. ,,ასსი“ (რომაული სპილენძის ჩამოსხმული მონეტები, ძვ. წ. IVს. იანუსისა და ხომალდის ქიმის გამოსახულებით) ანტიკური ენციკლოპედია, ტ II, I. გამომცემლობა ,,ლოგოსი“, გვ., 153, 2014.
176. ახალი საარქივო მასალები საქართველოს ებრაულ დიასპორაზე (Сб. ,,Страницы истории и культури евреев Грузии, издательство ,,Сэфер“, რუსულ ენაზე), გვ., 67-70, 2014.
177. მცხეთის სინაგოგა I-III საუკუნეებში. კრებული ,,საერთშორისო კონფერენციის აბსტრაქტები“, ბარ-ილანის უნივერსიტეტი, ისრაელი, 2014.
178. ქართული სიძველეები მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში. საერთაშორისო კონფერენცია - ,,კავკასიის სიძველეები მსოფლიო მუზეუმებში“, თბილისი, 2014.
179. აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე სამამულო არქეოლოგიის ნაცადი ხელმძღვანელი. საერთაშორისო კონფერენცია ,,ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ თბილისი, 2014.
180. ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში (თანაავტორობით). გამომცემლობა ,, სტამბა“ გვ., 970, თბილისი 2015.

181. ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე (ნაწილი III). ჟურ.: ,მაცნე“, საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გვ., 119-138, 2015.

182. ქართლის (იბერია) სამეფოს ,,რომანიზაციის“ კულტუროლოგიური ასპექტები (I-II), საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი I, თსუ გამომცემლობა, 2015.

183. ქართული ანტიკური ხანის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე (III ნაწილი). საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ,,მაცნე“ №1, თბ., გვ., 119-138, 2015.

184. ხიმშიაშვილის საგვარეულო აჰმედ აჭარის მიხედვით. სერტაშორისო კონფერენციის ,,ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა XIXს. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში“ მასალები, გვ., 37-39, ბათუმი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.

185. ქართლის (იბერია) სამეფოს ,,რომანიზაციის“ კულტუროლოგიური ასპექტები ძვ.წ. III-I სს. (თანაავტორობით). 1 საერთაშორისო კონგრესის ,,ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“- მასალები, ქართული 86-88 და ინგლისურ 252-253 ენებზე თბ., 2016.

186. ქართული ანტიკური ხანის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე (IV ნაწილი). საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ,,მაცნე“ №1, თბ., გვ., 151-164, 2016.

187. ახალი არქეოლოგიური მასალები ებრაულ კულტურაზე საქართველოში. მოსკოვი, რუსული გამომცემლობა ,,საფარი“, 2016.

188. ქართული ანტიკური ხანის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ,,მაცნე“ №2, თბ., 2016.

189. რომის იმპერია და იბერიის სამეფო ახ. წ.I-III სს. არქეოლოგოური მასალების მიხედვით (თანაავტორობით), გორის სახ. უნივერსიტეტი სამეცნიერო შრომების კრებული-ელდარ მამისთვალაშვილი-75, 2016.

190. ქართული სიძველეები მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, I საერთაშორისო კონფერენციის მასალები ,,კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“ მეც, აკადემიის სტამბა, თბ., გვ., 114-121, 2016.

191. ქართლის (იბერია) სამეფოს,,რომანიზაციის“ კულტუროლოგიური ასპექტები (I-III), I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2016.

192. ქართლის (იბერია) სამეფოს ,,რომანიზაციის“ კულტუროლოგიური ასპექტები ძვ.წ. III-I სს. საქართველოს მეც. ეროვნული აკადემიის ჟურნალი ,, მაცნე“ №1, გვ., 37-39. თბ., 2016.

193. ხიმშიაშვილის საგვარეულო აჰმედ აჭარის მიხედვით. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა XIXს. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში, ბათუმი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

194. ო. გ. ფილიმონოვი და სვანეთის არქეოლოგიური პრობლემები. მესტია, ,,კავკასიის ცივილიზაციის სამეცნიერო კონფერენციის მასალები'', თბ., 2016.

195. ქართველოლოგიის პრობლემები და პერსსპექტივები. ქართველოლოგიური საერთაშორისო კონგრესი, 2016.
196. ნიკო მარი არქეოლოგი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2016.
197. ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბილისი გამომცემლობა ,,სტამბა“, 2016.
198. ებრაული კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებები ბათუმში XIX ს.II ნახევარში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ http://batumi.ge/ge/?page=shownews&id=3111, 2016.
199. იუდეველები XIX ს. ბათუმში (საარქივო მასალების მიხედვით). თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, გვ., 168-170. 2016.
200. ბათუმის ებრაული თემი XIXს. მეორე ნახევარში. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ., 168-170, 2016.
201. Архивные материалы по еврейской галуте в Грузии. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, ნაკვეთი XXX, თსუ გამომცემლობა,. გვ., 168-170, 2016.
202. ქართველი ებრაელები 1918-1921. ,,მენორა“ გაზეთი, თბილისი, დამოუკიდებელი ებრაული გამოცემა, გვ., 2-6, 2016.
203. Археология, культурология в Академии наук Грузии. РАН. Открытый академический теоретический семинар. Москва-Петербург, из. ,,Мир“, ,,Энсиклопедист-максимум ‘’, 2016. ст. 392-397.
204. ახალი საარქივო მასალები ქართულ - ებრაული ურთიერთობის შესახებ, გამომცემლობა ,,მწიგნობარი“, თბ., 2016.
205. ჩვენი სულიერების ბალავარი, გამომცემლობა ,,უნივერსამი’’ თბ., 2017.
206. კულტუროლოგია ყმაწვილთათვის III, რომაული ცივილიზაცია (თანაავტორობით), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ., 182, 2017.
207. ნიკო მარი და არქეოლოგია, სამეცნიერო კრებული ,,კულტურის ისტორიიისა და თეორიის საკითხები“ XXXI, გვ., 121-127, თბ., 2017.
208. გაზეთი ,,ჰა კარმალი’’ 1863 წ. ბათუმის ებრაელების შესახებ. სამეცნიერო კრებული ,,ჩვენი სულიერების ბალავარი’’, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ,,უნივერსალი“, გვ., 204-209, 2017.
209. იუდეველები ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში (1887-1917წწ). კრებული ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ VIII, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ., 188-195, 2017.
210. ქართლის სამეფო და რომის იმპერია I-III საუკუნეებში. (თანაავტორობით) კრებული ,,ივანე ჯავახიშვილი - 140, სამეცნიერო შრომები ,,მარადისობის გზა’’, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გვ., 108- 112, თბ., 2017.

211. ბათუმის ებრაელთა სათვოსტომო 19-ს მეორე ნახევარში. „იზმაილოვსკაია - ბეტა“, მეცნიერ - თანამშრომელთა და უმაღლესი სასწავლებლების იუდაიკის პედაგოგთა ცენტრი „სეფერი“, მოსკოვი, 2017, http://sefer.ru/progr_conf_2017_eng.odf.

212. ქართული არქეოგრაფიის დიდი მოამაგე სამშობლოში, დაბრუნებული საგანძური (თანაავტორობით). გამომცემლობა სამშობლო, თბილისი, 2017.

213. ქართული არქეოგრაფიის დიდი მოამაგე სამშობლოში, დაბრუნებული საგანძური (თანაავტორობით). გაზეთი ,,ლიტერატურული საქართველო“ N 35, გვ., 4, 6 ოქტომბერი, თბილისი, 2017.

214. დავით გარეჯა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ეკლესიის განუყოფელი ნაწილია (თანაავტორობით). საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ჟურ.: ,,მაცნე“ , გვ., 124-129, №1, თბ., 2017.

215. დავით გარეჯა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ეკლესიის განუყოფელი ნაწილია. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, N 118, 14 ივნისი, გვ., 6-7, 2017.

216. ქართველი ებრაელები საქართველოს საარქივო დოკუმენტებში, გამომც. „უნივერსალი“,თბილისი, 2018წ.

217. სემიტოლოგიური ძიებანი-შტრიხები აკადემიკოს კ. წერეთლის პორტრეტისთვის, თსუ, 2017.

218. იუდეველები ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში. ბათუმის VIII საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2017.

219. ჩვენი სულიერების ბალავარი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტინაული კვლევის ინსტიტუტის IX საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2017.

220. კულტუროლოგია ყმაწვილთათვის III, რომაული ცივილიზაცია (თანაავტორობით) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017.

221. ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი (რეცენზია პროფ. შ. ფუტკარაძის და სხვ. მონოგრაფიაზე) აკად. რ. მეტრეველთან თანაავტორობით, კრებული ,,ქართული დიპლომატია წელიწდეული XVIII, გვ., 416-427, გამომცენლობა ,, არტანუჯი“, 2018.

222. ქართველი ებრაელები საქართველოს საარქივო დოკუმენტებში. კოლექტური მონოგრაფია, გვ., 250, გამომცემლობა ,,უნივერსალი'' თბილისი, 2018.

223. სამამულო არქეოლოგიის ნაცადი წინამძღოლი აკად. ა. აფაქიძე. ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი ,,არქეოლოგია“ N1, ,,Aureus”, გვ., 5-32, თბ., 2018.

224. კავკასიის ქვის ხანის არქეოლოგიის პატრიარქი ვასილ ლიუბინი 100 წლის გახდა. არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი ,,არქეოლოგია“ N1, გვ., 33, თბ., 2018.

225. ქართული ფალეისტიკის სათავეებთან. (გ. გერაძესთან თანავტორობით) ჟურნალი ,,ისტორიანი“ N4, გვ., 27, სურ. 1,2., თბ., 2018.
226. დავითის ფარი (მაგენ დავიდი) II-III სს. ბრინჯაოს საკინძე გონიო აფსაროსიდან. კრებული ,,ბათუმი, წარსული და თანამეროვეობა“ IX, ბათუმი (ქართულ და ინგლისურ ენებზე, იბეჭდება) ბათუმი, 2018.
227. ,,Planta Pedis” დამღიანი დოქის ყური დაფნარიდან. ახ. წ. II-III სს. კრებ., II საერთაშორისო კონგრესის მასალები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (იბეჭდება)თბილისი, 2018.
228. ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი (1836-1903) ჭოროხის ხეობის ქართული მოსახლეობის ,,სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მდგომარეობის შესახებ“ კრებული ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ საერთაშორისო კონფერენციის მასალები (ქართულ და ინგლისურ ენებზე, იბეჭდება) ბათუმი, 2018.
229. ახალი საარქივო მასალები საქართველოს ებრაელების შესახებ. კოლექტური მონოგრაფია ნ. ახალაიასთან, ი. ზაბახიძესთან, ქ. ლორთქიფანიძესთან, ზ. ქავთარაძესთან და ე. ხატიაშვილთან ერთად (იბეჭდება), თბილისი, 2018.
230. ა. აფაქიძის პორტრეტი, წინასიტყვაობა, თბილისის სახ. უნივერსიტეტში დაცული პირველი საკანდიდატო დისერტაცია არქეოლოგიაში. ეძღვნება თსუ 100 წლისთავს. უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ., 74, 2018.
231. კავკასიის ქვის ხანის არქეოლოგიის პატრიარქი. საქართველოს მეც. ეროვნული აკადემიის ჟურნალი ,, მაცნე“ №1, გვ., 262-264. თბ., 2018.
232. დავითის ფარი (მაგენ დავიდი) გამოსახულება II-III სს. რომაულ საკინძზე (გონიო აფსაროსი). დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი ,,მენორა“, N7, 2018.

მონოგრაფიები

1. К истории древней Колхиды. Ганатлеба. Ред. Акад. Г. Меликишвили, 1970.
2. К истории древней Колхиды. Ганатлеба. Ред. Акад. Г. Меликишвили, 1978.
3. Денежное обращение Центральной Колхиды (გ. დუნდუასთნ თანაავტორობით). თსუ გამომცემლობა. 1983.
4. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თსუ გამომცემლობა. რედ. აკად. რ. გორდეზიანი, 1991.
5. აჰმედ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია. რედ. ვ.გურული. თბილისი, გამომცემლობა "ენა და კულტურა", 2004.
6. კოლხური თეთრი. კულტურულოგიური ასპექტები. თბილისი. რედ. გ.ჯანჯღავა. გამომც. სახალხო ბანკი (გ.გერაძესთან თანაავტორობით), 2005.
7. ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან. რედ. როლანდ ბურჭულაძე. გამომც. "უნივერსალი", 2007.

8. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა (ზ. კვიციანთან თანაავტორობით). რედ. დოქტ. მ.დათუკიშვილი. გამომცემლობა "არტანუჯი", 2008.
9. ქალაქ "სარაკეს" ლოკალიზაციისათვის (გ.ყიფიანთან თანაავტორობით). გამომცემლობა "არტანუჯი". რედ. აკად. რ.გორდეზიანი, 2009.
10. მასალები ქართული საფასმცოდნეობის ისტორიისათვის, კულტუროლოგიური ასპექტები (თანაავტორობით). ქუთაისის მერია, გამომცემლობა ,,თეთნულდი“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), 2014.
11. ახალი საარქივო მასალები ქართულ ებრაულ ურთიერთობებზე (იაკობ ოფირთან თანაავტორობით), გამომცემლობა ,,მწიგნობარი“, თბილისი, 2016.
12. ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბილისი გამომცემლობა ,,სტამბა“, 2016.
13. ქართველი ებრაელები საქართველოს საარქივო დოკუმენტებში. კოლექტური მონოგრაფია, გვ., 300, გამომცემლობა ,,უნივერსალი'' თბილისი, 2018.

სახელმძღვანელოები და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა

1. ქართული კულტურის ისტორია. პროგრამა თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. შემდგენელი-რედაქტორი, თსუ გამომცემლობა, 1988.
2. ქართული კულტურის ისტორია. რედაქტორი აკად. ვ. ბერიძე (ნინო ჩიქოვანთან თანაავტორობით). თსუ გამომცემლობა, 1997.
3. კულტუროლოგია. კულტურის თეორია და ისტორია. პროგრამა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თსუ გამომცემლობა. რედაქტორი მ. ვაჩნაძე, 1998.
4. კულტუროლოგია. თსუ გამომცემლობა. ავტორთა კოლექტივი, 2003.
5. კულტუროლოგია ყმაწვილთათვის. წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი (გ. გერაძესთან თანაავტორობით). რედაქტორი დოქტ. რ. ბურჭულაძე, 2011.
6. ბიბლიური არქეოლოგია. თსუ გამომცემლობა (მ. მშვილდაძესთან თანაავტორობით), 2012.
7. კულტუროლოგია ყმაწვილთათვის, II (ანტიკური ცივილიზაცია), (თანაავტორობით), თსუ-ის გამომცემლობა გვ., 162, 2014.
8. კულტუროლოგია ყმაწვილთათვის, III (ანტიკური ცივილიზაცია), (თანაავტორობით), თსუ-ის გამომცემლობა გვ., 182, 2017.

გურამ ლორთქიფანიძე, აკაკი სურგულაძე, მერაბ ვაჩნაძე, ნოდარ ასათიანი სტუდენტებთან ერთად ვარძიაში, 1981 წ.

მარცხნიდან: არქეოლოგიის დოქტორი მალხაზ დათუკიშვილი, პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი, ლევილის ქართველთა სათვისტომოს თავკაცი მამია ბერიშვილი და პროფ. გურამ ლორთქიფანიძე. გრიგოლ ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე. თბილისი, 2000 წ.

მარცხნიდან: პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, მწერალი გურამ დოჩანაშვილი და არქეოლოგი ჯუანშერ ამირანაშვილი. აკად. შალვა ამირანაშვილის ხსოვნის საღამოზე. თბილისი, ხელოვნების მუზეუმი, 2009 წ.

მარცხნიდან: პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, პროფ. ნოდარ ლომოური, ლეო კამკამიძე და ჯანრი კაშია.

მარცხნიდან: პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი, პროფ. მზექალა შანიძე, აკად. ანდრია აფაქიძე, არქეოლოგიის დოქტორი ნინო კიღურაძე, პროფ. გურამ ყიფიანი და არქეოლოგიის დოქტორი მალხაზ დათუკიშვილი. ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის გახსნა. ვანი, 2000 წ.

პროფ. გურამ ლორთქიფანიძე და პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი.
ანატოლიური მუზეუმი. ანკარა, 2002 წ.

ვახტანგ ლიჩელი – 70

ვახტანგ ლიჩელმა 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1970 წლიდან იგი ჩართული იყო ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი, აკადემიკოსი, პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე. სწორედ მისი ხელმღვანელობით ჩატარებულმა სამუშაოებმა ითამაშა გადამწვეტი როლი ბატონი ვახტანგის მიერ პროფესიის შერჩევაში. ამავე ექსპედიციაში მიეცა ვ. ლიჩელს პირველი დამოუკიდებელი საველე სამუშაოების წარმოების საშუალება – მას დაევალე დაეწყო არქეოლოგიური გამოკვლევები ვანის ქვედა ქალაქში – საყანჩიას ველზე, სადაც იგი წლების მანძილზე აწარმოებდა კვლევებს. მან მიაკვლია და შეისწავლა ნამოსახლარის დიდი ნაწილი, საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობები, საწარმოო უბანი, მრავალრიცხოვნი ადგილობრივი და იმპორტული კერამიკული ნაწარმი, ტერაკოტურლი ფიგურები და სხვა. ვ. ლიჩელის მიერ მოპოვებული ეს მასალა დაედო საფუძვლად მის საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელიც წარმატებით დაიცვა 1981 წელს და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ვანის ექსპედიციაში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მუშაობის პერიოდში დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილება, აგრეთვე, ლენინგრადისა (ერმიტაჟი და არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალი) და მოსკოვის ბიბლიოთეკებში მიღებული ცოდნა გახდა საფუძველი იმ მონოგრაფიული გამოკვლევისა, რომელიც ძველი საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის ერთ-ერთ კარდინალურ საკითხს – ელინიზმის საქართველოში გავრცელების საკითხს ეხებოდა. ნაშრომი წარდგენილი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, რაც წარმატებით დასრულდა 1991 წელს და ვ. ლიჩელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ბატონმა ვახტანგმა შეისწავლა კოლხეთისა და იბერიის ძვ.წ. IV-ახ.წ. IV საუკუნეების არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი და მასზე დატანილი ნიშნები, რომელებიც მანამდე "გაურკვეველ ნიშნებად" იყო აღიარებული და მივიდა უაღრესად მნიშვნელოვან დასკვნამდე – ანტიკური ხანის ადგილობრივ ნაწარმზე ამოკაწრული ნიშნები წარმოადგენენ პროტო-ქართული დამწერლობის ასოებს და შესაბამისად, ვ. ლიჩელმა პირველმა დაასაბუთა დოკუმენტურად, რომ ანტიკური ხანის საქართველოში (ასომთავრულის შემოღებამდე) არსებობდა ადგილობრივი დამწერლობა, რომელსაც თითქმის 800 წლის მანძილზე იყენებდა ძველი ქართული მოსახლეობა. მის მიერ გაკეთებული ეს დასკვნა ამჟამად უკვე აღიარებულია უცხოელი სპეციალისტების მიერ.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო ინტერესები იმ ხანად არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კოლხეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის თემით. მან თავიდანვე აუღო ალღო არქეოლოგიის თანამედროვე მოთხოვნებს, არქეოლოგიის ზუსტი მეცნირების დარგებთან დაახლობის აუცილებლობას და საქართველოში პირველმა (1977 წელი) გამოიყენა კომპიუტერული ტექნიკა (ანუ მაშინდელი ელექტროგამომთვლელი მანქანები) არქეოლოგიური კლასიფიკაციის პრობლემების გადასაჭრელად. ეს ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა, რასაც სხვა გამოკვლევები მოჰყვა უკვე არქეოლოგიის თეორიის დარგში. კერძოდ, 1987 წელს მანვე დაამუშავა ფენის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი –

არტეფაქტების კულტურულ ფენებში განფენის რაოდენობრივი შეფასების მათემატიკური კრიტერიუმი (ფენის ნაჯერობა), რაც "ახალი არქეოლოგიის" მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქართველოში. ამჟამად ვ. ლიჩელი თსუ-ს ფიზიკოსებთან ერთად ამუშავებს დათარიღების თანამედროვე მეთოდებს (ელექტრო-პარამაგნიტური რეზონანსი და კერამიკის დეჰიდრაცია).

1983 წელს ჩამოყალიბდა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც სამ რაზმად დაიყო და დაიწყო ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის, გაბაშვილების გორისა და "ქუთაისის ქვეყნის" სიძველეთა შესასწავლად. ბატონი ვახტანგი ხელმძღვანელობდა "ქუთაისის ქვეყნის" შემსწავლელ რაზმს. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარებული კვლევების შედეგად რაზმმა აღმოაჩინა სამი მანამდე უცნობი არქეოლოგიური ძეგლი - ძვ.წ. II-I საუკუნეების ციხიას სატაძრო კომპლექსი, სარბევის გორის ძვ.წ. VI-IV საუკუნეების ნამოსახლარი და გეგუთის ძვ.წ. IV – II სს-ბის ნამოსახლარი.

ვ. ლიჩელის სამეცნიერო ინტერესებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ისეთი უნიკალური კუთხის შესწავლას, როგორიც სამხრეთი საქართველოა. XX საუკუნის 80-იან წლებამდე სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე სრულიად უცნობი იყო ანტიკური ხანის ნამოსახლარები. წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად ბატონმა ვახტანგმა აწყურში მიაკვლია ამ რეგიონში ჯერ-ჯერობით ერთადერთ ანტიკური ხანის ნამოსახლარსა და სამაროვანს. მის მიერვე აქვე შესწავლილი სამარხეული კომპლექსების მიხედვით დადგინდა, რომ აქ ჯერ კიდევ ძვ.წ. XVI საუკუნის დასაწყისში მოვიდა მოსახლეობა, რომელიც თავისებური მიკროკულტურის მატარებელი აღმოჩნდა. ამ მოსაზრებას საფუძვლად დაედო ის მატერიალური კულტურა, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულის ორ სამარხში აღმოჩნდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აწყურის ნამოსახლარი იყო ის ერთ-ერთი პირველი არქეოლოგიურ ძეგლთაგანი, სადაც ერთობლივი ქართულ-უცხოური არქეოლოგიური ექსპედიცია ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1994 წელს და დაიწყო საერთაშორისო პროგრამების განხორციელება. ბატონი ვახტანგის პირველი სამეცნიერო პარტნიორი იყოს მონრეალის (კანადა) მაკ-გილის უნივერსიტეტი. ამავე ხანიდან იწყება ვ. ლიჩელის ინტენსიური სამეცნიერო ურთიერთობები ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან. მან სამჯერ (1992, 1994, 1999) მიიღო გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის (ათენი) სტიპენდია; სამჯერ გერმანიის უდიდესი სამეცნიერო ფონდის DAAD –ს სტიპენდია (2013, 2014, 2016 წწ); ორჯერ - მონრეალის უნივერსიტეტის სტიპენდია (1994, 1995); სამჯერ დიდი ბრიტანეთის აკადემიის "შავი ზღვის ინიციატივის" სტიპენდია (2003, 2004, 2005); ევროსაბჭოს სტიპენდია (სტრასბურგი, 2000 წელი); USAID- ის გრანტი (2006); ლუვრის მუზეუმის (საფრანგეთი) გრანტი – 2009; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდია – 2010; ვახტანგ ლიჩელის ეს საერთაშორისო ურთიერთობები გადაიზარდა ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში: იგი ხელმძღვანელობს ქართულ-ავსტრიულ (ინსბრუკის უნივერსიტეტი), ქართულ-შოტლანდიურ (ედინბურგი), ქართულ-იტალიურ (ვენეცია), ქართულ-გერმანულ (იენა და ნიუნბერგი), ქართულ-ფრანგულ (ბორდო) არქეოლოგიურ პროექტებს.

საერთაშორისო არქეოლოგიური პროექტების ხელმძღვანელობა გრძელდება კ. კვიპროსზე – ვ.ლიჩელი 2015 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ქართულ არქეოლოგიურ მისიას კვიპროსზე, სადაც მიკვლეულია აქამდე უცნობი ორი ქართული ეკლესიის ნაშთი (ალამინოსისა და სოფტადესის წმ. გიორგის ეკლესიები) და მიმდინარეობს მათი კვლევა.

საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით ბატონო ვახტანგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ სალექციო კურსებს საქართველოს ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ, რომელსაც იგი კითხულობს უცხოეთის უნივერსიტეტებში. იგი არის სამი ევროპული უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი – 2013 წელს ლექციებს კითხულობდა ლეიდენის (ჰოლანდია), 2011 და 2015 წლებში ინსბრუკის (ავსტრია) და 2017 წელს ვენეციის კა ფოსკარის (იტალია) უნივერსიტეტებში. ასეთივე ლექცია წაიკითხა მან იაპონიაშიც (კობე, 2018).

ბატონო ვახტანგის სამეცნიერო ურთიერთობები აისახა საერთაშორისო ორგანიზაციების წვერობაშიც: იგი 2010 წლიდან დღემდე არის იუნესკოს საქართველოს კომისიის "ადამიანი და გარემო" წევრი; ISMEO-ს (მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის იტალიური ინსტიტუტი, რომი) წევრი 2017 წლიდან და SAA – ს (ამერიკის არქეოლოგთა საზოგადოება) წევრი 2018 წლიდან. ვ ლიჩელი იყო და არის სხვადასხვა ორგანიზაციისა და კომისიის წევრი: საქართველოს საუწყებათაშორისო სალიცენზიო კომისიის წევრი; საქართველოს მოძრავი ძეგლების რეესტრის სახელმწიფო კომისიის წევრი; საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1991 წლიდან), აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის სადისერტაციო საბჭოს წევრი (2000 – 2004) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან არსებული არქეოლოგიისა და ნუმიზმატიკის სადისერტაციო საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე (1996 – 2003).

ბატონო ვახტანგის სამეცნიერო საქმიანობის ცალკე სფეროა სარედაქციო საქმიანობა - არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალ "ძიებანის" სარედაქციო საბჭოს წევრი (1997-2003; კრებულის "მილსადენის არქეოლოგია" რედაქტორი (2 ტომი); ჟურნალ "ინტერდისციპლინარული არქეოლოგიის" რედაქტორი (2 ტომი); ჟურნალის " Caucasus Journal of Social Sciences" სარედაქციო საბჭოს წევრი(2007 წლიდან დღემდე); ჟურნალის " Ancient Civilization from Scythia and Siberia" (ჰოლანდია) მრჩეველთა საბჭოს წევრი (2003 წლიდან დღემდე).

ქართული არქეოლოგიის სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციის მნიშვნელოვანი სფერეა სამუზეუმო საქმიანობა და გამოფენების მოწყობა. ბატონი ვახტანგი რამოდენიმე გამოფენის ავტორი და ორგანიზატორია: 1982 – ვანის მუზეუმის რეექსპოზიცია; 1991 – ბორჯომის მუზეუმის რეექსპოზიცია; 1996 – 1999 - ქართულ სიძველეთა გამოფენები (კანადა, საბერძნეთი); 2015 – გამოფენა ნიუნბერგში (გერმანია); 2016 – გამოფენა იენაში (გერმანია).

არქეოლოგიის პოპულარიზაციის მიმართულებით რეალიზებული პროექტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 80-იან წლებში განხორციელებული სატელევიზიო თოქ-შოუ, რომლის ავტორი და წამყვანი ვ. ლიჩელი იყო. ეს იყო არქეოლოგიური კვლევებისა და მიღწევებისადმი მიძღვნილი პირველი სპეციალურ

გადაცემათა ციკლი. ამავე საქმინობის გაგრძელება იყო ვ. ლიჩელის მოღვაწეობა დრამატურგიაში – იგი არის რამოდენიმე დოკუმენტური ფილმის ავტორი და ერთი სპექტაკლის სცენარის თანაავტორიც (სპექტაკლი დაიდგა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრში და თბილისში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში).

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი ვახტანგის საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ: საბჭოთა პერიოდში, 80-იან წლებში დაწყებული ე.წ. "გლასნოსტის" დროს, ბატონმა ვახტანგმა პირველმა საქართველოში გამოაქვეყნა დიდი საბჭოთა პროექტის ("ტრანსკავკასიური რკინიგზა") საწინააღმდეგო ვრცელი წერილი, რომელსაც შედეგად საზოგადოების პროგრესული ნაწილის მძაფრი რეაქცია მოჰყვა და ამ პროტესტის წყალობით პროექტი საბოლოოდ ჩაიშალა და ამითი გადარჩა არაგვის ხეობის უნიკალური ბუნებრივი სამყარო და რაც მთავარია, არ გაიჭრა კიდევ ერთი გვირაბი კავკასიონის ქედში. ამ გვირაბს უნდა გაეხსნა კიდევ ერთი, ისეთივე გზა სამხრეთი რუსეთიდან საქართველოში, როგორიც როკის გვირაბია.

ბატონი ვახტანგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდა არქეოლოგთა აღზრდის საქმეს. მას შემდეგ, რაც იგი აირჩიეს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელად (2010 წლიდან), მან რადიკალურად შეცვალა არქეოლოგიის მიმართულების სასწავლო პროგრამა და იგი მთლიანად მიუსადაგა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, მომავალი არქეოლოგებისათვის სავალდებულო საგნებად შემოიღო ისეთი დისციპლინები, რომელიც მანამდე არ ისწავლებოდა: ლითონების ტექნოლოგია, მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდები, ეკოლოგიური არქეოლოგია, გეოლოგია-გეომორფოლოგია, მინერალოგია, არქეოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და სხვა.

ვ. ლიჩელს აღზრდილი ჰყავს ასეულობით ბაკალავრი, მისი ხელმძღვანელობით შეასრულა ნაშრომები ათეულობით მაგისტრანტმა, მისი ხელმძღვანელობით ორმა სტუდენტმა დაიცვა სადოქტორო ნაშრომი და მიიღო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო ამჟამად ბატონი ვახტანგი ხელმძღვანელობს რამოდენიმე საბაკალავრო, ექვს სამაგისტრო და ამდენივე სადოქტორო ნაშრომს.

სტუდენტ-არქეოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით ვ. ლიჩელმა დაარსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული მხარდაჭერით უკვე ათჯერ ჩატარდა ახალგაზრდა არქეოლოგთა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობენ ამერიკის, ავსტრალიისა და ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: მელბურნი (ავსტრალია), ედინბურგი (შოტლანდია), ვარშავის, ლოძის, გდანსკის, ნიკოლას კოპერნიკის უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია (პოლონეთი), ინსბრუკი (ავსტრია), სტამბოლი, ანკარა (თურქეთი), თეირანი (ირანი), დურჰამი (ინგლისი), ლეიდენი (ჰოლანდია), იენა (გერმანია), ოქსფორდი (ინგლისი), აარჰუსი (დანია), შეფილდი (ინგლისი), ბოლონია, ვენეცია (იტალია), ბორდო (საფრანგეთი) და სხვა.

სტუდენთა ხელშეწყობას ემსახურება ვ. ლიჩელის მიერ გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოებიც (“საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია” და “არქეოლოგიის მართვის საკითხები”).

მიუხედავად ვ. ლიჩელის ასეთი ფართო ინტერესებისა, მისი მთავარი მიზანი არის სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელიც თანაბრად მოიცავს როგორც საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს, ისე თეორიული სახის გამოკვლევებს.

წლების მანძილზე იგი მონაწილეობდა ან ხელმძღვანელობდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულ გათხრებს - ვანი, ნასტაკისი, ძალისა, აბასთუმანი, წნისი, ბენარა, ასპინძა, წაღვერი, მზეთამზე, იგოეთი, თმოგვი, ურბნისი, ოთარშენი, ბერთაყანა, ფოთი, ჩიბათი, ურეკი, ვალე, აწყური, ფარავნის ტბა და სხვა.

უკანასკნელ წლებში ვ. ლიჩელი ხელმძღვანელობს არქეოლოგიურ გათხრებს გრაკლიან გორაზე, სადაც მიკვლეულია საქართველოსა და კავკასიაში უძველესი წარწერები (ძვ.წ. X საუკუნე). ბატონი ვახტანგის ამ აღმოჩენამ დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია და სრულიად ახლებურად დააყენა საკითხი ძველი დამწერლობების წარმოშობა-გავრცელების შესახებ. ამ დამწერლობათა ანალიზს მიეძღვნა ბატონი ვახტანგის ბოლო წლების მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე იენაში, ნიუნბერგში (გერმანია), ვენეციაში (იტალია), პეტერბურგში, მოსკოვში (რუსეთი), ლა კორუნიაში (ესპანეთი), ინსბრუკში (ავსტრია) და ბრიუსელში (ბელგია).

ბატონი ვახტანგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, ავსტრია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, კანადა, ესპანეთი, პოლონეთი, შვედეთი, იაპონია). იგი ავტორია 100-მდე ნაშრომისა, რომლებიც გამოცემულია მრავალ ქვეყანაში (საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, საბერძნეთში, რუსეთში, ინგლისში, დანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ავსტრალიაში, ურუგვაიში).

ბატონი ვახტანგის მოღვაწეობა აღნიშნულია რამოდენიმე ჯილდოთი. მას მინიჭებული აქვს:

2013 - საქართველოს პრეზიდენტის “ბრწყინვალების ორდენი”

2016 – წმ. გრიგოლ ფერაძის პრემია (პოლონეთი).

2018 - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი.

2018 - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

ვ. ლიჩელი არის ქ. ბორჯომის საპატიო მოქალაქე.

ვ. ლიჩელი ვეტერანი რაგბისტია.

ლ. ახალაია

დარეჯან კაჭარავა

ვერცხლის სამკაულის ერთი ჯგუფი ვანის სამარხებიდან

ვანის ნაქალაქარზე 2002-2005 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ოქროს მრავალრიცხოვან ნიმუშებსა და სხვა სახის მასალებთან ერთად ვერცხლის მცირე ზომის სამკაულის რამდენიმე სახეობაც გამოვლინდა. კერძოდ, № 22 სამარხში ოქროს ნივთების შემცველი დერგის ჩრდილოეთით ვერცხლის ნივთების გროვა დადასტურდა, რომელზეც ზემოდან იდო ოქროს მილაკი, უხვად შემკული ცვარათი; იქვე დაფიქსირდა კოლხური ტრიობოლების ორი გროვა (14; გვ. 26; 35; გვ. 117-127) - სურ. 1-2. სამწუხაროდ, ვერცხლის ნივთები ძლიერ დაზიანებულია, თუმც პირამიდისებური მოყვანილობის სამკაულის, სფერული მძივებისა და მილაკების იდენტიფიცირება მოხერხდა. მილაკები (ინვ. № 07:1-03:1707) ფრაგმენტების სახით იყო მოღწეული. ყველაზე გრძელი ფრაგმენტის სიგრძე - 2,1 სმ-ს აღწევს. ერთი მძივის ფრაგმენტია (ინვ. № 07:1-03:1708) შემორჩენილი (დმ – 0,6 სმ). მძივი ორი ნახევარსფეროს მირჩილვითაა მიღებული, სფეროსებურია, ოდნავ წაგრძელებული. გვერდშეზნექილი პირამიდის მოყვანილობის სამკაულიდან (ინვ. № 07:1-03:1709), რომელსაც წვერზე ნახვრეტი აქვს, 2 მთელი ნიმუში შემორჩა (სიმაღლე - 1 სმ, წახნაგის სიგანე - 1 სმ), დანარჩენი მეტად ფრაგმენტირებულია (სურ. 3-5).

№ 22 სამარხში ვერცხლის ასეთივე სამკაულები (მძივების გამოკლებით) ინვენტარის კიდევ ერთ - ცხენის აკაზმულობის - გროვაში აღმოჩნდა, თუმც მცირე რაოდენობით (სურ. 6). კერძოდ, ამ გროვაში ვერცხლის სარტყელთან დაფიქსირდა მილაკები (ინვ. №№ 07:1-03:1816, 1823), რომელთაგან სამი მთელია (სიგრძე - 4,4 სმ, დმ - 0,3 სმ), ორი კი – ფრაგმენტული. ერთ ფრაგმენტში ვერცხლისავე მავთულია შერჩენილი (მავთულის სიგრძე – 2 სმ). აქვე აღმოჩნდა გვერდშეზნექილი პირამიდის მოყვანილობის, წვერზე ნახვრეტიანი სამკაული (ინვ. № 07:1-03:1817), ორი ცალი, მთელი (სიმაღლე - 1 სმ, წახნაგის სიგანე - 1 სმ) და ნახევარსფერული, დაღარული სამკაული (ინვ. № 07:1-03:1819), სამი ცალი (სიმაღლე – 1,2 სმ, დმ – 2 სმ, სურ. 3, 5-6). ამ უკანასკნელთაგან ერთი ნაკლულია. როგორც ჩანს, ისინი ვერცხლისა და ბრინჯაოს მინიატურულ ზარაკებთან და მინისა და მინისებური პასტის მძივებთან ერთად ვერცხლის სარტყლის კიდეებზე იყო შებმული; თანაც ვერცხლის მილაკს აგვირგვინებს ნახევარსფერული სამკაული (14; გვ. 15-16, ტაბ. XIII, 5-7). აღსანიშნავია, რომ ამავე, № 22 სამარხში აღმოჩენილ ოქროს სამკაულს შორის დადასტურდა დაღარული ნახევარსფერული სამკაულიც – 4 ცალი (10; გვ. 69, ტაბ. III, 16; ინვ. № 07:1-03:1677, 1678 და 1681, მუზ. №№ 31-2006/44, 45, 47, სურ. 7). როგორც ჩანს, ასეთ წვრილ სამკაულს არა მარტო ვერცხლისგან, არამედ ოქროსგანაც ამზადებდნენ.

განხილულის მსგავსი ვერცხლის სამკაული № 24 სამარხშიც აღმოჩნდა, თანაც გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში (36; გვ. 291-309; 37; გვ. 126-205; 38; გვ. 288-289, სურ. 44a-b). ამჯერად ვერცხლის სამკაულები მთავარი მიცვალებულის არესთან, მის აღმოსავლეთ კიდესთან დაფიქსირდა, ერთ გროვად (სურ. 8-9). ვერცხლის სამკაულზე ზემოდან იდო ოქროს მილაკი, შემკული ცვარათი,

ანალოგიური № 22 სამარხში აღმოჩენილისა. ამგვარივე ოქროს მილაკი აღმოჩნდა მთავარი მიცვალებულის არეზე მძივების დონეზე, რომლებიც ამკობდნენ სუდარას.

გროვა შედგებოდა მილაკების, სფეროსებური სადა მძივების, დაღარული ნახევარსფეროებისა და პირამიდისებური სამკაულისაგან; აქვე დადასტურდა პასტის იოტები. დაფიქსირდა მათი შემდეგი მონაცვლეობა: მილაკი, ორი პასტის იოტი, სფერული მძივი, ორი პასტის იოტი, მილაკი და ა.შ. (სურ. 11). მსგავსი ვერცხლის მილაკები, სფეროსებური მძივები, დაღარული ნახევარსფეროსა და პირამიდისებური სამკაული მცირე რაოდენობით მთავარი მიცვალებულის არეზეც აღმოჩნდა. კერძოდ, ურთიერთმონაცვლე მილაკებისა და სფეროსებური მძივების, აგრეთვე პასტის იოტების რიგი გადადიოდა ვერცხლის ვაზაზე (სურ. 10) და უერთდებოდა პირამიდისებურ სამკაულს; პირამიდისებური სამკაული აღმოჩნდა როგორც მარჯვენა (ერთი ც.), ასევე მარცხენა მაჯის არესთან (ხუთი ც.).

№ 24 სამარხის სფეროსებური მძივები (ინვ. № 07:1-04:642, 1858, 1928, მუზ. № 13-2007:45), რომლებიც ღერძის გასწვრივ ასევე მცირედ წაგრძელებულია, სადაა; მიღებულია ორი ნახევარსფეროს მირჩილვით. მძივების დიამეტრი 0,4 სმ-ა (სურ. 12). შემორჩენილია 89 მთელი მძივი და ფრაგმენტები. მეტ-ნაკლებად მთელი მძივების თანამედროვე ასხმის სიგრძე 1,46 მ-ა.

ამავე სამარხის ვერცხლის მილაკები (ინვ. № 07:1-04:612, 641, 1404, 1540, 1658, 1857, 1928, 2296, მუზ. № 13-2007:44) ზემოთ განხილულის მსგავსად მიღებულია ფირფიტის წრიულად მოღუნვით ისე, რომ ბოლოები ერთმანეთზე გადასულია და არ არის მირჩილული. მაგრამ ისინი ზომებით ჩამოუვარდება № 22-ისას. მათი მაქსიმალური სიგრძე 2,5 სმ-ს აღწევს, მინიმალური – 1 სმ-ს, ხოლო დიამეტრი 0,3 სმ-სა და 0,15 სმ-ს შორის მერყეობს (სურ. 13). მეტ-ნაკლებად მთელი ნიმუშების თანამედროვე ასხმის სიგრძემ 3,80 მ-ს მიაღწია.

ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდის სახის ვერცხლის სამკაული (№ 07:1-04:1404, 1859, 1668, 2065) 10 მთელი ნიმუშისა და ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. მათი სიმაღლე 0,6-0,7 სმ-ა (სურ. 14).

რაც შეეხება დაღარული ნახევარსფეროს სახის სამკაულს (№ 07:1-04:1541), ის მხოლოდ ერთი მეტ-ნაკლებად მთელი ნიმუშითა (სიმაღლე – 1 სმ, დმ – 1,6 სმ) და რამდენიმე ფრაგმენტით არის წარმოდგენილი (სურ. 15).

განხილული ტიპის ვერცხლის სამკაულები აღმოჩენილი იყო ვანის № 11 სამარხშიც (15; გვ. 227-230), რომელიც უფრო ადრეულია - ძვ.წ. V საუკუნის შუახანებით თარიღდება. ვერცხლის წვრილი სამკაული ამ სამარხში საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოვლინდა, თანაც უფრო ფართო ასორტიმენტით და კარგად შემორჩენილი. ეს გახლავთ სფერული მძივები (2000 ცალზე მეტი), მილაკები – სხვადასხვა ზომისა, როგორც სადა, ასევე ნაჭდევებით ან/და მავთულით შემკული ბოლოებით (დაახლ. 1300 ც.); სხვადასხვაგვარი ნახევარსფერული სამკაული (392 ც.), რომელთა უმრავლესობა (353 ც.) დაღარულზედაპირიანია; პირამიდული სამკაული (35 ც.), ბიპირამიდული სამკაული (54 ც.), ტახის გამოსახულებიანი საკიდები (5 ც.) – ინვ. №№ 10-975:74-85). ჩვენი ინტერესის სფეროში შედის მძივები, სადა მილაკები, ნახევარსფერული და პირამიდული სამკაული. მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა, ღერძზე ოდნავ წაგრძელებული; დამზადებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვით (ღერძის სიგრძე 0,8 სმ, დმ – 0,7

სმ; ინვ. № 10-975:74, სურ. 16). მილაკები ორი სხვადასხვა ზომისაა. ერთი ჯგუფის სიგრძე 1,5-1,7 სმ-ა, დმ – 0,20-0,25 სმ. მეორე, უფრო მსხვილი მილაკების სიგრძე 2,3-2,5 სმ-ა, დმ – 0,3 სმ (ინვ. № 10-975:75, სურ. 17). ორივე ჯგუფის მილაკები ფირფიტის წრიულად მოკეცვის გზითაა მიღებული, რომლის კიდეები არ არის ერთმანეთზე მირჩილული და ერთმანეთზე გადადის. ამავე სამარხში მრავლადაა აღმოჩენილი ნახევარსფეროსებური სამკაული, შუაში ნახვრეტით, რომელიც ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: 1. ტანდაღარული ნახევარსფეროები, სამი სხვადასხვა ტვიფრით გამოყვანილი (8, 9 ან 10 ღარიანი; სიმაღლე – 6,7 მმ, დმ – 10,5-12 მმ; ინვ. № 10-975:79, სურ. 18); 2. ოდნავ დაბრტყელებული ტანდაღარული საკიდები, 12-13 ღარიანი; უმეტესობას ნახვრეტის გარშემო წრე გასდევს, რომელსაც გარს უვლის ამოჭდეული წერტილები. რამდენიმეზე ნახვრეტის გარშემო პირდაპირ ამოჭდეული წერტილებია (სიმაღლე – 8-9 მმ, დმ – 17-18 მმ. № 10-975:80, სურ. 19). ვერცხლის სამკაულებს შორის № 11 სამარხში აღმოჩენილია პირამიდის მოყვანილობის საკიდებიც. პირამიდას ძირი არა აქვს, მის წვერზე ნახვრეტია; კიდეები და წახნაგები კი ამოჭდეული წერტილებითაა შემკული (სიმაღლე – 9 მმ, გვერდის სიგანე – 24-25 მმ. № 10-975:85, სურ. 20). ზემოთგანხილული სამკაული მხოლოდ მთავარი მიცვალებულის არეზე დადასტურდა.

აღსანიშნავია, რომ მთავარი მიცვალებულის მარჯვენა მკლავთან იყო კონცენტრირებული მილაკებისა და მძივების ერთი ჯგუფი (ინვ. №10-975:78), რომელშიც დადასტურებულია მილაკებისა და მძივების გარკვეული მონაცვლეობა. კერძოდ, მილაკები განლაგებული იყო სიგრძივ სამ რიგად, მძივები კი - ოთხ რიგად. მილაკების სიგრძე 5,6 სმ-ა, დმ – 0,4 სმ. როგორც ყველა ადრე ნახსენებ შემთხვევაში, მილაკები მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად; კიდეები ერთმანეთზე გადადის, არ არის მირჩილული (სურ. 21). მძივები სფეროსებურია, ღერძზე ოდნავ წაგრძელებული; მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვით. მძივების ღერძის სიგრძე 1,0 სმ-ა, დმ – 0,9 სმ (სურ. 22). როგორც ჩანს, საქმე გვაქვს № 24 სამარხის ვერცხლის წვრილი სამკაულის ანალოგიურ შემთხვევასთან.

თითქმის ასეთივე შედგენილობისაა, აკლია მხოლოდ ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდის მოყვანილობის ელემენტები, ვერცხლის სამკაულების კომპლექტი საირხის სამაროვნიდან, კერძოდ № 13 სამარხიდან, რომელიც ყველაზე ადრეულია და ყველაზე მდიდრული აქ გამოვლენილ სამარხებს შორის – მიეკუთვნება ძვ.წ. V საუკუნის პირველ ნახევარს. ვერცხლის სამკაულები აღმოჩნდა მთავარი მიცვალებულის თავის არეში, ოქროს დიადემასთან, წყვილ სხივანა საყურესა და საკერებელ ფირფიტასთან ერთად. ამრიგად, ამჯერად ამ სამკაულების ფუნქცია ნათელია – ისინი თავსაბურავს ამკობენ. გარკვეულია მათი სახეობების განლაგებაც: ოთხფა ძაფზე ასხმულია მილაკი, რომელსაც მოსდევს მინისებური პასტის სამი იოტი, ვერცხლის მძივი, შემდეგ კვლავ სამი იოტი და მილაკი და ასე მეორდება ეს თანამიმდევრობა. რამდენიმე ასეთი ასხმა გაერთიანებულია ნახევარსფერული დაბოლოებით. შემორჩენილია ქსოვილის ნაშთები, რაც შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რომ ასხმები ქსოვილზე იყო დაკერებული (16; გვ. 90, სურ. 82). როგორც ზემოთ აღინიშნა, ვანის №№ 22 და 24 სამარხში ვერცხლის სამკაულის ასხმაში ელემენტების ასეთივე მონაცვლეობა დადასტურდა.

ამრიგად, საირხეში მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვანის №№ 22 და 24 სამარხების შემთხვევაშიც თავსაბურავთან თუ მანტიასთან გვაქვს საქმე.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ვანში უკანასკნელ ხანებში ჩატარებული გათხრების ერთი მონაცემი: კერძოდ, № 22 სამარხის ვერცხლის სარტყელი გვიჩვენებს, რომ მილაკები და დაღარულზედაპირიანი ნახევარსფერული სამკაული სხვა ფუნქციითაც იხმარებოდა - ამკობდა ცხენის ვერცხლის სარტყელს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ვერცხლის წვრილი სამკაულის ზემოთ აღწერილი სახეობები ანალოგიებს თანადროულ ოქროს სამკაულებთან პოულობს, თუმც ასეთი ანალოგიები შედარებით იშვიათია, გაცილებით მცირე რაოდენობითაა დადასტურებული და ძირითადად უფრო ადრეულ კონტექსტშია აღმოჩენილი. კერძოდ, № 11 სამარხში ოქროს 10 მილაკი დადასტურდა მესამე მიცვალებულის გულმკერდის არეში, ერთ გროვად 16 სფერულ მძივთან და ერთ ბიპირამიდულ სამკაულთან ერთად. მილაკები სადაა, მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვით, კიდეები ერთმანეთზეა გადასული, მირჩილული არ არის. მათი სიგრძე 1,6-1,8 სმ-ა, დმ – 0,2 სმ. ბიპირამიდული საკიდი მიღებულია ორი პირამიდის ერთმანეთთან შეერთების შედეგად; ღერძების გასწვრივ ნახვრეტებია, რომელთა გარშემო შემოვლებულია დაკეჭნილი მავთული (ღერძების სიგრძე – 0,9 სმ და 1,1 სმ); მძივები სადაა, სფერული (დმ – 0,45 სმ, ღერძის სიგრძე – 0,5 სმ) (15; გვ. 232; 25; გვ. 36, 106, კატ. № 26, სურ. 19). ისიც აღსანიშნავია, რომ № 11 სამარხის ოქროს ერთადერთი ბიპირამიდული სამკაული ამავე სამარხის ვერცხლის ბიპირამიდულ სამკაულებთან პოულობს ანალოგიას, რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტია (იხ. 15; გვ. 232; 25; გვ. 36, 106, კატ. № 26, სურ. 19) - სურ. 23 და 24. როგორც უკვე აღინიშნა, ზემოთ განხილული ვერცხლის სამკაულის ანალოგიები, დამზადებული ოქროსაგან, ვანის № 22 სამარხში, დერგში მოთავსებულ ოქროს სამკაულს შორისაც დადასტურდა. ესაა დაღარული ნახევარსფერული სამკაული (10; გვ. 69, ტაბ. III, 16) - სურ. 7.

განსახილველი ვერცხლის სამკაულის ანალოგიები, ოღონდ ბრინჯაოსაგან დამზადებული, ვანშიც არის დადასტურებული, ოღონდ უკიდურესად მცირე რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს ასეთი სამკაული მეტად იშვიათია აღმოსავლეთ საქართველოშიც. კერძოდ, ამგვარი ნივთები ერთმანეთთან ახლოს მდებარე ქასრაანთმიწებისა და „დაჭრილების" ბორცვის სამაროვნებზე (კავთისხევის მუნიციპლიტეტი) აღმოჩნდა. მათგან პირველზე გათხრილი 30 ორმოსამარხიდან, რომლებიც ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება, ჩვენთვის საინტერესო ნივთს მხოლოდ ერთი შეიცავს. კერძოდ, N 24 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამკაული, რომელიც პუბლიკაციაში აღწერილია როგორც „ღილი, ვარსკვლავის ფორმის, შუაში გახვრეტილი" და შეესაბამება ჩვენი აღწერილობის ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდის ფორმის სამკაულს (4; გვ. 22, ტაბ. XXI, 7). რაც შეეხება „დაჭრილების" სამაროვანს, რომელიც ზოგადად ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება, აქ გათხრილი 25 ქვევრსამარხიდან ბრინჯაოს სამკაული, რომელიც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს, მხოლოდ 2-ში დაფიქსირდა. ორივე ბავშვის სამარხია. N 6 სამარხში აღმოჩენილი სამკაული (1 ცალი) ასევე პირამიდისებურია, ჩაზნექილგვერდებიანი; მიჩნეულია ღილად. პუბლიკაციაში მისი აღმოჩენის ზუსტი ადგილი არ არის მითითებული. N 14 სამარხში (ბავშვის)

ინვენტარი ძვლებთან ერთად იყო ჩაცურებული ქვევრის ჩრდილოეთ მხარეს. ინვენტარში შედიოდა ბრინჯაოს ერთი ასეთივე სამკაული („ოთხკუთხა, დანაოჭებული, შუაში გახვრეტილი"), ამჯერად განსაზღვრული საკიდად (18; გვ. 32, 35; ტაბ. XXVIII, 8; XXXIV, 11; იხ. აგრეთვე 32; გვ. 121, ტაბ. 52, 1). გვერდებჩაზნექილი პირამიდის ფორმის სამკაული კიდევ ერთ ძეგლზე დადასტურდა – კერძოდ, ზემო გოსტიბეში შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში, რომელსაც ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით ათარიღებენ. გამთხრელის აღწერილობით, ესაა ბრინჯაოს ვარსკვლავის მსგავსი „ღილების" ფრაგმენტები, რომელთაც ქიმების შეყრის ადგილას ნახვრეტი აქვთ (24; გვ. 23, სურ. 8).

ერთი სიტყვით, ზემოთ განხილული ვერცხლის სამკაულის სახეობები სხვა ლითონისგანაც მზადდებოდა ადრეანტიკურ ხანაში: კერძოდ, დადასტურებულია ოქროს სფეროსებური მძივები, მილაკები, დაღარული ნახევარსფეროს ფორმის სამკაული. ჯერჯერობით ოქროსგან დამზადებული ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდისებური სახეობა არ არის აღმოჩენილი, თუმც ცნობილია ბრინჯაოს ნიმუშები.

დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული ვერცხლის სამკაულის ორი სახეობა უფრო ადრეულ ძეგლებზეც არის დადასტურებული, ოღონდ ყველა დამზადებულია ბრინჯაოსაგან. ასე, ჩვენი აღწერილობის ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდისებური სამკაული, ბრინჯაოსგან დამზადებული, აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილია თრიალეთში, მარალდერესის სამაროვანზე, რომელიც ვანის ეპოქას მიეკუთვნება (ე.ი. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს). ესაა „ოთხწახნაგა საკერებელი შუაში ნახვრეტით" (28; ტაბ. XXIV); სამთავროს წინაანტიკური ხანის სამარხებიდან, რომლებსაც ა. კალანდაძე ზოგადად ძვ.წ. XI-VI საუკუნეებს აკუთვნებს, № 11 სამარხში (1938 წ.) 7 ც. „ვარდული" დადასტურდა (9; კატ. № 78, სურ. 77-80); ამავე სამაროვნის № 38 სამარხში, რომელსაც რ. აბრამიშვილი ძვ.წ. VIII-VII ს. პირველ ნახევარს აკუთვნებს, აღმოჩენილია ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდის ფორმის ბრინჯაოს ვარდული (1; ტაბ. I, 113). აღსანიშნავია, რომ სამთავროს № 215 სამარხში (ქვაყუთში), რომელიც ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება, ასევე აღმოჩნდა ბრინჯაოს ვარდული (20; გვ. 57, ტაბ. I, 4). მცხეთის მიდამოებში ციხედიდისხევში გათხრილ № 13 ყორღანულ სამარხში აღმოჩნდა გვერდებჩაზნექილი პირამიდის მოყვანილობის სამკაული, დამზადებული ბრინჯაოსაგან (26; გვ. 49, ტაბ. 77, *6*). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამთხრელები ყორღანს ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს აკუთვნებენ, თუმც ამ ყორღანში აღმოჩენილი ბალთა სპეციალისტების მიერ უფრო გვიანდელ ხანას მიეკუთვნება. კერძოდ, ლ. ფანცხავა მას ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებს (40; გვ. 281, N 222). მსგავსი სამკაული გამოვლენილია ქვემო ქართლშიც, სამაროვანზე, რომელსაც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს აკუთვნებენ (2; გვ. 71, 80, ტაბ. XI). ასეთი სამკაული ცნობილია ბორნიღელეს № 32 სამარხიდანაც, რომელიც ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება (27; ტაბ. L, 10, 19], აგრეთვე მადნისჭალის სამაროვნიდან (8; გვ. 37, სურ. 16_{186}). ამ ტიპის ბრინჯაოს სამკაულები, ოღონდ უფრო დიდი ზომისა, აღმოჩენილია კნოლეს სამაროვანზე, რომელიც ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს მიეკუთვნება (19; გვ. 229, ტაბ. XX, 8; XXIV, 2). აღსანიშნავია ამ უკანასკნელ ხანებში რკინის ორი ასეთი სამკაულის აღმოჩენა სადგურ მარაბდის მახლობლად

გათხრილ ძვ.წ. VII-VI სს. სამაროვანზე (ძეგლის გამთხრელის გურამ კვირკველიას ინფორმაცია, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ). აღსანიშნავია, რომ თლიას სამაროვანზე ერთადერთი ასეთი სამკაულია აღმოჩენილი. ის დაფიქსირდა № 74ა სამარხში, რომელიც ბ. ტეხოვის მიერ ძვ.წ. XII-X საუკუნეებით დათარიღებულ II ჯგუფს მიეკუთვნება (30; გვ. 22, ტაბ. 52, 6).

განსახილველი სამკაული დასავლეთ საქართველოშიც არის დადასტურებული წინარეანტიკური ხანის კომპლექსებში. კერძოდ, ბრინჯაოსგან დამზადებული ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდისებური სამკაული აღმოჩენილია წითელი შუქურას № 21 (23) სამარხში, რომელსაც გამთხრელი ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს აკუთვნებს, ხოლო სამკაულს საკიდად მიიჩნევს (31; გვ. 99, ტაბ. 7, 19; იხ. აგრეთვე 34; S. 378, Taf. 155, 10e). ბრინჯაოს ანალოგიური სამკაული დაფიქსირდა ეშერის ნაქალაქარზე, დაზიანებულ სამარხში (33; გვ. 53, ტაბ. LXXV, 1).

ბრინჯაოს ნახევარსფერული დაღარული სამკაული („ვარდულა") დაფიქსირებულია ნარეკვავის სამაროვანზე, რომელიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს განეკუთვნება, როგორც სამარხში, კერძოდ, 29-ე სამარხში (3; გვ. 29, სურ. 167), ასევე შემთხვევითი ხასიათის მონაპოვრებს შორის (6; გვ. 40, № 283, სურ. 185); „ვარდულებს" უწოდებს ასეთ 28 სამკაულს (მუზ. N 14-54:5017) რ. აბრამიშვილი სამთავროს სამაროვნის N 191 სამარხიდან, რომელსაც ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარს-VI საუკუნეს აკუთვნებს (1; ტაბ. I, 73). ერთი ნახევარსფერული სამკაული აღმოჩენილია აგრეთვე დმანისის სამაროვანზე, რომელსაც გ. ნიორაძე ძვ.წ. X-IX საუკუნეებით ათარიღებს (22; გვ. 22, სურ. 12e).

აღსანიშნავია, რომ განხილული სამკაულების თითო-ოროლა ნიმუში ადრერომაულ ხანაშიც გვხვდება. მაგალითად, ახ.წ. I-II საუკუნეების წიწამური-III სამაროვანზე, № 14 სამარხში მიცვალებულის გულ-მკერდის არეში დადასტურებულია ბრინჯაოს „ვარდული, ოთხკუთხა, დაწახნაგებული, ნახვრეტით ტანისამოსზე დასამაგრებლად", ე.ი. ჩვენი აღწერილობის ჩაზნეწილგვერდებიანი პირამიდისებური სამკაულია (21; გვ. 100, სურ. 587, 599). ხოლო დასავლეთ საქართველოში ძევრის სამაროვანზე, რომელიც ახ.წ. II-III საუკუნეებით თარიღდება, ბრინჯაოს სამი ცალი საკიდია აღმოჩენილი ქვევრსამარხში, გოფრირებული, მსგავსი ვანის ნახევარსფეროსებური დაღარული სამკაულისა (5; ტაბ. I, 1).

ნახევარსფეროსებური და პირამიდისებური ფორმის სამკაულის დანიშნულება მათი დამზადების ამ ადრეულ ეტაპზე (ძვ.წ. VIII-VI სს.) არ არის კარგად გარკვეული. გამთხრელები მათ უწოდებენ ხან საკერებლებს, ხან ვარდულებს, ხან საკიდებს, ხან კი – ღილაკებს. რაც შეეხება ადრეანტიკურ ხანას, საირხის მონაცემების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ვერცხლის წვრილ სამკაულებს სფერული მძივებისა და მილაკების სახით (პასტისებური მასის იოტებთან ერთად) ქსოვილზე (მანტიაზე, თავსაბურავზე) აკერებდნენ, ნახევარსფერული და პირამიდისებური სამკაული კი ფოჩების შესაერთებლად და დასაფარად გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია, რომ № 22 სამარხში ვერცხლის ნივთების გროვაზე იდო ოქროს მილაკი, რომელიც ორივე მხარეს ბოლოვდება მძივისებური შემსხვილებით; ერთ მხარეს შემსხვილებას მოსდევს ორი შვერილი (სურ. 25). ეს ნივთი მდიდრულადაა მორთული გრანულაციით გამოყვანილი გეომეტრიული სახეებით: თვით მილაკი

მთლიანად დაფარულია სამკუთხედებით, მძივისებური შემსხვილებები შემკულია ცვარას რიგებით, ხოლო შვერილები – სამკუთხედებით (14; ტაბ. IX, 5). ასეთი მილაკები № 24 სამარხშიც აღმოჩნდა: ერთი მილაკი იდო ვერცხლის წვრილი ნივთების გროვაზე, ხოლო ორი მათგანი აღმოჩნდა მთავარი მიცვალებულის არეზე მძივების დონეზე, რომლებიც ამკობდნენ სუდარას. ვანს გარდა ასეთი მილაკი ცნობილია საირხის № 8 სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებით თარიღდება (17; გვ. 50, 55, ტაბ. V, 1). ამ მილაკების დანიშნულება გაურკვეველია. თუმც მათი ადგილმდებარეობა ვანის სამარხებში იძლევა საშუალებას, რომ რომ ისინიც დავუკავშიროთ ქსოვილის შემკობას ვერცხლის წვრილ სამკაულთან ერთად.

ზემოთ განხილული მასალები ადასტურებენ წვრილი სამკაულის გარკვეული სახეობების (დაღარული ნახევარსფეროები, ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდები) პოპულარობას დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე. კონტინუიტეტი რამდენიმე საუკუნე გრძელდება.

გამოიკვეთა ვერცხლის სამკაულის სისტემური ხასიათიც, ისევე როგორც ოქროსი. წარჩინებულთა ოქროს სამკაული, როგორც წესი, მთელი კომპლექტის სახით არის ხოლმე წარმოდგენილი. ამ კომპლექტში კი შედის: რთული თავსამკაული (რომელიც შედგება დიადემის, და/ან საშუბლე სამკაულის, და/ან ცენტრალური სამაგრის, სასაფეთქლეების, საყურეების, დასაკერებელი ფირფიტებისაგან), ყელსაბამები, სამაჯურები, საბეჭდავი-ბეჭდები. რაც შეეხება ელიტის წარმომადგენლების ვერცხლის პირადი სამკაულის კომპლექტს, ასეთი რამ, ჯერჯერობით მაინც, ჩვენს ძეგლებზე არ არის დადასტურებული. პირადი სამკაულიდან მხოლოდ დიადემებს, საკისრე რგოლებს, სამაჯურებსა და ბეჭდებს ამზადებდნენ ვერცხლისაგან; მეტად იშვიათია საყურეები, ფაქტობრივად არ ჩანს ვერცხლის სასაფეთქლეები და ყელსაბამები. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ვერცხლის დიადემა მთავარი მიცვალებულის თავზე, ჯერჯერობით მაინც, არ დადასტურებულა, თუმც ცნობილია შემთხვევა, როდესაც ვერცხლის დიადემა მთავარი მიცვალებულის მკერდზე იყო მოთავსებული (მაგალითად, საირხის № 13 სამარხში (16; გვ. 90). ვანში ერთი შემთხვევაა ცნობილი (№ 6 სამარხი), როდესაც ელიტის წარმომადგენელს, რომელიც, სხვათა შორის, თანმხლები პირების გარეშეა დაკრძალული, ოქროს დიადემასთან ერთად ვერცხლის დიადემაც აქვს ჩატანებული (23; გვ. 113-114, 116]. ვერცხლის დიადემა ჩვეულებრივ თანადაკრძალულებს ამკობდა ხოლმე (მაგალითად, საირხის № 5 და 13 სამარხებში (16; გვ. 55-56, 93); ვანის № 11 სამარხში მეორე მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის ორი დიადემა ერთად, მესამეს კი – მხოლოდ ერთი (15; გვ. 24).

ვანის № 12 სამარხში დაკრძალული, სავარაუდოდ, შვიდი თანმხლები პირიდან სამს აღმოაჩნდა ვერცხლის საკისრე რგოლი (აქედან ორი გამოქვეყნებულია როგორც ბრინჯაოსი (შდრ. 11; გვ. 25-27, 76, სურ. 105), მაგრამ 2017 წელს სარესტავრაციო-გაწმენდითი სამუშაოს ჩატარებამ გამოავლინა, რომ ისინი ვერცხლისაა); №16 სამარხში, სადაც დაკრძალულთა რაოდენობა ვერ დგინდება და ვერც მთავარი მიცვალებული გამოიკვეთა, ვერცხლისა და ბრინჯაოს საკისრე რგოლები ერთად აღმოჩნდა – ბრინჯაოს ხატისუღელი ზემოდან ედო ვერცხლისას (12; გვ. 28); № 22 კოლექტიურ სამარხში, რომელშიც მთავარი მიცვალებული არ ჩანს, ვერცხლის საკისრე რგოლი ხუთიდან 3

მიცვალებულს ეკეთა (№ 1, 4 და 5) (14; გვ. 6-11], ხოლო № 24 სამარხში, რომელშიც მთავარი მიცვალებული ადვილი გამოსარჩევია მისი ცენტრალური მდებარეობითა და მდიდრული სამარხეული ინვენტარით, ვერცხლის საკისრე რგოლი 4 თანადაკრძალულს ეკეთა (38; გვ. 267, სურ. 23-24). ასე რომ ვანში ვერცხლის დიადემები და საკისრე რგოლები, როგორც წესი, მთავარი მიცვალებულის თანმხლები პირების კუთვნილია. საირხის სამაროვანზე ვერცხლის საკისრე რგოლები ასევე თანმხლებ პირებს ამკობს - № 5 სამარხის პირველ და მეორე თანმხლებ პირებს (16; გვ. 69-70, ფოტო 108). ვერცხლის საკისრე რგოლი აღმოჩნდა რამდენიმე ინდივიდუალურ სამარხში, რომელიც არა-ელიტის წარმომადგენლისაა: კერძოდ, მოდინახეს სამაროვანზე № 3 სამარხში (17; გვ. 29, ტაბ. XII, 1) და შრომისუბნის № 2 სამარხში. გამოთქმულია აზრი, რომ საკისრე რგოლები გარკვეული სტატუსის მანიშნებელი უნდა იყოს (38; გვ. 309).

ვერცხლის სამაჯურები ჩატანებული აქვთ ხოლმე როგორც თანადაკრძა-ლულებს, ასევე მთავარ მიცვალებულს. მაგალითად, საირხეში ვერცხლის სამა-ჯური აღმოაჩნდა № 8 სამარხის მთავარ მიცვალებულსა და № 5, 10 და 13 სამარხების თანმხლებ პირებს (16; გვ. 56, 65, 77, 93, სურ. 40, ფოტო 123, 154). ვანში № 3 (ქალის) სამარხში – აღმოჩნდა ვერცხლის სამაჯურები (ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურებთან ერთად), № 9 სამარხის მთავარ მიცვალებულს ვერცხლის სამი სამაჯური აქვს (15; გვ. 208], № 10 სამარხში დაკრძალულ ბავშვს – ერთი (15; გვ. 211-212], № 12 სამარხში მეორე მიცვალებულსაც – ერთი (11; გვ. 26), ხოლო № 11 სამარხის მესამე მიცვალებულს (თანადაკრძალულს) – ხუთი (15; გვ. 232); № 16 სამარხში აღმოჩენილი 27 სამაჯურიდან 5 ვერცხლისაა (12; გვ. 19-20, 28); № 19 სამარხში, რომელშიც ერთი ინდივიდი იყო დაკრძალული, აღმოჩნდა მხოლოდ ვერცხლის (და რკინის) სამაჯურები (29; გვ. 95-97), № 22 სამარხში - 2 თანადაკრძალულს (№№ 2 და 3) ჰქონდა ვერცხლის სამაჯური.

რაც შეეხება ვერცხლის ბეჭდებს, ვანში ისინი შემდეგ სამარხებში გამოვლინდა - № 9 სამარხში მთავარ მიცვალებულს ვერცხლის ორი საბეჭდავი-ბეჭედი აღმოაჩნდა (15; გვ. 203, 208), № 10 სამარხში ბავშვს - ვერცხლის ერთი საბეჭდავი-ბეჭედი (7; გვ. 90; 15; გვ. 212), № 16 სამარხში ვერცხლის ერთი საბეჭდავი-ბეჭედი (12; გვ. 28) აღმოჩნდა, № 19, ინდივიდუალურ სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, ვერცხლის 2 საბეჭდავი-ბეჭედია აღმოჩენილი (29; გვ. 95-97]; № 22 სამარხში ვერცხლის ბეჭედი ეკეთა № 3 დაკრძალულს, ხოლო № 24 სამარხში ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდები აქვს მთავარ მიცვალებულს, 1 ბეჭედი - № 1 თანადაკრძალულს. ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი აღმოაჩნდა საირხის № 8 სამარხის მთავარ მიცვალებულსაც (16; გვ. 65-66).

გვხვდება, თუმც გაცილებით იშვიათად, ვიდრე სხვა სახის სამკაულები, ვერცხლის საყურე რგოლები. კერძოდ, ვერცხლის საყურე რგოლები აღმოჩენილია ვანის № 24 სამარხში (თანადაკრძალულებთან); № 22 სამარხში № 5 მიცვალებულს აქვს ვერცხლის თავგახსნილი რგოლი (14, გვ. 11, ტაბ. XIII, 3), და ვერცხლის საყურე რგოლი დადასტურდა № 28 სამარხში (13; გვ. 161). უნდა აღინიშნოს ვერცხლის ნახევარმთვარისებური ფირფიტოვანი საყურეების აღმოჩენა ვანის № 23 სამარხში (13; გვ. 159).

დაბოლოს, გარდა პირადი სამკაულის ჩამოთვლილი სახეობებისა, ვერცხლისგან მზადდებოდა წვრილ-წვრილი სამკაული – ჩვენი ინტერესის საგანი, განკუთვნილი

ქსოვილის მოსართავად. უკვე აღინიშნა, რომ, როგორც წესი, ეს სამკაული იმეორებს იმავე ტიპის ოქროს ნიმუშების ფორმას. ისიც აღსანიშნავია, რომ ვერცხლის წვრილი სამკაული, როგორც წესი, მხოლოდ ელიტის წარმომადგენლების სამარხებში გვხვდება.

შეიძლება ითქვას ისიც, რომ ახლადმოპოვებული მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კოლხეთი არა მხოლოდ ოქრომრავალი, არამედ ვერცხლ-მრავალიც იყო. შემთხვევითი არაა, რომ ქვეყნის სიმდიდრეს ვერცხლით ბერძენ-რომაელი მწერლებიც ადასტურებენ, მაგალითად, სტრაბონი და პლინიუსი [Strabo, I, 2, 39; Plin., NH, XXIII, 52]. ჯერ კიდევ № 11 სამარხის მონაცემები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გველაპარაკა ვერცხლის სამკაულის სიმრავლეზე – მასში ხომ 5000-ზე მეტი ვერცხლის სამკაული აღმოჩნდა (39; გვ. 264-265]. 21-ე საუკუნის დასაწყისის აღმოჩენებმა ვანში ეს მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა.

ლიტერატურა

1. რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, - სსმმ, XIX-A და XXI-B, თბილისი, 1957, გვ. 115-140.
2. გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1974.
3. ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი, გ. მანჯგალაძე, მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე, მცხეთა – 82, 1982 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, - მცხეთა X, თბილისი, 1995, გვ. 6-57.
4. ე. ბერაძე, ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების" სამაროვნიდან, - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1980, გვ. 14-27.
5. ზ. ბრაგვაძე, გვიანანტიკური ხანის სამარხები ძევრიდან, - ძიებანი, 12, თბილისი, 2003, გვ. 89-97.
6. რ. დავლიანიძე, ნარეკვავის სამაროვანი, კატალოგი (1977-1979 წწ. განათხარი), - მცხეთა VII, თბილისი, 1985, გვ. 6-42.
7. ვ. თოლორდავა, ცენტრალური ტერასის ჩრდილო-დასავლეთი ფერდი (1975-1979 წწ. გათხრების შედეგები), - ვანი VIII, თბილისი, 1986, გვ. 89-92
8. ნ. თუშიშვილი, მადნისჭალის სამაროვანი, თბილისი, 1972.
9. ალ. კალანდაძე, სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეული კომპლექსები, ძვ.წ. XI-VI სს. = მცხეთა, VI, თბილისი, 1982, გვ. 7-138.
10. დ. კაჭარავა, ოქროს სამკაული ვანის № 22 სამარხიდან, - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, ტ. XXVI, ქუთაისი, 2016, გვ. 64-77.
11. დ. კაჭარავა, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი, არქეოლოგიური გათხრები ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.), - ვანი IV, თბილისი, 1979, გვ. 7-37.
12. დ. კაჭარავა, ზ. მჟავანაძე, ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები, - ვანი VIII, თბილისი, 1986, გვ. 9-33.

13. დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანიდან, I ნაწილი (გაძარცული სამარხები), - იბერია-კოლხეთი, 16, თბილისი, 2016, გვ. 157-193.
14. დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანიდან, II ნაწილი (N 22 სამარხი), - იბერია-კოლხეთი, 14, 2018, გვ. 5-63.
15. ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, - ვანი, I, თბილისი, 1972, გვ. 198-242.
16. გ. მახარაძე, მ. წერეთელი, საირხე, თბილისი, 2007.
17. ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1975.
18. ნ. ნაკაიძე, ძვ.წ. IV-III საუკუნეების ქვევრსამარხები "დაჭრილების" სამაროვნიდან, - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1980, გვ. 28-41.
19. გ. ნარიმანიშვილი, ნ. შანშაშვილი, კნოლეს ნამოსახლარი და სამაროვანი, - ძიებანი, 23, თბილისი, 2016, გვ. 224-262.
20. ვ. ნიკოლაიშვილი, გ. მანჯგალაძე, გ. ნარიმანიშვილი, სამთავროს ადრეანტიკური ხანის ქვასამარხი, - იბერია-კოლხეთი, 8, თბილისი, 2012, გვ. 57-61.
21. ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ნარიმანიშვილი, წიწამური III, - მცხეთა X, თბილისი, 1995, გვ. 58-96.
22. გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, - სსმმ, XIV- B, თბილისი, 1947, გვ. 1-66.
23. რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია, ა. ჭყონია, ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ვანი I, თბილისი, 1972, გვ. 111-134.
24. ტ. ჩუბინიშვილი, გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, - სსმმ, ტ. XVI-B, 1950, გვ. 9-34.
25. ა. ჭყონია, ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან = ვანი VI, თბილისი, 1981.
26. А.М. Апакидзе, В.В. Николаишвили, А.Н. Сихарулидзе, К.М. Мелитаури, Ю.Г. Гагошидзе, Д.Г. Хецуриани, Г.Д. Гиунашвили, Г.Н. Манджгаладзе, Г.К. Нариманишвили, Р.В. Давлианидзе, В.Г. Садрадзе, Н.В. Глонти, Ш.А. Иремашвили, Археологические раскопки в Мцхета и ее округе, - ПАИ в 1984-1985 гг., Тбилиси, 1987, сс. 47-51.
27. О.С. Гамбашидзе, И.О. Гамбашидзе, Работы Месхет-Джавахетской экспедиции, - ПАИ 1983, Тбилиси, 1986, сс. 21-27.
28. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941.
29. О. Д. Лордкипанидзе, Р. В. Путуридзе, Н. Н. Матиашвили, Г. Т. Квирквелиа, А. М. Чкония, М. С. Пирцхалава, Г. Г. Кипиани, Г. А. Инаури, Археологические исследования Ванского городища, - ПАИ 1987, Тбилиси, 1995, сс. 93-100.
30. Б.В. Техов, Тлийский могильник, I, Тбилиси, 1980.
31. М.М. Трапш, Древний Сухуми = Труды 2, Сухуми, 1969.
32. Г. Цкитишвили, Дж. Гветадзе, Н. Накаидзе, Э. Берадзе, А. Рамишвили, Ш. Иремашвили, Р. Квиташвили, Л. Челидзе, А. Нуцубидзе, Итоги работ Кавтисхевской археологической экспедиции, - ПАИ 1976, Тбилиси, 1979, сс. 117-130.
33. Г.А. Шамба, Эшерское городище, Тбилиси, 1980.

34. J. Apakidze, Die Spätbronze- und Früheisenzeit in West- und Zentralkaukasien, Chronologische Studien zur Kolchis Kultur 1600-700 v.Chr., Rahden/Westf., 2009, Teil 2.
35. D. Kacharava, A rich grave from the Vani site, - Phasis, Greek and Roman Studies, vol. 7, Tbilisi, 2004, pp. 117-127.
36. D. Kacharava, Recent finds at Vani, - Dialogues d'histoire ancienne, Supplément 1, Presses Universitaires de Franche-Comté, Paris, 2005, pp. 291-309.
37. D. Kacharava, G. Kvirkvelia, The golden graves of ancient Vani, - Wine, Worship and Sacrifice, edited by J.Y. Chi, New-York, 2008, pp.126-205.
38. D. Kacharava, G. Kvirkvelia, Recent finds on the upper terrace of the Vani site, - Ancient Civilizations from Scythia to Siberia, 14, 2009, pp. 237-315.
39. Tchqonia A., L'orfèvrerie de la Colchide antique sur le site de Vani, - Le Pont-Eixin vu par les grecs, eds. Otar Lordkipanidzé et Pierre Lévêque, Paris, 1990, pp. 261-265.
40. Unterwegs zum Goldenen Vlies, Archäologische Funde aus Georgien, Hrsgb. von Andrei Miron and Winfried Orthmann, Saarbrűcken,1995.

ტაბულების აღწერილობა

1. სამარხი № 22, საერთო ხედი.
2. სამარხი № 22, ვერცხლის სამკაულების გროვა.
3. სამარხი № 22, ვერცხლის სამკაულები – მილაკები, პირამიდული, ნახევარსფერული.
4. სამარხი № 22, ვერცხლის სამკაულები – პირამიდული.
5. სამარხი № 22, ვერცხლის სამკაულები – დაღარული ნახევარსფეროები.
6. სამარხი № 22, ცხენის აკაზმულობის გროვა.
7. სამარხი № 22, ოქროს სამკაულები – დაღარული ნახევარსფეროები.
8. სამარხი № 24, საერთო ხედი.
9. სამარხი № 24, მთავარი მიცვალებულის არე.
10. სამარხი № 24, ვერცხლის ვაზა და წვრილი სამკაულები.
11. სამარხი № 24, ვერცხლის წვრილი სამკაულების გროვა.
12. სამარხი № 24, ვერცხლის მძივები.
13. სამარხი № 24, ვერცხლის მილაკები.
14. სამარხი № 24, ვერცხლის პირამიდისებური სამკაული.
15. სამარხი № 24, ვერცხლის ნახევარსფეროსებური სამკაული.
16. სამარხი № 11, ვერცხლის მძივები.
17. სამარხი № 11, ვერცხლის მილაკები.
18. სამარხი № 11, ვერცხლის ნახევარსფეროსებური სამკაული, დაღარული.
19. სამარხი № 11, ვერცხლის ნახევარსფეროსებური სამკაული, დაღარული და ორნამენტირებული.
20. სამარხი № 11, ვერცხლის პირამიდული სამკაული.
21. სამარხი № 11, ვერცხლის მილაკები.
22. სამარხი № 11, ვერცხლის მძივები.
23. სამარხი № 11, ოქროს ყელსაბამი.
24. სამარხი № 11, ვერცხლის ბიპირამიდული სამკაული.
25. სამარხი № 22, ოქროს სამკაული.

1.

2.



3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

10.

11.

12.



13.

14.

15.

16.

17.

18.



19.

20.

21.

22.

23.

24.

25.

გივი ინანიშვილი

პალეომეტალურგიის ისტორიულ-ეკონომიკურ ტერმინთა ატრიბუციისათვის

ძველი მეტალურგიული წარმოების სამუშაო-ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრისა და ძირეული ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური ანალიზისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ-ეკონომიკურ მონაცემებს, რომლებიც უძველესი სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინა-ფოლადის საწარმოთა ფუნქციონირების ისტორიული თავისებურებიდან მომდინარეობს.

პრობლემასთან დაკავშირებით, არსებითია უძველესი მეტალურგიისა და ლითონწარმოების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი, რომლებიც მეტალურგიის ისტორიის კვლევის თანამედროვე ეტაპზე, სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებათა სამუშაო ტექნიკა-ტექნოლოგიური ასპექტის განსაზღვრის პრინციპებიდან გამომდინარე, შესაბამის დიფერენციაციას განიცდის. ტერმინთა შინაარსი დაკავშირებულია ამა თუ იმ მეტალოგენური რეგიონის ისტორიულ-მეტალურგიული კვლევის მეთოდთან და ხშირ შემთხვევაში, არ ასახავს იმ ისტორიულ პროცესს, რომელსაც საკვლევი ობიექტი განეკუთვნება. ამდენად საჭირო ხდება ტერმინთა დაზუსტება, მათი მნიშვნელობის დიფერენცირებული განმარტება (Черных, 1976. გვ. 166; ინანიშვილი და სხვ. 2010. გვ. 48).

წინაისტორიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კოლექტიური საკუთრების ფორმების არსებობა მეტალურგიულ წარმოებაზეც ვრცელდება. ამასთან, იქმნება წინაპირობა შრომისა და შექმნილი პროდუქტის დაყოფა-გამოყოფის მექანიზმის განვითარებისათვის. მეტალურგიული წარმოება გამოეყოფა ეკონომიკური მეურნეობის სხვა მიმართულებებს და ვითარდება წარმოების განსხვავებული ორგანიზაციით, ნაწარმზე ცენტრალიზებული მოთხოვნით, გარე ბაზრის კანონზომიერებათა გათვალისწინებით.

ამიერკავკასიის მეტალოგენურ საბადოთა გავრცელების გეოგრაფიული არეალი, მათი გეოლოგიურ-გეოქიმიური მონაცემები, განსაზღვრავდა ამ ტერიტორიებზე არსებული უძველესი მეტალურგიული წარმოების მოქმედების სფეროს. სამთამადნო ობიექტების გეოგრაფიული სიახლოვე სპილენძისა და რკინის წარმოების ზონებთან, მთისწინა და ზღვისპირა ზოლში, ხელს უწყობდა მადანგადამამუშავებელი და მეტალურგიული კერების შექმნას. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ფერადი და შავი მეტალურგიის ისტორიულ განვითარებასთან დაკავშირებული სამთამადნო წარმოების ძეგლები, მუშაობის პრინციპული სქემებით და საინჟინრო-ტექნიკური მახასიათებლებით, მსგავს, ერთგვაროვან სისტემაში ერთიანდება (მუჯირი, 1994, გვ. 6).

მეტალურგიულ წარმოებაში ისტორიულად მიმდინარე ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ცვლილებები მოითხოვს საწარმოო გაერთიანებათა ფუნქციური, გეოგრაფიულ-გავრცობითი, გარე სამყაროსთან სავაჭრო-კულტურული ურთიერთობითი და მოქმედებითი არეალის განსაზღვრისათვის საჭირო დიფერენცირებულ ტერმინოლოგიას.

მეტალურგიის ისტორიის კვლევის თანამედროვე ეტაპზე დადგინდა იმ ტერმინთა მნიშვნელობა, რომლებიც აღნიშნავს, ლითონის მასალის დამზადების შესაბამისი ეტაპის ტექნოლოგიურ პროცესს. შევეხებით ამ სახის ზოგიერთი ტერმინის გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია ტერმინები "მეტალურგია" და "ლითონდამუშავება", მათი შესაბამისობა მათში ჩადებულ ისტორიულ ინფორმაციასთან.

ტერმინ "მეტალურგიაში" იგულისხმება იმ საწარმოო პროცესთა ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება მადნიდან ლითონის მიღებას, მის ჩამოსხმას და პირველადი პროდუქტის შექმნას.

ტერმინი "ლითონდამუშავება" არეთიანებს იმ ტექნოლოგიურ პროცესთა ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება ნახევარფაბრიკატიდან ან პირველადი სხმულიდან მზა პროდუქტის მისაღებად, რთული პროფილის ნივთების ჩამოსხმისა და ჭედვის გზით (საბრძოლო, სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების იარაღი, სამკაული). ლითონდამუშავების განვითარებულ ეტაპზე მასში ერთიანდება ლითონის ჩამოსხმისა და შემდგომი ჭედვის პროცესის კომბინირებული გამოყენება, მრავალმხრივი დანიშნულების ნაკეთობათა შექმნით.

ზემოაღნიშული ტერმინების განხილვა პროცესის სახით, რომელიმე ისტორიულ პერიოდსა და გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცეში, წარმოაჩენს ისეთ ისტორიულ-მეტალურგიულ და ისტორიულ-ტექნოლოგიურ ტერმინებს, როგორიცაა "მეტალურგიული კერა", "მეტალურგიული ცენტრი", "სამთო მეტალურგიული ცენტრი", "მეტალურგიული პროვინცია"(ინანიშვილი, 2018. გვ. 50).

ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისით, მეტალურგია და ლითონდამუშავება გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცეში არსებული ბუნებრივი მონაცემებით ვითარდება, რომლებიც ამ ზონისათვისაა დამახასიათებელი. უძველესი მეტალურგიული ცენტრები განვითარდა, პირველ რიგში, იმ გეოგრაფიულ სარტყელში, სადაც არსებობდა მდიდარი მეტალოგენური ზონები: სპილენძის, რკინის, ტყვიის, დარიშხნის, კალის, ანთიმონის და სხვა ლითონების მადანგამოსავლებით. პალეომეტალურგიის ჩასახვა-განვითარებისათვის ასევე საჭირო იყო საწვავის, წყლისა და ცეცხლგამძლე თიხების მარაგის აუცილებლობა. ასეთი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა ეცნობა რა ლითონის ბუნებას, მის თვისებებს, ქმნის წინაპირობას მეტალურგიის კერების არსებობისთვის. ამ ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით ჩამოყალიბებული მეტალურგი ტომები ავრცელებენ თავიანთ გავლენას მეზობელ თემებზე, უსწრებენ იქ მცხოვრებ მოსახლეობას მეურნეობრივ საქმიანობაში, აქტიურ გავლენას ახდენენ მათ ყოფა-ცხოვრებაზე. ეს გავლენა განსაკუთრებით გამოიხატება მათი პროდუქციის გავრცელებით მეტალოგენური რეგიონის გარეთ. მეტალურგი ტომების პროდუქცია ვრცელდება მეზობელ რეგიონებში მზა ნაწარმისა თუ სხმული ზოდების სახით. მეტალურგიული წარმოების არამქონე საზოგადოება იძულებულია მიიღოს იმპორტი ან დაამზადოს პროდუქცია იმპორტულთან მიბაძვით.

გარკვეულ შემთხვევებში მეტალურგი ტომების მეზობელ გეოგრაფიულ გარემოზე ზემოქმედება წარმოშობს ადგილობრივი ლითონდამუშავების კერებს, რომლებიც იმპორტული მასალის გადამუშავებით იწყებს არსებობას. აღნიშნულ

რეგიონში საჭირო რაოდენობის მადნის რესურსების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების კერების ჩამოყალიბებაც. ტომთაშორისი კონტაქტების არსებობა, შემდგომ ისტორიულ მონაკვეთში განაპირობებს მათ საწარმოო გამსხვილებას, მოქმედების სფეროს გაფართოებას და ცალკეული მეტალურგიული კერების გაერთიანებას. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მეტალურგიული ცენტრის ან სამთო-მეტალურგიული გაერთიანების შექმნას, ჩამოყალიბებას. მათი მოქმედების გეოგრაფიული არეალის და საწარმოო მასშტაბების შემდგომში ზრდით იქმნება უფრო არსებითი კულტურულ-ეკონომიკური გაერთიანება–მეტალურგიული პროვინცია (ინანიშვილი, 2018. გვ. 51).

„მეტალურგიული კერა“ ქმნის საკუთარ მეტალურგიულ წარმოებას, პროდუქციის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული საზღვრებით შედის უფრო მსხვილი პალეომეტალურგიული გაერთიანების არეალში. მის საზღვრებში თავსდება ერთგვაროვანი კულტურის მატარებელი მოსახლეობა. წარმოების ნიმუშები ხასიათდება განსაკუთრებული (სხვისაგან განსხვავებული, გამოყოფილი) ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური თავისებურებებით, ნიშნებით. მეტალურგიულ კერას აქვს თავისი ტექნოლოგიური სქემის გავლენის საკუთარი ზონა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასშტაბით, ბრინჯაოს ხანის ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყოფა მეტალურგიულ კერათა გაერთიანების სისტემები: ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე – აფხაზეთის, სვანეთის და რაჭის მეტალურგიული კერა; მცირე კავკასიონზე – ჭოროხის აუზის, აჭარა-გურიის და ბოლნის-დმანისის კერები.

„მეტალურგიული ცენტრი“ მოიცავს მდიდარ და მრავალკერიან მეტალოგენურ რაიონებს, რომლებიც თავსდება ერთ მოზრდილ გეოლოგიურ-გეოგრაფიულ რეგიონში, სადაც მუშავდება არსებული მადანგამოსავლების ძირითადი ნაწილი, განვითარებულია სამთო საქმის სისტემა. ექსპლუატაციაში მყოფი მადანგამოსავლები ხასიათდება ერთგვაროვანი, ერთ სისტემაში მყოფი გეოქიმიური მონაცემებით. რეგიონი აერთიანებს სინქრონულად მომუშავე რამდენიმე მეტალურგიულ კერას, რომელთა პროდუქცია ქმნის წარმოების საერთო-ერთგვაროვან სახეს. მეტალურგია ადგილობრივი მოსახლე ტომთა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა. არქეოლოგიურად რეგიონი მოიცავს კარგად დათარიღებულ მეტალურგიული წარმოების ობიექტებს, რომლებიც ისტორიულად მეტალურგიული წარმოების აქ არსებობის პირდაპირ არგუმენტაციას წარმოადგენს. ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების პროდუქციას გავრცელების გარკვეული ტერიტორიული არეალი გააჩნია, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს მეტალურგიული ცენტრის ფუნქციონირების მთელ პერიოდში. ასეთი რეგიონი, ისტორიულ-მეტალურგიული თვალსაზრისით, შეიძლება მუდმივმოქმედ ობიექტად ჩაითვალოს. ამდენად, მისთვის ერთკულტურული (ეთნიკური) ერთგვაროვნება იმ ეპოქისთვის შეიძლება არ იყოს დამახასიათებელი.

კავკასიის რეგიონი, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, ბრინჯაოს ხანაში სამ ძირითად მეტალურგიულ ცენტრად იყოფა: ჩრდილო კავკასიის, ცენტრალური და მცირე კავკასიონის მეტალურგიულ ცენტრებად.

„სამთო-მეტალურგიული გაერთიანებული ცენტრი“ გამოირჩევა ისეთივე ისტორიულ-მეტალურგიული და გეოლოგიურ-გეოგრაფიული მახასიათებლებით, როგორც “მეტალურგიული ცენტრი”. მათ შორის განსხვავება გამოიხატება წარმოების მასშტაბებით. გეოგრაფიულად მეტალურგიული ცენტრი შედის სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებაში. რამდენიმე მეტალურგიული ცენტრის ერთობლიობა ქმნის მსხვილ წარმონაქმნს – “სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებას”. ევრაზიის პალეომეტალურგიის სისტემაში კავკასიის რეგიონი განიხილება, როგორც ერთ-ერთი სამთო-მეტალურგიული გაერთიანებული ცენტრი.

„მეტალურგიული პროვინცია“ რამდენიმე მეტალოგენური გეოგრაფიული რეგიონის გაერთიანებაა, რომლის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ეთნოკულტურული წარმომავლობის მოსახლეობის მიერ შექმნილი სამთო-მეტალურგიული გაერთიანებები. მეტალურგიულ პროვინციაში გაერთიანებულ მეტალურგიულ კომპლექსებს საწარმოო საშუალებათა განსხვავებული მონაცემები ახასიათებს. მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა, “მეტალურგიულ პროვინციაში” შემავალი ელემენტები ხასიათდება პროდუქციის მონათესავე ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური ერთიანობით, რომელიც გავლენას ახდენს პროვინციის საერთო სისტემის განვითარებაზე. კავკასია ითვლება ევრაზიის მეტალურგიის სისტემაში ცნობილი, შავი ზღვის ირგვლივ არსებული კულტურული წრის მეტალურგიული პროვინციის ერთ-ერთ სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებად, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ძველი მსოფლიოს (ძვ. წ. IV-II ათასწლეულების) მეტალურგიული წარმოების განვითარების ძირითადი ეტაპების ფორმირების პროცესზე.

ზემოაღნიშნული სამთო-მეტალურგიული წარმოების სამუშაო-ორგანიზაციული მოწყობილობის ამსახველი საწარმოო კატეგორიები, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალსა და სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ფუნქციონირებად მეტალურგიულ გაერთიანებათა ისტორიული განვითარების ცალკეულ საფეხურებს განსაზღვრავს. ისინი განიხილება მეტალურგიული კერების სინქრონული ექსპლუატაციის პირობებში. ცალკეული ტერმინები შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მეტალურგიული ცენტრების მიღწევათა წარმოსაჩენათ, ისე კავკასია-წინა აზიის რეგიონის და შავი ზღვის გარშემო არსებული მეტალურგიული პროვინციის კულტურულ მიღწევათა შესაფასებლად (Черных, 1976. გვ. 168; Муджири, 2008. გვ. 60-61; ინანიშვილი, 2010. გვ. 53).

პალეომეტალურგიული წარმოების სისტემა განიხილება ძეგლების ისტორიულ-მეტალურგიული ფუნქციონირებით მადნის მეორადი გამდიდრების, მეტალურგიული გადამუშავებისა და ნაწარმის მიღების პროცესთა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე. ტერმინთა კატეგორია საშუალებას გვაძლევს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი ძეგლები, საწარმოო მასშტაბებისა და გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით, ერთ სისტემაში გავაერთიანოთ: მეტალურგიული კერა (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, აჭარა-გურია, ბოლნისი-დმანისი, ალაზანგაღმა მთიანი კახეთი); მეტალურგიული ცენტრი (ცენტრალური კავკასიონი, მცირე კავკასიონი); სამთო-მეტალურგიული გაერთიანებული ცენტრი (კავკასია); მეტალურგიული პროვინცია (ცირკუმპონტიუმის ზონა); ძველი

მსოფლიოს მეტალურგიული წარმოება (კავკასია, შუა აზია, ბალკანეთი, ხმელთაშუა ზღვის აუზი, ეგვიპტე და ა. შ.).

პალეომეტალურგიის თანამედროვე ტერმინოლოგიის შესაბამისად, უძველესი მეტალურგიული ძეგლების ურთიერთშედარებისა და სისტემის ისტორიულ-მეტალურგიული შეფასებისათვის, მიღებულია კვლევის ინტერ-დისციპლინარული მეთოდი არქეოლოგიის, გეოლოგიის, სამთო საქმის, ქიმიის, მეტალურგიის მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებით და საინჟინრო-ტექნიკური და მათემატიკური სტატისტიკის მონაცემების კრიტერიუმთა გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-I ათასწლეულები) თბილისი.
2. ინანიშვილი გ., 2018. - ქართული მეტალურგიის სათავეებთან. თბილისი.
3. მუჯირი თ. 1994: ძველი ტექნოლოგიების სისტემური კვლევის და რეკონსტრუქციის მეთოდოლოგიური პრობლემები. სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „ტექნიკა და ისტორია“ მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 5-6.
4. Муджири Т. П. 2008: Горнорудное производство древней Грузии. Тбилиси.
5. Черных Е. Н. 1976: Древняя металлообработка на Юго-Западе СССР. Москва.

ქეთევან რამიშვილი

გემა მხედრის გამოსახულებით ჟინვალის სამაროვნიდან

1983 წელს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ექპედიციის ხელმძღვანელი რ. რამიშვილი) ჟინვალის სამაროვნის № 552 ორმოსამარხში სხვა ნივთებთან ერთად (ბეჭედი, საყურეები, მშვილდსაკინძები, მძივები) აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი მოწითალო სარდიონის გემა-ინტალიოთი. სამარხში ორი მიცვალებული იყო - მამაკაცი და მანდილოსანი. ბეჭედი ეკეთა არათითზე მამაკაცს, რომელიც ესვენა გაშოტილი, ქრისტიანული წესით, მკერდზე გულხელ-დაკრეფილი. სამარხი დათარიღებულია ახ. წ. IV ს-ით [ჩიხლაძე ვ. 2015: 109-156. ტაბ. X]. ნივთი შეისწავლა მარგ. ლორთქიფანიძემ, ბეჭედი და გემა ერთმანეთის თანადროულად მიიჩნია და ახ. წ. IV ს-ით დაათარიღა [ლორთქიფანიძე მ. 1990: გვ. 188]. აღნიშნული სამკაული ამჟამად ინახება ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (საინვ. № 1854).

ბეჭდის რკალი მრგვალგანივკვეთიანი რგოლია, რომლის ბოლოები ოვალურ ბუდეზეა მირჩილული (ტაბ. I-1). ბუდის კიდეები ამჟამად შემომტვრეულია და მისგან მხოლოდ ბრტყელი, ოვალური ძირია შემორჩენილი (ტაბ. I-2). ინტალიო ოვალურია, პირი ოდნავ ამობურცული აქვს, ხოლო ზურგი - უფრო მეტად (ტაბ. I-4). პირზე გემის ვერტიკალურად ამოკვეთილია მხედარი (ტაბ. I-2). კაციცა და ცხენიც პროფილშია გადმოცემული. მხედარი გამართულად და მყარად ზის ცხენზე, აცვია მოკლე მოსასხამი, რომლის სამნაკვთა, სხივისებურად გაშლილი ბოლო მხედრის უკან ჰაერში ფრიალებს. მარჯვენა ხელში სადავე უჭირავს. თავზე თავსაბურავი ხურავს, ამ ადგილას გემა ატკეცილია, თუმცა ჩანს, რომ საბურავი სახეზეც აქვს შემოხვეული. სახის ნაკვთები, ინტალიოს დაზიანების გამო, არ ჩანს. ცხენი ძალიან მოხდენილი და პროპორციულია. ტორსი (მკერდი, მუცელი, გავა და თავი) მოცულობითი პლასტიკური ფორმებით, საკმაოდ რეალისტურადაა გადმოცემული, თუმცა, ტორსთან შედარებით წვრილი და თხელი უკანა კიდურები შედარებით დაბალ რელიეფშია შესრულებული და რამდენადმე სქემატურია. მკვეთრად არის დამუშავებული ცხოველის ქოჩორი და დაბალი, პარალელური, რელიეფური სხივებით გაფორმებული ფაფარი. ცხენს მაღალი კისერი და გრძელი ფეხები აქვს. ფეხის სახსრები მკვეთრადაა პროფილირებული, მკაფიოდ არის გადმოცემული წინა, ზეაწეული ფეხი და გრძელი, გამონასკვული კუდის ზედა, მომრგვალებული და შემსხვილებული ნაწილი, რომელიც ასევე რელიეფური სხივებითაა დაზოლილი. კუდი შემდეგ მკრთალი ხაზით ეშვება ნიადაგის ზოლამდე. ცხენს მარცხენა წინა ფეხი აღმართული აქვს, ხოლო მარჯვენა - არ ჩანს, ისე, როგორც არ ჩანს მხედრის ფეხი, რადგან გემა ამ ადგილასაც ატკეცილია. გამოსახულების ზედა ნაწილი (ცხენის ტორსი, მხედარი, ცხენის ზეაწეული ფეხი და ცხენის კუდის ზედა ნაწილი) რეალისტურად და მკაფიოდაა მოდელირებული, ხოლო ქვედა ნახევარი (ცხენის უკანა ფეხები და კუდის ქვედა ნაწილი) შედარებით სქემატურია და მკრთალი. ინტალიო ამოტეხილია ცხენის გავასთანაც. კვეთა ღრმა არ არის, მაგრამ ანაბეჭდზე გამოსახულება საკმაოდ მკაფიოდ ჩანს (ტაბ. I-3). ზომები: ინტალიოს სიგრძე – 15 მმ, სიგანე – 10 მმ, ბეჭდის დმ – 21 მმ, რკალის დმ – 5 მმ.

ჟინვალურის მსგავსი მხედრის გამოსახულებიანი გემა-ინტალიოების ერთი (I) ჯგუფი ცნობილია ურბნისის სამაროვნის №№ 189, 165, 129, 164 სამარხებიდან. აღნიშნული ოთხი გემა ამჟამად ინახება ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (საინვ. №№ 1040, 1010, 1074, 1009). ეს გემა-ინტალიოები ბეჭდის

თვლებად იყო გამოყენებული (ტაბ. I-5,6; 7,8; 9,10; 11,12). ისინი მინისაა, ოვალური და ყველა მათგანის ბრტყელ ზედაპირზე, გემის ვერტიკალურად, გამოსახულია ფეხაღმართულ ცხენზე მჯდომი მხედარი პროფილში, რომელსაც ყაბალახისებური თავსაბურავი ხურავს, ხოლო წამოსასხამის ბოლო ჰაერშია გაფრიალებული. მხედრის გამოსახულებები როგორც ტიპოლოგიურად, ისე კომპოზიციურად და შესრულების სტილით ერთგვაროვანია - ოთხივე მხედარი პროფილშია გადმოცემული ღვთაებრიობის აღმნიშვნელი ატრიბუტიკის გარეშე და, რამდენადაც ეს შესაძლებელია ძალიან პატარა სასურათე არეზე, რეალისტურადაა შესრულებული, ამასთან ზომიერადაა შეზავებული სტილიზებული ელემენტები (მაგ. ცხენის ფეხები, კუდი და სხვ.). მხედართა გამოსახულებები მხოლოდ მცირე დეტალებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან (შემორჩენილია №№ 1009 და 1010 ბეჭდების რკინის ფრაგმენტები და № 1074 ბრინჯაოს ბეჭედი სრულად). გემები დათარიღებულია ახ. წ. I-II სს-ით [ჯავახიშვილი ქ. 1975: გვ. 76-78; გვ. 107-111].

ცნობილია ბეჭდის თვლებად გამოყენებული ოვალური გემა-ინტალიოების სხვა, ოდნავ გვიანდელი ჯგუფი (II). მათ ზედაპირზე ამოკვეთილია ზემოგანხილულთა იკონოგრაფიულად ძალზე მსგავსი მხედარი, რომელიც ასევე პროფილშია, ფეხაღმართულ ცხენზე ზის და მისი მოკლე წამოსასხამის ბოლო ჰაერშია გაფრიალებული, თუმცა, კომპოზიცია გემის ჰორიზონტალურად იშლება, უფრო რთულია და თვალსაჩინოდ განსხვავებული. მხედარს ახურავს სხივებიანი ფრიგიული ქუდი, მის წინ დგას ცეცხლდანთებული ბომონი, რომლის წინაშე ცხენს წინა ფეხი აქვს აღმართული, მხედრის უკან სიცოცხლის ხეა, რომლის ძირში გველია შემოხვეული. განსხვავებულია მასალაც – გემები სარდიონისაა, ხოლო გამოსახულება ამოჭრილია ინტალიოს არა ბრტყელ, არამედ ოდნავ ამობურცულ ზედაპირზე. ამგვარი გემები ექვსი ცალია ცნობილი, მათგან ოთხი - საქართველოშია აღმოჩენილი: პირველი – ურბნისის (ტაბ II-1) სამაროვნის № 1 სამარხში (ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 1107) [ჭილაშვილი ლ. 1964: გვ. 61, 82, 83, ტაბ. XXVI- 2; ჯავახიშვილი ქ. 1972: გვ. 82, № 135], დათარიღებულია ახ. წ. III ს-ით [ლორთქიფანიძე მ. 1969: გვ. 145: ჯავახიშვილი ქ. 1975: გვ. 77-78]; მეორე - სამთავროს სამაროვნის (ტაბ. II-2) № 600 ქვის სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ბეჭედშია ჩასმული (ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 587) [ლორთქიფანიძე მ. 1954: გვ. 34-35, ტაბ. III- 29], დათარიღებულია ახ. წ. III-IV სს-ით [ლორთქიფანიძე მ. 1969: გვ. 145, ტაბ. X-137]; მესამე - კარსნისხევის № 27 სამარხშია აღმოჩენილი და რკინის ბეჭედში ზის (ტაბ. II-3), დათარიღებულია ახ. წ. II ს-ის ბოლოთი და III ს-ის დასაწყისით [ნიკოლაიშვილი ვ. 1993: გვ.72, 86, ტაბ. XCV-5]; მეოთხე – ქუთაისის (ტაბ. II-4-ანაბეჭდი) მახლობლადაა ნაპოვნი (ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში) [Кибальчич Т. В. 1910: გვ. 49, ტაბ. VIII-267], დათარიღებულია III ს-ის დასაწყისით [ლორთქიფანიძე მ. 1969: გვ. 144, ტაბ. X-136]; მეხუთე - უცნობი წარმოშობისაა (ტაბ. II-5), ეკუთვნოდა კოლექციონერ როზენს, რომელსაც ადვილი შესაძლებელია გემა კონსტანტინოპოლში ეყიდა, რადგან თავისი კოლექციის უდიდესი ნაწილი მას სწორედ იქ შეუძენია. გემა ამჟამად ბერლინის მუზეუმში ინახება [Furtwangler A. 1896: გვ. 9, 132, ტაბ. 25 - № 2935]. მეექვსე გემა ინახება ბონის ანტიკური ხელოვნების მუზეუმში (ტაბ. II-6) და იქ მიულერის კერძო კოლექციიდან არის შესული და ახ. წ. II საუკუნის ბოლოთი და IIIს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Zweirlein-Diehl 2003: გვ. 88-89, ტაბ. 82]. დანარჩენი გემებისაგან განსხვავებით, კარსნისხევურ, ბერლინისა და ბონის მუზეუმების გემებზე მხედრის ზევით თავისუფალ არეზე დამატებით გამოსახულია ვარსკვლავი და ნამგალა

მთვარე. II ჯგუფის გამოსახულებები მსგავსი კვეთის მანერითა და სტილითაა შესრულებული, დეტალებიც ანალოგიურადაა დამუშავებული, რის გამოც ისინი ერთი სახელოსნოს პროდუქციადაა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ბერლინის მუზეუმში დაცული გემის წარმომავლობასაც ლ. ჭილაშვილმა საქართველოს ტერიტორიიდან ივარაუდა [ჭილაშვილი ლ. 1964: გვ. 82]. აღსანიშნავია, რომ ასეთი გემები, საქართველოს გარდა, არსად არ არის აღმოჩენილი, რაც კიდევ უფრო გვიმყარებს იმ მოსაზრებას, რომ ბერლინისა და ბონის მუზეუმებში გემები, შესაძლოა, საქართველოდან მოხვედრილიყო.

რაც შეეხება ჟინვალურ გემას, კომპოზიცია გამოსახულია ოვალური გემის ვერტიკალურად, ისე როგორც I ჯგუფის ყველა (ოთხივე) ინტალიოზე, თუმცა, იგი II ჯგუფის გემების მსგავსად სარდიონისაა და კომპოზიციაც გემის ოდნავ ამობურცულ პირზეა ამოკვეთილი. ცხენის ზემოთ შემსხვილებული და ბოლოში გრძელი კუდით, ასევე, მხედრის დისპროპორციულად ჩამოგრძელებული ფეხებითა და სამსხივა მოსასხამით, ჟინვალელი მხედარი უფრო მეორე ჯგუფის გამოსახულებებს ემსგავსება. ჟინვალურ გემაზე გამოსახულება მთლიანად ავსებს სასურათე სიბრტყეს და აქ მხედრის უკან სიცოცხლის ხის არსებობა შეუძლებელია. ცხენის ფეხს ქვემოთ ინტალიო ამოტეხილია, ამდენად, შესაძლოა გვეფიქრა ამ ადგილას საკურთხევლის არსებობა, რაც დასაშვებად არ მიგვაჩნია ადგილის სიმცირის გამო და ასევე იმის გამოც, რომ მეორე ჯგუფის ყველა გემაზე საკურთხეველი ცხენის ფეხის გასწვრივ ან ზემოთაა მოცემული და არა ქვემოთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჟინვალურ გემაზე არც საკურთხეველია გამოსახული. მაშასადამე, ჟინვალელი მხედარი ღვთაებრიობის აღმნიშვნელი ატრიბუტების გარეშეა და კომპოზიციურად უფრო არქაული - I ჯგუფის ურბნულ ცხენოსნებს ემსგავსება. თუ როგორი თავსაბურავი ახურავს ჟინვალელ მხედარს, გარკვევა ჭირს, რადგან სწორედ ამ ადგილას გემა ამოტეხილია, მაგრამ თავსაბურავის შემორჩენილი ნაწილით და პირსახვევით, რომელიც სახეზე აქვს შემოხვეული მხედარს, იგი მეორე ჯგუფის ურბნულ გემაზე სიცოცხლის ხესა და საკურთხეველს შორის გამოსახულ ცხენოსანს ემსგავსება (შეად. ტაბ. I-2 და ტაბ. II-1), ამდენად, ვფიქრობთ, რომ ჟინვალელ მხედარსაც შესაძლოა ფრიგიული თავსაბურავი ეხუროს, მაგრამ არა გასხივოსნებული, რადგან მაშინ კეფის არედან გამომავალი სხივი აუცილებლად გამოჩნდებოდა, რაც II ჯგუფის ყველა გამოსახულებაზე დასტურდება. ამრიგად, მხედარი ჟინვალურ გემაზე მსგავსებას ავლენს ორივე ჯგუფის გამოსახულებებთან და გამოდის, რომ მასზე გამოსახულია მხედრის კიდევ ერთი, განსხვავებული იკონოგრაფიული ვარიანტი, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კომპოზიციურად იგი უფრო I ჯგუფის გამოსახულებებს უახლოვდება. მაშასადამე, ყალიბში ჩამოსხმის წესით დამზადებული მინის ინტალიოებისა, გემის ვერტიკალურად გამოსახული მხედრები ღვთაებრიობის ატრიბუტიკის გარეშე, გარდა ურბნისისა, დასტურდება ქართლის სამეფოს მეორე პუნქტში - ჟინვალში აღმოჩენილ სარდიონის გემაზეც. რაც შეეხება მეორე ჯგუფის გემა-ინტალიოებს, რომლებზეც გასხივისნებული ფრიგიულქუდიანი მხედრები სიცოცხლის ხესა და ცეცხლდანთებულ საკურთხეველს შორის არიან მოთავსებულები, მათი გავცელების არეალი გაცილებით ფართოვდება და მოიცავს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს - ქართლს (მცხეთა, კარსნისხევი, ურბნისი), ისე დასავლეთ საქართველოსაც (ქუთაისი).

მნიშვნელოვანია, რომ II ჯგუფში გაერთიანებული კომპოზიციების მსგავსი გამოსახულებები დასტურდება ახ. წ. II - III სს-ის ტარაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების ზურგზე (ტაბ. II-8), რომლებიც ბიჭვინთაშია აღმოჩენილი. ტრაპეზუნტული მონეტების წარმომავლობის, დამზადების ადგილის, დათარიღებისა და მხედარ-ღვთაებათა

იდენტიფიკაციის საკითხების ირგვლივ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული: ფ. კუმონის მოსაზრებით, ტრაპიზონტულ მონეტებზე გამოსახული ცხენოსანი სინკრეტული ღვთაებაა, რომელმაც გააერთიანა მზის ღვთაება მითრასა და კაპადოკიური მთვარის ღვთაება მენი [Максимова М. И. 1956: 404, სქ. 3]. მ. მაქსიმოვას მოსაზრებით კი, ამ მონეტებზე აღბეჭდილი მხედარი მითრაა, რადგან ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახულ მხედარს აქვს მხოლოდ მითრას ატრიბუტები და არ გააჩნია კაპადოკიური ღვთაება მენის ისეთი აუცილებელი ნიშანი, როგორიცაა ნამგალა მთვარე [Максимова М. И. 1956: გვ. 399, 404, სქ. 3], მისივე აზრით, მითრა ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაებაა, რომელიც არაბერძნული წარმოშობისაა და მცირეაზიულ სხვა ბერძნულ ქალაქებში არსად არ ჩანს გავრცელებული [Максимова М. И. 1956: გვ. 399-402, 404 ტაბ. II- 15], ხოლო ტრაპეზუნტის ღვთაებათა პანთეონში მისი გამარჯვება მცირეაზიის სხვა ბერძნულ ქალაქებისაგან, განსხვავებულმა ეთნიკურმა საფუძველმა განაპირობა: ტრაპეზუნტის მოსახლეობის ბირთვს, როგორც ვარაუდობენ, კოლხური მოსახლეობა შეადგენდა [Максимова М. И. 1956: გვ. 402, Меликишвили Г. 1959: გვ. 378; დუნდუა გ. 1968: გვ. 18-19]. მონეტები საფუძვლიანად შეისწავლა გ. დუნდუამ, იგი შეეხო მხედრის გამოსახულებიან ორივე ჯგუფის გემებსაც (ჟინვალურის გარდა) და მრავალი მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა [დუნდუა გ. 1975; 1978; 2006]. დუნდუამ გაიზიარა ფ. კუმონის მოსაზრება ღვთაების სინკრეტულობის შესახებ, რომელმაც გააერთიანა მითრასა და კაპადოკიური მთვარის ღვთაება – მენის ფუნქციები, რადგან მითრა ძალზე იშვიათად გამოისახებოდა ცხენზე ამხედრებული, ხოლო ცხენოსანი მენის გამოსახულებები ფართოდ იყო გავრცელებული. გ. დუნდუა თვლის, რომ ბერლინის მუზეუმში დაცულ და კარსნისხევურ გემებზე მხედრის ზევით გამოსახული ვარსკვლავი და ნამგალა მთვარე ტრაპეზუნტულ მონეტებზე მთვარის სხვა ატრიბუტით - მტაცებელი ფრინველით არის ჩანაცვლებული [დუნდუა გ. 1968: გვ. 29-30]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ტრაპეზუნტის მთავარ ღვთაება მითრას გამოსახულებიან სპილენძის საქალაქო მონეტებს პარალელი არ მოეძებნება სხვა ქალაქებისა და სამეფოების ნუმიზმატიკაში, ასევე, ცხენოსანი მითრა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში აღმოჩენილ სინქრონულ გემებზეა ამოჭრილი და ტრაპეზუნტის მონეტებზე, ისე როგორც საქართველოში აღმოჩენილ გემებზე (ორივე ჯგუფისაზე), გამოსახულია ერთიდაიგივე მხედარი-ღვთაება, რომელიც არ არის მითრა პურიტანული გაგებით, არამედ სინკრეტული ღვთაებაა - მზის, მთვარისა, და ვარსკვლავთ ღვთაებათა ფუნქციების გამაერთიანებელი, მათი უნიფიცირებული სახე და მას ე. წ. მითრას უწოდებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს ე. წ. მითრა უშუალო წინამორბედია წმ. გიორგის კულტისა ქართველურ სამყაროში [დუნდუა გ. 1977: 343-344]. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მკვლევარი ვარაუდობს ამ ღვთაების ქართველურ ნიადაგზე წარმოშობას და ტრაპეზუნტის ე. წ. მითრას გამოსახულებიან სპილენძის საქალაქო მონეტებს ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლთა რკალში ათავსებს. გ. დუნდუა მონეტებსა და შესაბამისად ორივე ჯგუფის გემებზე მოცემულ გამოსახულებებს შინაარსობრივად მჭიდროდ უკავშირებს უძველეს ქართველურ რწმენა-წარმოდგენებს [დუნდუა. გ. 1975: 338-334; 2006: 106-108]. იგი არ გამორიცხავს გემების ადგილობრივი წარმოშობის შესაძლებლობასაც [დუნდუა გ. 2006: გვ. 107]. ჟინვალური გემის მართებულად დათარიღებისათვის საინტერესოა, რომ ტრაპეზუნტულ მონეტებზე თავდაპირველად ე. წ. მითრას ბიუსტია გამოსახული სხივებიანი ფრიგიული ქუდით, შემდეგ მას ემატება ცხენის თავის გამოსახულება და მხოლოდ ახ. წ. II საუკუნის დასასრულიდან ჩანს იგი ფეხაღმართულ ცხენზე ამხედრებული [დუნდუა გ. 1975: გვ. 334; 2006: გვ. 105].

ქართულ გლიპტიკურ მასალაში მხედრის გამოსახულებები უკვე ჩამოყალიბებული ჩანს და დასტურდება ადრეელინისტური ხანის, ვანის № 9, ე. წ. „წარჩინებული მეომრის" სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდის მრგვალ ფარაკზე მოცემული გამოსახულებით (ტაბ. IV-3). ბეჭედი უფლებრივი საბეჭდავია და მიუხედავად ანტიკური ბერძნული გლიპტიკის ტრადიციების ზოგადი გავლენისა, ადგილობრივი, კოლხური გლიპტიკის ნაწარმადაა მიჩნეული და ძვ. წ. V-IV სს-ითაა დათარიღებული [ლორთქიფანიძე მ. 1975: გვ. 93-96], ხოლო სიუჟეტი კოლხეთში გავრცელებულ კულტებს უკავშირდება [ლორთქიფანიძე მ. 1975: გვ. 111]. ვანელი მხედარი კონუსური თავსაბურავით (შესაძლოა, მუზარადიც იყოს) რქოსან ცხენზე ზის, კაციც და ცხენიც პროფილშია. მხედარს მარჯვენა ხელში მოქნეული შუბი უჭირავს, ხოლო მარცხენა ხელის თითები ფრინველის კლანჭისებურადაა გადმოცემული, რაც ცხენისა და მხედრის ფრინველთან მჭიდრო კავშირზე უნდა მეტყველებდეს. აღნიშნულ ფაქტს, ჩვენი მოსაზრებით, კარგად ხსნის აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი ყანჩაეთში აღმოჩენილი და ძვ. წ.-ის IV-III სს. დათარიღებული ვერცხლის ორი საბეჭდავი-ბეჭედის მრგვალ ფარაკებზე მოცემული მსგავსი გამოსახულებები. ერთის ფარაკზე გამოსახულია რქოსან და ფეხაღმართულ ცხენზე მჯდომი შუბოსანი (ტაბ IV-4), (შესაძლოა ყაბალახისებურ თავსაბურავიანი), რომელიც მეორისაზე ჩანაცვლებულია ცხენის ზურგზე მჯდომი ფრინველით (ტაბ. IV-5). ორივე ბეჭდის ფარაკზე მზის სიმბოლური გამოსახულებაა დატანილი. ბეჭდები, ვანური ბეჭდისგან განსხვავებით, ბერძნულ-სპარსული გლიპტიკის ერთ-ერთი ჯგუფის, კერძოდ, ბერძნულ-აღმოსავლური გლიპტიკური ნიმუშების სტილით შესრულებულ ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული [გაგოშიძე ი. 2009: გვ. 14-17, ტაბ. I-II]. ფანტასტიკური რქიანი ცხენის სახით მზის ღვთაებაა წარმოდგენილი, რომელსაც ხშირად ფრინველი ახლავს. „თუ ცხენი მზის ცხოველად ითვლებოდა საქართველოში, ფრინველი მთვარისა უნდა ყოფილიყო" [გაგოშიძე ი. 1964: გვ. 36-37]. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ვანის № 9 სამარხის ოქროს ბეჭედზეც ის მხედარი-ღვთაებაა აღბეჭდილი, რომელიც ყანჩაეთის საბეჭდავ-ბეჭედზე გამოსახული მხედრის პროტოტიპი უნდა იყოს და რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მზისა და მთვარის კულტს. მსგავსი გამოსახულებებით (ფეხაღმართული რქოსანი ცხენებით, მხედრებით, სიცოცხლის ხით, ნამგალა მთვარითა და მნათობებით) შემკულია აგრეთვე ძვ. წ-ის IV-III სს-ის რკალგახსნილი საბეჭდავი-ბეჭდების ფარაკები ქვიანადან, საძეგურიდან, ალგეთიდან, კუშჩიდან [ლორთქიფანიძე მ. 1969: გვ. 43], ტახტიძირიდან [გაგოშიძე ი. 2009: ტაბ. I], ბატნაოხორუდან [ლორთქიფანიძე მ. 1975: გვ. 76-79, ტაბ. VII-19] და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ვანსა და ოდნავ მოგვიანებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პუნქტებში აღმოჩენილი ბეჭდები განსხვავებულ გლიპტიკურ სკოლებს ეკუთვნის, მათ აერთიანებთ ცხენისა და მხედრის საერთო კულტის არსებობა [რამიშვილი ქ. 2007: გვ. 24-25], რომლის ფესვები კოლხურ და საერთოდ კავკასიურ კულტურაშია საძიებელი და რაც ასე კარგად და ფართოდ აისახა ძვ. წ-ის VIII-VII სს-ის კავკასიური გრაფიკული სტილით შესრულებულ კოლხური მხატვრული ბრინჯაოს ძეგლებზე და ცენტრალურ-სამხრეთკავკასიური ბრინჯაოს სარტყლების დეკორში, სადაც ცხენისა და მხედრის გამოსახულებები ფრინველების თანხლებითა და მნათობთა გარემოცვაშია გამოსახული [ფანცხავა ლ. 1988; ხიდაშელი მ. 1982].

მხედრისა და ცხენის გამოსახულებები გვხვდება აგრეთვე ლურჯი მინის მრავალწახნაგა ჩამონასხამებზე (ტაბ. IV-6), რომლებიც ადგილობრივად, იბერიაში მზადდებოდა ძვ. წ. II-I საუკუნეებიდან ვიდრე ახ. წ. II საუკუნემდე და ისინი განიხილება, როგორც „ბერძნულ-სპარსული" გლიპტიკის ძეგლების მოგვიანო, დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელიც ძალიან ახლოს

დგას მცირეაზიული საბეჭდავების ერთ-ერთ ჯგუფთან და რომელიც ე. წ. ბერნის ჯგუფის სახელითაა ცნობილი [ჯავახიშვილი ქ. 2002: გვ. 74-76, ტაბ. I–2-14; გაგოშიძე ი. 2009: გვ. 16]. ძალზე საყურადღებოა, რომ შუბოსანი მხედრისა და ცხენის სტილიზებული გამოსახულებები მოცემულია ბრინჯაოს, საკმაოდ მოზრდილ საბეჭდავებზე, რომელიც წარმოადგენს სწორკუთხა ან სამკუთხა, საკმაოდ სქელ ფირფიტას მომრგვალებული კუთხეებითა და ზურგზე მირჩილული მასიური სახელურით. თავსაბურიანი მხედარი, რომელსაც მარჯვენა ხელში მოქნეული შუბი უპყრია, ხოლო მარცხენა კი ცხენის კისერზე უდევს, გამოსახულია სამთავისში შემთხვევით აღმოჩენილ ამგვარ მართკუთხა ბრინჯაოს საბეჭდავზე, ცხენის წინ ქვეითია, რომელსაც აღვირი უჭირავს. ფაფარაყრილი ცხენი, რომელსაც მარჯვენა წინა ფეხი აუწევია გამოსახულია ასევე ბრინჯაოს სამკუთხა საბეჭდავზე, იგი შემთხვევითაა მოპოვებული წაღვლში, ცხენის წინ, ფეხებს შორის ჩანს მნათობი. საბეჭდავები ძვ. წ. III-I საუკუნეებით არის დათარიღებული და მიჩნეულია ადგილობრივ ნაწარმად [ჯავახიშვილი ქ. 1997: გვ. 221-229, ტაბ. I-5; ტაბ II-8]. ერთი ასეთი ბრინჯაოს მართკუთხა საბეჭდავი კასპის რაიონში, სოფ. ერთაწმინდაშიცაა შემთხვევით აღმოჩენილი (ტაბ. IV-7), პირზე შუბოსანი მხედარია გამოსახული სქემატურად (ინახება გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 1704). ასევე, საინტერესოა, აწყურში აღმოჩენილი ბრინჯაოს სახელურიანი საბეჭდავი ცხენისა და ნახევარმთვარის გამოსახულებით [ლიჩელი ვ. 2011: გვ. ტაბ. I]. ადგილობრივადაა დამზადებული აგრეთვე მცხეთაში აღმოჩენილი ძვლის მართკუთხა საბეჭდავი მხედრის გამოსახულებით, რომელიც ფორმითა და გამოსახულების შესრულების სტილით ზემოგანხილული ბრინჯაოს სწორკუთხა საბეჭდავის მსგავსია [ჯავახიშვილი ქ. 1997: გვ. 228, ტაბ. I-5A]. ასევე ძალიან საინტერესოა, ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ძვლის პირამიდული საბეჭდავი, რომლის ქვედა, მართკუთხა წახნაგზე გამოსახულია ფეხაღმართული ცხენი სხივისებური ფაფარით (ტაბ. IV-8), ნივთი ადგილობრივი ნახელავია და დათარიღებულია ძვ. წ. I - ახ. წ. I სს-ით [ლორთქიფანიძე მარგ. 2003: გვ. 103-107]. მოხმობილი მაგალითების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ, როგორც ჩანს, ადრეელინისტური ხანიდან მოყოლებული საქართველოში ადგილობრივად მზადდებოდა ცხენებითა თუ მხედრების გამოსახულებებით შემკული სხვადასხვა ფორმის საბეჭდავები და საბეჭდავი-ბეჭდები, რომელთა ფარაკებსა თუ თვლებზე ამოჭრილი გამოსახულებები (მხედრები) რომაულ ხანაშიც აგრძელებენ არსებობას და ისინი უნდა მოთავსდნენ ადრეელინისტურ ხანაში ჩამოყალიბებულ ადგილობრივ კულტურულ წრეში, რომელმაც ერთდროულად განიცადა როგორც მცირეაზიურ - ბერძნული, ისე სპარსული ხელოვნების გავლენა [ლორთქიფანიძე მარგ. 1975: გვ. 112; გაგოშიძე ი. 2009: გვ. 16].

ახალი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნეებიდან სახვით ხელოვნებაში, და მათ შორის გლიპტიკაში აღინიშნება გარკვეული სიახლე, რომელიც ცხენისა და მხედრის კულტის ახალი ძალით აღორძინებაში გამოიხატა, რასაც, გარდა ტრადიციულისა, ახალი გარე ფაქტორებიც ასაზრდოვებდა, იგულისხმება მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში მითრას კულტის ფართო გავრცელება, რამაც სამხრეთ კავკასიაშიც საკმაოდ მძლავრად შემოაღწია. ცხენისა და მხედრის გამოსახულებათა მომრავლება, ვფიქრობთ, ამ მოვლენით უნდა აიხსნას, რადგან მითრაისტულ რელიგიაში ცხენისა და მხედრის კულტმა განვითარების უმაღლეს საფეხურს სწორედ ახ. წ. პირველ საუკუნეებში მიაღწია [რამიშვილი ქ. 2010: 193-194].

მხედარი, რომელიც ფეხაღმართულ ცხენზე ზის (სიცოცხლის ხისა და საკურთხევლის გარეშე) და ჟინვალელი მხედრის მსგავსად გაუსხივოსნებელი ფრიგიული ქუდი ახურავს გამოსახულია გონიოს განძის შემადგენლობაში აღმოჩენილ, ახ. წ-ის II ს-ით დათარიღებულ

ოქროს ბალთაზე - (№7). ბალთა მოთვალული და დაცვარული სწორკუთხა ფირფიტაა, რომლის ზედა ნაწილი ფრინველის თითო გამოსახულებით შემკული ორი სამკუთხედითაა დაგვირგვინებული, ხოლო ქვედა ნაწილზე შებმულია წნულ ძეწკვზე დამაგრებული ბრტყელი და მრგვალი ფირფიტები. ბალთის ცენტრალური ნაწილი შემკულია ცვარათი ჩარჩოშემოვლებული მხედრის გამოსახულებით (ტაბ. IV-10). ცხენის გავაზე ცვარათივე გამოყვანილია ვარდული [ლორთქიფანიზე ოთ... 1980: გვ. 13-20; კახიძე ა.. 2015: გვ. 78- 102]. მსგავსი შემკულობის ბალთები, აღმოჩენილია ახ. წ. II საუკუნით დათარიღებულ კლდეეთის სამაროვანზე [ლომთათიძე გ. 1957: გვ. 103-104], არმაზისხევში [აფაქიძე.. 1955: გვ. 22, ტაბ. 1 – XXXIII], ქ. სოჭის მახლობლად, დაბა ლოოს მდიდრულ სამარხში [Иванова М. И., Голубев П.М. 1961: გვ. 284-292, სურ. 7-2; სურ. 8-2]. ზოგადი ტიპოლოგიური, მხატვრულ-სტილური და სიმბოლური ნიშნებით, მიუხედავად ზოგი დეტალის განსხვავებისა, სრულიად აშკარაა, რომ ისინი ერთგვაროვანია და განეკუთვნება სამკაულთა იმ რიგს, რომელიც ახ. წ-ის საწყის საუკუნეებში ფართოდაა გავრცელებული. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის ბალთების სიმრავლე კლდეეთის სამაროვანზე, რომელიც ახ. წ. II ს-ის შუა ხანებსა, ან მის მეორე ნახევარს განეკუთვნება [ლომთათიძე გ. 1957: გვ. 169-174]. აქ განხილული ბალთებისა და მათ შორის მხედრის გამოსახულებიანი №7 ბალთის შემკულობა, როგორც მხატვრულ-სტილურად, ისე გამოსახულებათა სიმბოლიკით გენეტიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციებთან [ლორთქიფანიზე ოთ... 1980: გვ. 22], მხედველობაში გვაქვს მხედრის გამოსახულება ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში, მაგ. ვანის ნაქალაქარის № 6 სამარხში აღმოჩენილი ფიგურულსაკიდებიანი საყურეები ოთხთვალა ეტლზე მდგარ მხედართა (ტაბ. IV-11) გამოსახულებით [ჭყონია ა. 1977: გვ. 96-99], რომლებიც ძველ სამყაროში ფართოდ გავრცელებული „დიდი დედისა" და მისი მხედრების შესახებ მითოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდება. გონიოს №7 ბალთის ცხენის გავაზე მზის სიმბოლო – ვარდულია გამოსახული, ხოლო ვანის ზემოხსენებული საყურეების ცხენის გავაზე – სვასტიკა, რომელიც აგრეთვე მზის სიმბოლოდაა მიჩნეული [ლორთქიფანიძე ოთ.. 1980: გვ. 23, სქ. 54-56]. მხედარი ფრიგიული თავსაბურავით უცხო არ არის კიდევ უფრო ადრეული კოლხური ბრინჯაოს მხატვრული მელითონეობისთვის, მხედველობაში გვაქვს ლეჩხუმში, ცაგერას განძში აღმოჩენილი მხედრის ქანდაკება (ტაბ. III-4)(ძვ. წ. VIII-VII სს.)[სახაროვა ლ. 1976: გვ. 8, 36-38, ტაბ. VII-1]. ასევე საყურადღებოა, სოფ. სულორში ნაპოვნი კოლხური ცული, რომლის ყუა შემკულია ფრიგიულის მსგავსი მუზარადიანი მხედრების წყვილი ქანდაკებით, რომელიც ღვთაება „დიდი დედის" მხედრებადაა მიჩნეული [ლორთქიფანიძე ოთ. 2002: გვ. 131, სურ. 121]. აღსანიშნავია, აგრეთვე გუთაუთაში აღმოჩენილი ცულის თავზე დაყენებული ცხენის ქანდაკებები, რომლებიც კოლხურ-ყობანური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილშია შესრულებული. სკულპტურულ გამოსახულებიანი ცულები ძვ. წ-ის VII ს-ითაა დათარიღებული [ფანცხავა ლ. 1988: გვ. 65].

საქართველოში მითრას კულტის გავრცელებაზე, მზისა და ცხენის ადგილობრივ კულტთან მის შერწყმაზე მეტყველებს გვიანრომაული ხანის, ახ. წ-ის II-III სს-ით დათარიღებული არქეოლოგიური მასალების კიდევ ერთი, ადგილობრივი ჯგუფი – ვერცხლის თასები, ფსკერზე ბომონის წინაშე მდგომი ცხენის გამოსახულებით. ამგვარი თასი (ტაბ. VI-3), გარდა არმაზისხევისა, ბორისა და ზღუდერისა, ჟინვალის მახლობლად, არაგვისპირის სამაროვანზეცაა აღმოჩენილი [რამიშვილი რ. 1975: 7-15]. ცხოველის მიერ ფეხის აღმართვა უძველესი, რიტუალური ხასიათის პოზაა და აღნიშნავს თაყვანისცემას, პატივისცემას და კომპოზიციებში

უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია საკურთხეველთან ან სიცოცხლის ხესთან, მაგრამ ხშირად ეს პოზა გამოისახება დამოუკიდებლადაც, ამ შემთხვევაში აღმართული ფეხი ნიშნავს მფარველობას, დალოცვას [მაჩაბელი კ. 1976: გვ. 86]. ამავე დროს, ჟინვალელი მხედარი (ასევე დანარჩენი მხედრებიც) სიახლოვეს ავლენს ადგილობრივ, თანადროულ ძეგლებთან, რისი ნათელი დადასტურებაა ახ. წ. საწყისი საუკუნეებით დათარიღებული (I-III სს.) იბერიული ჭვირული აბზინდები, რომლებზეც გამოსახულია სტილიზებული ფეხაღმართული ფანტასტიკური ცხენებისა [ხიდაშელი მ. 1978: ტაბ. XIII-158, 159, 160] და მხედრების (ტაბ. VI-1) გამოსახულებები პროფილში ფრინველებთან და სოლარულ ნიშნებთან ერთად. ჟინვალელი და დანარჩენი მხედრების, განსაკუთრებით კი I ჯგუფში გაერთიანებული ცხენოსნების მსგავსი (ცხენზე ჯდომის მანერით, უტრირებული, ყოვლისშემძლე ხელების" ცხენის კისერსა და გავაზე განლაგებით) ბრინჯაოს მხედრები (ტაბ VI-2) აღმოჩენილია კლდეეთის სამაროვანზე (ახ. წ. II ს.) [ლომთათიძე გ. 1957: გვ. 73-76, სურ. 12]. შედარებით ნაკლები სიახლოვე შეინიშნება სოლარული ნიშნებით შემკული ვერცხლის სრულად დარახტული უმხედრო ცხენების ფიგურებთან (ტაბ. VI-4) არაგვის ხეობიდან (ნეძიხისა და ბადრიანების სამაროვნები), ამ ნივთებს შესაბნევის - ფიბულის ფუნქცია აქვთ და ახ. წ. III-IV საუკუნეებით თარიღდებიან [რამიშვილი ქ. 2007: ტაბ. XXII-2, 4, ტაბ. XVII, XVIII].

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ჟინვალელი მხედარი სინკრეტული ღვთაება – ე. წ. მითრაა, რომელიც ერთი მხრივ, დაკავშირებულია მძლავრ ადგილობრივ ტრადიციებთან, ხოლო მეორე მხრივ - ახალ კულტურულ ტენდეციებთან, რომელიც ახ. წ. საწყის საუკუნეებში მითრაიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით დამკვიდრდა მთელ მაშინდელ სამყაროში და მათ შორის საქართველოში მცირეაზიური, რომაული, ტრაპეზუნტულ-კაპადოკიური თუ ირანული კულტურულ-რელიგიური გამოცდილების საფუძველზე. მიმდინარეობდა გარდაუვალი სინთეზი, რომელიც დასავლურსა და აღმოსავლურ სამყაროს შესაყარზე მდებარე საქართველოსთვის უცხო არ იყო მისი არსებობის არც ერთ ეტაპზე.

ვითვალისწინებთ რა პირველი ჯგუფისა (ახ. წ.I- II სს.) და მეორე ჯგუფის (ახ. წ. III-IV სს.) გემების, ასევე ტრაპეზუნტული მონეტებისა (ახ. წ. II-III სს.) და მსგავსი სინქრონული არტეფაქტების თარიღებს (II ს.), ვფიქრობთ, რომ ჟინვალური გემა ახ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით დავათარიღოთ და დანარჩენ მხედრისგამოსახულებიან გემებთან ერთად მივიჩნიოთ ადგილობრივ გლიპტიკურ ნაწარმად. რაც შეეხება ბეჭედს, ის ახ. წ-ის IV საუკუნის უნდა იყოს, რადგან ფორმის მიხედვით ერთ-ერთი გავრცელებული ტიპია ახ. წ-ის IV საუკუნეში [Henkel F. 1913: 274, 276, 281]. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს გემის მეორად გამოყენებასთან, რაც არც თუ იშვიათია გლიპტიკაში. ჩვენ მოსაზრებას გვიმყარებს ის ფაქტიც, რომ ჟინვალურ ბეჭედში გემა პირით (გამოსახულებით) ქვემოთ და ზურგით ზემოთ ყოფილა ჩასმული (ტაბ. I-4), ანუ ბეჭედი სადა თვლიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აღმოჩენისთანავე თვალბუდე დაიშალა და გაირკვა, რომ მხედრის გამოსახულება ბუდის ფსკერზე, მნახველისათვის უხილავი იყო. როგორც ჩანს, დაკრძალული ქრისტიანისთვის თვალზე გამოსახული ე. წ. მითრა-მხედარი მიუღებელი აღმოჩნდა, რისთვისაც იგი თვალბუდის ფსკერზე მოათავსა. შესაძლოა გვეფიქრა, რომ მხედრის ხანგრძლივი ისტორია აქ დასრულდა, მაგრამ როგორც ცნობილია, მსგავსი გამოსახულება საფუძვლად დაედო წმინდა მხედრის მახლობელი აღმოსავლეთისათვის კარგად ნაცნობ იკონოგრაფიას, რომელიც მოგვიანებით წმ. გიორგის გამოსახულებად მოგვევლინა.

ლიტერატურა:

1. გაგოშიძე ი. 1964: ადრეანტიკური ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი.
2. გაგოშიძე ი. 2009: საქართველო და „ბერძნულ-სპარსული" გემები. იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, (გ. გამყრელიძე რედ.), გვ. 14-19. თბილისი.
3. დუნდუა გ. 1968: რას მოგვითხრობენ ძველებური მონეტები. თბილისი.
4. დუნდუა გ. 1975: სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II– ახ. წ. IV სს. „დიდი პიტიუნტი", I. თბილისი.
5. დუნდუა გ. 1977: ერთხელ კიდევ ტრაპეზუნტის მონეტების შესახებ, დიდი პიტიუნტი, II. თბილისი.
6. დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: ქართული ნუმიზმატიკა, ნაწილი I. თბილისი.
7. კახიძე ა., შალიკაძე თ., ფარტენაძე თ. 2015: ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური. თბილისი.
8. ლომთათიძე გ. 1957: კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.
9. ლორთქიფანიძე მ. 1954: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი. თბილისი.
10. ლორთქიფანიძე მ. 1961: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი (რედ. შ. ამირანაშვილი). თბილისი.
11. ლორთქიფანიძე მ. 1969: ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I. თბილისი.
12. ლორთქიფანიძე მ. 1975: კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები. თბილისი.
13. ლორთქიფანიძე მ. 1990: ჟინვალის გვიანანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები. ხელნაწერი. (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში).
14. ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.
15. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ. 1980: გონიოს განძი. თბილისი.
16. ნიკოლაიშვილი ვ. 1993: კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბილისი.
17. რამიშვილი რ. 1975: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, ძმ, № 39. თბილისი.
18. რამიშვილი ქ. 2007: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები. თბილისი.
19. რამიშვილი ქ. 2010: ირმის, ჯიხვისა და ცხენის გამოსახულებიანი ფიბულები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, № 19, (გ. კვირკველია რედ.), გვ. 190-204. თბილისი.
20. სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.

21. ფანცხავა ლ. 1988: კოლხური ბრინჯაოს მხატვრულად დამუშავების ისტორიისათვის. თბილისი.
22. ჩიხლაძე ვ. 2015: წინაქრისტიანული ხანის ჟინვალის სამაროვანი. თბილისი.
23. ჭილაშვილი ლ. 1964: ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.
24. ჭყონია ა. 1977: ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურეები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი III. თბილისი.
25. ჯავახიშვილი ქ. 1972: ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბილისი.
26. ჯავახიშვილი ქ. 1975: ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი. თბილისი.
27. ჯავახიშვილი ქ. 1997: ბრინჯაოს საბეჭდავების ერთი ჯგუფი, სსმმ, XLII-B, (ლ. ჭილაშვილი რედ.), გვ. 221-234. თბილისი.
28. ჯავახიშვილი ქ. 2002: ლურჯი მინის მრავალწახნაგები, ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №9, გვ. 71-80. თბილისი.
29. ხიდაშელი მ. 1978: ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბილისი.
30. ხიდაშელი მ. 1982: ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.
31. Иванова М. И., Голубев П.М. 1961: Находки в Лоо, «Советская археология», №3, Москва.
32. Кибальчич Т. В. 1910: Южно-русские геммы. Берлин.
33. Максимова М. И. 1956: Античные Города Юго-Восточного Причерноморья. Москва-Ленинград.
34. Мачабели К. 1976: Позднеантичная торевтика Грузии. Тбилиси.
35. Меликишвили Г. 1959: К истории древней Грузии. Тбилиси.
36. Furtwangler A. 1896: Beschreibung der Geschnittenen Steine im antiquarium. Berlin.
37. Henkel F. 1913: Die romischen Fingerringe der Rheinland. Berlin.
38. Zwierlein-Diehl E. 2003: Siegel und Abdruck. Antike Gemmen in Bonn. Bonn.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

გოგა გაბაშვილი

ერეკლე მეორეს სახელის დაწერილობა სამეფო ბეჭდებზე

2013 წელს ჟურნალ ONS[1]– ში გამოქვეყნდა ჩემი სტატია ერეკლე მეორეს სახელის დაწერილობის შესახებ. შემდგომ, 2018 წ. იგივე სტატია, ოღონდ უკვე ქართულად და შედარებით უფრო ვრცელი ვერსია დაიბეჭდა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევით ჟურნალში[2].

2016 – 2017 წწ. რიგი დამთხვევების შემდეგ, დავინტერესდი ქართული სფრაგისტიკით და აღმოვაჩინე, რომ ქართველ მეცნიერებს საკმაოდ კარგად აქვთ შესწავლილი, როგორც სამეფო, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა საბეჭდეები.

მრავალ სამეფო საბეჭდეთაგან ქართველ მეცნიერებს იდენტიფიცირებული და შესწავლილი აქვთ მეფე ერეკლე მეორეს რვა ბეჭედი, თუმცა მათი რაოდენობა შეიძლება მეტი იყოს, რამდენადაც ჯერ კიდევ არ არის სრულად აღწერილი საარქივო დოკუმენტები არაბული და სპარსული ბეჭდებით. ანა ბაქრაძეს თავის ნაშრომებში[3] აღწერილი აქვს 1730 ბეჭედი. ნ. თარხნიშვილი თავის ნაშრომში[4] „მეფე ერეკლე მეორეს ბეჭდები "იტყობინება: „საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სხვა მნიშვნელოვან მასალებთან ერთად, დაცულია ქართული დოკუმენტების დედნების კოლექცია, რომელთა რაოდენობა დღეისათვის 10 000 – ზე მეტია".

<u>საქართველოს ეროვნული არქივ</u>ის დახმარებით, მომეცა შესაძლებლობა დამეფიქსირებინა ერეკლე მეფის ბეჭდების დიდი ნაწილი, რომელთა აღწერას ქვემოთ შემოგთავაზებთ:

1. რვაკუთხოვანი ბეჭედი, ზომა: 10 x 11მმ. ცენტრში ასომთავრული ლეგენდა „ᲚᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲗᲐᲮᲚᲘᲗᲘ„ „ბატონიშვილი ერეკლე„ ერეკლე ამ დროისათვის 9 – 10 წლის გახლავთ, ქრონოლოგიურად ეს მისი პირველი ბეჭედია. ჩანს 1729წ. და 1739წ. წყალობის სიგელებზე, საბუთი № 556. (იხ. სურათი №1)

[1] G. Gabashvili. „RENDERING THE NAME OF HERAKLIUS II (NUMISMATIC EVIDENCE) Journal of the Oriental Numismatic Society № 214. Winter 2013

[2] აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო -კვლევითი ჟურნალი „არქეოლოგია". თბილისი 2018 წ. №1. გ. გაბაშვილი. ერეკლე მეორეს სახელის დაწერილობის შესახებ. გვ 168).

[3] „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის"(წიგნი I. თბილისი, 1978. წიგნი II. თბილისი, 1988.)

[4] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო. სამეცნიერო–საინფორმაციო ბიულეტენი №13 – 14ს. გვ 17.

სურათი №1

ქარაგმა ამ ბეჭედზე იკითხება შემდეგნაირად:

ე რ ე კ ლ ე

2. სწორკუთხოვანი ბეჭედი, ზომა 11 – 12 მმ. ცენტრში მხედრული ხელრთვა „ერეკლე“ (იხ. სურათი №2). ეს ბეჭედი გვხვდება 1738 – 1796 წლების ეკონომიკური ტიპის საბუთებზე.

სურათი №2

ხელრთვა ამ ბეჭედზე იკითხება შემდეგნაირად:

ე რ ე კ ლ ე

3. სწორკუთხოვანი ბეჭედი, ზომა 17 – 15 მმ. გარშემოწერილია მხედრული წარწერით: „სული შენი მომბერე კლებულს იესო“ ბოლო ორ სიტყვას შორის (კლებულს — იესო) მოთავსებულია ასომთავრული ქარაგმა „ ⵊ“, სავარაუდოდ, თარიღი ქორონიკონით. ცენტრში მხედრული ხელრთვა „ერეკლე“ (იხ. სურათი №3). ეს

ბეჭედი უზის 1749, 1743 და 1781 წლების სხვადასხვა სახის საბუთებზე. საბუთები: 187, 507, 511, 2428.



სურათი №3

ბეჭდის ცენტრში ხელრთვა იკითხება შემდეგნაირად:

ე რ ე კ ლ ე

4. რვაკუთხოვანი ბეჭედი, ზომა: 23 – 22 მმ, გარშემოწერილი მხედრული წარწერით: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს“ცენტრში მხედრული ხელრთვა „ერეკლე“ (იხ. სურათი №4). ეს ბეჭედი ჩანს 1744 წლიდან 1797 წლის ჩათვლით და უზის სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების საბუთებს.(დოკუმენტები 583, 5532, 512 და სხვა მრავალი).

სურათი №4

ბეჭდის ცენტრში ხელრთვა იკითხება შემდეგნაირად:

ე რ ე კ ლ ე

5. რვაკუთხოვანი ბეჭდი, ზომა: 20 – 18 მმ. გარშემოწერილი მხედრული წარწერით: ”მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“ ცენტრში ასომთავრული ქარაგმა „ᲔᲠᲔᲙᲚᲔ“ „ერეკლე“ (იხ. სურათი №5). ეს ბეჭედი გვხვდება 1750 წლიდან 1797 წლის ჩათვლით და დაკრულია სხვადასხვა დანიშნულების საბუთებზე (დოკუმენტები 169,587, 125 და სხვა მრავალი).

სურათი №5

ქარაგმა ამ ბეჭდის ცენტრში იკითხება შემდეგნაირად:

ე რ ე კ ლ ე

6. ოვალური ბეჭედი, ზომა 34 – 27 მმ. გარშემოწერილი მხედრული წარწერით: „ძე ცხებულისა უფლისა მეფის თეიმურაზისა [მეფ]ე ერეკლე“. ცენტრში გამოსახულია სამეფო გერბი, ჩანს გვირგვინი, ორი ლომი, ისრები და მშვილდი. (იხ. სურათი № 6) ბეჭედი გამოყენებულია სულ ორჯერ, 1746 წ. (დოკუმენტი 162 და 1317).

სურათი №6

7. რვაკუთხოვანი ბეჭედი, ხუთენოვანი ლეგენდით.ზომა 15 x 17 მმ. გარშემო ოთხ ენაზე მეფის სახელი „ირაკლი“.

ლათინური ზედწერილი: „HEPCLUS”„ირაკლი”.

ბერძნული ზედწერილი: „HRKS”„ირაკლი”.

სომხური ზედწერილი: „ՀԵՐԱԿԼ”ՀՈՐԱԿԼԻ.

სომხური ზედწერილი: „ՀԵՐԱԿԼ” სომხური ქარაგმა იკითხება შემდეგნაერად: (იხ. სურათი 7ა) „ჰერაკლი“ იგივე ირაკლი.

ჰ ე რ ა კ ლ ი

სურათი 7ა

სპარსული ზედწერილი: „მონა მისი ირაკლი” „მონა უფლისა ირალკი”.

ტექსტი იკითხება შემდეგნაირად: (სურათი 7ბ).

ი რ ა კ ლ ი

სურათი 7ბ

ცენტრში ასომთავრული ქარაგმა: „ՀԱՐԿՆՂ“ „ირაკლი“(სურათი №7). ეს ბეჭედი, სხვა ბეჭდებთან ერთად, უზის 1781 წ. ერეკლე მეფის მიერ თეკლა ბატონიშვილისადმი მიწერილ წერილს. (კოლ. 1448, დოკუმენტი 189). ბეჭდის ცენტრალური ასომთავრული ქარაგმა თამამად და ეჭვგარეშე იკითხება როგორც “ՀԱՐԿՆՂ” “ირაკლი“ (იხ. სურათი 7ა)

სურათი №7



ი რ ა კ ლ ი

სურათი 7ა

8.სწორკუთხოვანი ბეჭედი. ზომა 13 – 11მმ. ცენტრში სპარსული ზედწერილი „íÇÂGnéqjåDÂ„ „მოწმე მისი ირაკლი” “მოწმე უფლისა ირაკლი“. ბეჭედი, სხვა ბეჭდებთან ერთად, უზის 1781 წ. ერეკლე მეფის მიერ თეკლა ბატონიშვილისადმი მიწერილ წერილს (კოლ. 1448, დოკუმენტი 189). (იხ. სურათი №8).

ამ შემთხვევაშიც, მეფის სახელი, უდავოდ, იკითხება როგორც ირაკლი (იხ. სურათი 8ა).

ი რ ა კ ლ ი

სურათი 8ა

სურათი №8

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს
გაკრა ხელი და გახია.
(ხალხური)

პატარა კახი, ეს კიდევ ერთი სახელია მეფე ერეკლესი, რომელიც ხშირად ჩანს ხალხურ ლექსებში და თქმულებებში. მეფე ამ სახელით (ზედმეტსახელით) არცერთ პირად წერილში, სახელმწიფო საბუთში ან რამე სახის სიგელში არ არის მოხსენიებული.

ირაკლის სახელით მეფე საკმაოდ სერიოზულ დოკუმენტებზე გვხვდება, მაგალითად, გეორგიევსკის ტრაქტატი („აზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა.....)

ერეკლე მეორეს ყველა სპილენძის მონეტაზე, ასომთავრული ქარაგმა მისი სახელისა იკითხება როგოც „ᲘᲠᲐᲙᲚᲘ“ „ირაკლი “(იხ. სურათი № 9).

სურათი №9

ქარაგმა მონეტებზე იკითხება შემდეგნაირად:

ი რ ა კ ლ ი

ერეკლე მეორეს, ასევე, ხშირად იხსენიებენ ირაკლის სახელით ახლო ნათესავები.

თეკლა ბატონიშვილის ვაჟი, **ალექსანდრე ორბელიანი,** თავის მოგონებებში წერს: “16 წლამდინ დედაჩემსა კაცურად სცმია ტანისამოსი და მამას – მეფეს ირაკლის ის თან დაჰყავდა“.

ზემოთ აღწერილ რვა ბეჭედზე, სახელი ერეკლე დაქარაგმებულია ასომთავრული ანბანით ორ მათგანზე: სურათი№1 და №5, ხოლო სამ ბეჭედზე – მხედრული ხელრთვით: სურათი №2, №3 და №4. მეფის სახელი „ირაკლი“ ასომთავრული ქარაგმით დატანილია №7 ბეჭედზე. მის გარშემო, ოთხ ენაზე – ბერძნულ, ლათინურ, სომხურ და სპარსულ ენაზე, გადმოცემულია მეფის სახელი „ირაკლი“. ასევე ბეჭედზე №8 სპარსულადაა გადმოცემული მეფის სახელი „ირაკლი“ (იხ. ტაბულა №10).

დამწერ-ლობა	ასომთა-ვრული ქარაგმა	მხედრუ-ლი ხელრთვა	ასომთა-ვრული ქარაგმა	ლათი-ნური	ბერძნუ-ლი	სომხუ-რი	სპარსუ-ლი
მეფის სახელი	ერეკლე	ერეკლე	ირაკლი	ირაკლი	ირაკლი	ირაკლი	ირაკლი
რაოდენობა	2	3	1	1	1	1	2
ბეჭედი №	№1. №5.	№2. №3. №4. №6	№7.	№7.	№7.	№7.	№7. №8.

ტაბულა №10

საკმაოდ ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, მეფის ზემოთ ჩამოთვლილი სახელებიდან რომელი მათგანი უფრო ხშირადაა ნახსენები საბუთებში, ბეჭდებზე ან პირად მიმოწერებში, რადგან მეფის სახელის გარშემო ჩამოყალიბებული სტერეოტიპის გამო, მეცნიერები, მკვლევრები და მკითხველებიც კითხულობენ სახელს „ირაკლი“ და წერენ ერეკლეს. ამის მაგალითია მ. პ. ბარათაევის მიერ გამოცემული პირველი კვლევა ქართული ნუმიზმატიკისა „Нумизматические факты Грузинского царства“[1]. ასევე შეუსაბამობაა სახელის წაკითხვასა და მის დაწერას შორის ე.ა. პახომოვის ნაშრომში „Монеты Грузии“[2] და დ. კაპანაძის ნაშრომში „ქართული ნუმიზმატიკა“[3]. ასეთივე პრობლემას ვაწყდებით ნ. თარხნიშვილის ზემოთხსენებულ სტატიაში, „მეფე ერეკლე მეორეს ბეჭდები[4]“. მხოლოდ ანა ბაქრაძემ წაიკითხა სწორად ბეჭდის ცენტრალური ასომთავრული ქარაგმა და სწორადვე დაწერა სახელი „ირაკლი[5]“. ყველაფერი ამის გამო, დგება აუცილებლობა წაკითხული ინფორმაციის გადამოწმებისა და დროის ხარჯვისა.

იმედი მაქვს, რომ კიდევ გამოჩნდება მეფე ერეკლე მეორეს სპარსულ ენოვანი ან რომელიმე უცხო ენოვანი ბეჭდეი, რადგან მეცნიერებს კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო სფრაგისტიკის მიმართულებით.

მადლობას ვუხდი ბატონ გიორგი კალანდიას
კოლეგიალური მხარდაჭერისათვის.

[1] Нумизматические факты Грузинского царства“. Разряд IV (Санкт - Петербург, 1844. ст.11- 12).
[2] Е.А. Пахомов. Монеты Грузии. Тбилиси. 1970. გვ. 261.
[3] დ. კაპანაძე „ქართული ნუმიზმატიკა“. თბილისი 1969 წ. გვ. 151– 152.
[4] ნ. თარხნიშვილი (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო. სამეცნიერო–საინფორმაციო ბიულეტენი №13 – 14) გვ 12.
[5] ანა ბაქრაძე „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის.“ (წიგნი I. თბილისი 1978.გვ. 39. კატ. №55).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სარა ბარნაველი. საქართველოსსაბეჭდავებიდასხვაგლიპტიკურიმასალები, თბ., 1965წ.
2. ნ. თარხნიშვილი. მასალები ქართული სფრაგისტიკისათვის. საარქივო სამმართველოს სამეცნიერო–საინფორმაციო ბიულეტენი № 13–14. 1967წ.
3. მარი ბროსე. Monographie Georgienne de Moscou. Bulletin scientifique publie par I'Academie imperial des Sciences de S. Pt. t. IV, 1838, გვ.294 – 302.
4. ანა ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის.თბილისი 1978.
5. ანა ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის.თბილისი 1988.
6. Н. П. Лихачев. Материалы для истории византийской и русской сфрагистики. Труды Музея палеографии, вып. I. Л. 1928.
7. H.L. Robino de Borgomale. La sigillographie iranienne modern. Jornalasiatikuet. CCXXXIX, année 1951.
8. Е. И. Каменцев, Н. В.Устинов. «Русская сфрагистика». Москва. 1963 г.

მედეა შეროზია

ბერძნულ-რომაული ფულის იბერიული იმიტაციების შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მონეტებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ადგილობრივ დამზადებული მონეტები, უცხო ქვეყნების იმ მონეტების მიბაძვით, რომლებიც ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში აქტიურად იყო ჩართული. მსგავსი მოვლენა არ არის გამონაკლისი - ასეთი რამ ფიქსირდება მრავალ ადგილას, ანტიკური სამყაროს პერიფერიაზე. საქართველოსთვის, რომლის ისტორიაც არასაკმარისად არის გაშუქებული წერილობითი წყაროებით, ადგილობრივი სამონეტო ემისიების კვლევა აქტუალურია.

ანტიკური საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ.წ. 336-323 წწ) და მისი მხედართმთავრის, თრაკია-მაკედონიის მმართველის ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282 წწ) სახელით მოჭრილი სტატერების, ასევე, რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ) დენარების (ზურგზე გაი და ლუციუს ცეზარების გამოსახულებებით) [Зограф А. Н. Дундуа Г. 1987: 55-102; კაპანაძე დ. 1969: 33-38, 42-44; შეროზია მ. 2009: 61-71; შეროზია მ. 2013:13] და რომაული საიმპერატორო აურეუსების იმიტაციები, [შეროზია მ. 2015: 38-61]. რუსი და ევროპელი მეცნიერების უმეტესობა დღემდე სკეპტიკურად უყურებს იმიტაციების ადგილობრივ წარმომავლობას [Пахомов Е.А. 1970: 13; Брайчевський М.1959.84-91; Кропоткин В.1961.16; Giard J-B. 2001.228,229].

ოქროს იმიტაციების შესწავლისას, ე. პოხომოვმა [Пахомов Е. А. 1926: 38] და ა. ზოგრაფმა [Зограф А. Н. 1951: 101] პირველებმა დააფიქსირეს, რომ მინაბაძების ნაწილზე, კერძოდ, ავერსზე, იმპერატორის დიადემას ფრინველის გამოსახულებები ამშვენებს. დედანზე ეს დეტალი არ არის. ამგვარი რამ არ ფიქსირდება ამ საფასების სხვა ქვეყნებში გამოვლენილ ანალოგიურ იმიტაციებზე. დ. კაპანაძემ ფრინველთა გამოსახულებას ალექსანდრე მაკედონელი და ლისიმაქეს სტატერების იმიტაციებზე, როგორც ძალაუფლების მიმანიშნებელ სიმბოლოს, სპეციალური კვლევა მიუძღვნა, სადაც აღნიშნავს, რომ ამ მნიშვნელოვანი და სახასიათო დეტალის გამო, სრული დამაჯერებლობითაა შესაძლებელი, რომ ეს იმიტაციები ადგილობრივ პროდუქციად მივიჩნიოთ [Капанадзе Д. 1956:83-88].

იმიტაციებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ მიგვიყვანა საინტერესო აღმოჩენამდე, კერძოდ, ჩვენი აზრით, ანტიკური საქართველოს ტერიტორიაზე, გვიან რომაულ ხანაში, ფართოდ გავრცელებულ ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ.27 - ახ.წ.14 წწ.) დენარების (სურ.1), რომლებზეც იმპერატორის შვილიშვილები გაი და ლუციუს ცეზარები არიან გამოსახული, იმიტაციების ერთ ნაწილს, იმპერატორის დიადემას სამი ჩიტის გამოსახულება ამშვენებს (ტაბ. სურ. 2,3,4[1]). თვალნათლად ჩანს, რომ ამ

[1] გრაფიკული ნამუშევრები შესრულებულია მხატვრების ლ. ფავლენიშვილის და ც. თურქიაშვილის მიერ.

იმიტაციების ყველაზე ადრეულ ჯგუფზე, რომელიც თარიღდება ახ. წ. პირველი საუკუნის მიწურულით, გამოსახულია სამი ჩიტი (სურ. 2, 3, 4). ფრინველია, ასევე, გამოსახული სვანეთის ისტორიულ მუზეუმში დაცულ, ძალზედ დაბალი სინჯის ვეცხლისაგან დამზადებულ ეგზემპლარზე (სურ. 5), რომლიც გვიანდელ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ [შეროზია მ.2013:233]. ცხადია, რომ ფრინველის გამოსახულება რომაული დენარის იმიტაციას, მემკვიდრეობის სახით გადაეცა ადგილობრივი ოქროს იმიტაციებიდან, როგორც დამკვიდრებული ტრადიცია.

თავდაპირველად, ფრინველის გამოსახულება, სავარაუდოდ, გაჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ყველაზე ადრეულ, პირველი თაობის იმიტაციაზე, რომელიც ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არის გამოვლენილი. ასეთი დღეისათვის სულ სამია, აქედან ორი არმოჩენილია ვანში, ახვლედიანების გორაზე, ერთი უპასპორტოა (გ.ფ. № 5252, 5088, ქ.ძ.ფ. № 3759. სურ.7,8).

ფრინველი გამოსახულია ლისიმაქეს იმიტაციების უმეტესობაზე. მათი რაოდენობა ერთიდან ხუთამდეა (ტაბ. სურ. 8,9,10,11). ჩიტების გამოსახულება ჩანს ამ იმიტაციების ყველაზე გვიანდელ და ამავე დროს, ყველაზე დაკნინებულ ვარიანტზე, რომელიც გამოვლენილია აღმოსავლეთ საქართველოში, კასპის რაიონის სოფელ აღაიანში, რიყიანების ველის სამაროვანზე 1977 წელს №4(9) სამარხში [მირიანაშვილი ნ. 1983:27; Дундуа Г.Ф.1987 : 155]. ტაბ. სურ. 11.

იმიტაციებზე ფრინველის გამოსახულების ჩართვა ადგილობრივი ტომების რწმენა-წარმოდგენებთანაა დაკავშირებული. ზოგადად, ფრინველის (ჩიტის) გამოსახულებით ადამიანის (მმართველის, მეფის, იმპერატორის) თავის ან გვირგვინის შემკობა, როგორც ციური, ზეციური სიძლიერის მიმანიშნებელი სიმბოლოთი, არაა სიახლე. ფრინველის გამოსახულებას არა აქვს მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური ხასიათი. პირველ ყოვლისა, როგორც აღინიშნა, ესაა ანარეკლი მრავალფეროვანი რწმენა-წარმოდგენებისა და აქვს საკულტო-სარიტუალო დანიშნულება [Бардавелидзе В. 1957; წერეთელი მ. 2010: 44-47].

ფრინველის მინიატურული გამოსახულებები დამახასიათებელია კოლხური ოქრომჭედლობისათვის: ოქროს ყელსაბამები შედგენილი ფრინველის გამოსახულებიანი საკიდებისაგან, ოქროს სასაფეთქლეები, რომელთაც ჩიტების გამოსახულებები ამშვენებს და ა. შ. [ჭყონია ა. 1981: 54-59; ჭყონია ა. 1977: 81-100].

ზოგადად, სამკაულის ფრინველის გამოსახულებით შემკობა სათავეს უფრო ადრე იღებს. ცნობილია გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ფრინველის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდები, რომლებიც ძვ. წ. XIV-XIII სს-ით დათარიღებულ სამარხებშია აღმოჩენილი [რამიშვილი ქ. 2005: 48,49; სულავა ნ. 1996: 56]. ასევე, მრავლადაა აღმოჩენილი ფრინველის გამოსახულებით შემკობილი ბრინჯაოს სამშვენისები მესხეთში, ბორჯომის რაიონში [Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1995: 57-73. таб.62. №4].

ანტიკური პერიოდის ნუმიზმატიკურ არტეფაქტებზე ფრინველის გამოსახულების გამოყენება, დიადემის ან გვირგვინის შემკობის ფაქტი ჩვენთვის

ცნობილი არ არის. ერთდერთი, პასპორტიზირებული, კარგად დათარიღებული ოქტავიანე ავგუსტუსის ადგილობრივი იმიტაცია, რომელზეც ფრინველის გამოსახულება ნათლად ჩანს, გამოვლენილია დედოფლის გორის ნასახლარზე.

ახ. წ. I საუკუნის მიწურულს, ხანძარმა, რომელიც შესაძლებელია, მიწისძვრამ გამოიწვია, გაანადგურა დედოფლის გორაზე არსებული სასახლე, რომელიც ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეებში ფუნქციონირებდა [Gagoshidze I. 2004:41]. სასახლის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყველა მონეტა დაზიანებულია ცეცხლში ყოფნის გამო.

2004 წელს ექსპედიციამ დედოფლის გორაზე, მე-15 ოთახის შემოკრებილ ნანგრევებში, იპოვა უკიდურესად დაზიანებული ვერცხლის მონეტა. გაწმენდა-რესტავრაციის შემდგომ ნათელი გახდა, რომ საფასე წარმოადგენდა რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის (მოჭრილს ძვ.წ. 2-ახ.წ. - 4 წწ.ში.) ადგილობრივ მინაბაძს [შეროზია მ. 2013: 233]. სწორედ ამ მონეტაზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალზედ დაზიანებულია, ნათლად ჩანს ჩიტების გამოსახულება (ტაბ. სურ. 5). ეს ეგზემპლარი სხვამხრივაც არის მნიშვნელოვანი, რაც შემდგომ ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად გამოვლენილმა აღმოჩენებმა გვიჩვენა.

2013 წელს მე-20 სათავსოს ტერიტორიაზე საკურთხევლის პრეპერაციის დროს, მის თავზე, სხვადასხვა ნივთებთან და მცირე ზომის ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებათა ქანდაკებებთან ერთად, გამოვლინდა, სავარაუდოდ, მინის ჭურჭელში მოთავსებული, ცეცხლში ყოფნის გამო ერთმანეთზე შედუღაბებული მონეტების გროვა. გროვაში იყო 13 ვერცხლის და ორი ელექტრუმის მონეტა. ესენია: 2 ცალი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ელექტრუმისაგან დამზადებული ადგილობრივი მინაბაძი და 13 ცალი ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი [ტაბ. სურ. 13].

ძალზედ ინფორმაციულია ოქტავიანე ავგუსტუსის დენარისა და მისი მინაბაძის ერთდროული აღმოჩენა. ეს ფაქტი გვაძლევს შემდეგი სახის დასკვნის გაკეთების საშუალებას:

როგორც ზემოთ აღინიშნა, I საუკუნის ბოლოს სასახლე ხანძარმა იმსხვერ-პლა. ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ავგუსტუსის ამ ტიპის დენარის მიმოქცევაში ინტენსიურად ჩართვისთანავე, I საუკუნის II ნახევრიდან, ჩნდება მისი ადგილობრივი მინაბაძები. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარები და მისი მინაბაძები, კერძოდ ისინი, რომლებიც ფრინველის გამოსახულებებს ატარებენ, ბრუნავს ერთდროულად.

კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ეს აღმოჩენები საინტერესოა, არის ის, რომ აქ ხსენებული რომაული დენარები გამოვლინდა განძის სახით. ასეთი შემთხვევები ძალზედ მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ დენარის ეს ტიპი ფართოდ გავრცელებული საფასე იყო მთელ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში, მათ შორის, იბერიის სამეფოში. ესაა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მოპოვებული რომაული პერიოდის საფასეების ნახევარზე მეტი, უმეტესად, სამარხეული მასალა. აქამდე განძად აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა დადასტურებული. 1944 წელს, არქეოლოგიური

გათხრების დროს, მცხეთაში, ბაგინეთზე (შიდა ციხე), თავდაცვითი კედლის ძირში, გამოვლინდა ავგუსტუსის 22 ცალი დენარი [მცხეთა I. 1955:179].

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ავგუსტუსის დენარების განძად აღმოჩენის კიდევ ერთი შემთხვევა გვაქვს დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ქალაქ ჟდანოვთან (ტაზაკენდის რაიონი) 12 ერთეულისაგან შემდგარი განძი გამოვლინდა [Халилов Дж. 1985:154].

დედოფლის გორაზე გამოვლინდა ამ საფასეების სარიტუალო შენაწირის სახით გამოყენების პირველი შემთხვევა. მონეტები, სავარაუდოდ, მოთავსებული იყო ქისაში და შემდეგ ჩადებული მინის ჭურჭელში (ტაბ. სურ. 13).

სხვადასხვა წლებში, ამ ძეგლზე, ასევე აღმოჩენილია რეპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ.წ. 67 წელს [Дундуа Г. 1987:146] და თრაქიის მმართველის ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282 წწ) სტატერი [Sherozia M. 2008: 242].

დედოფლის გორა მიჩნეულია სამეფო ოჯახის ან მასთან ახლოს მდგომი სოციალური ფენის ნამოსახლარად. აქ გამოვლენილი მონეტების ერთობლიობა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილია. სამონეტო მიმოქცევაში იმიტაციიების ჩართულობა მიანიშნებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა სამეფო ხელისუფლების ჩართულობა ემიტეტის განხორციელებაში. თვალსაჩინოა, რომ მაღალი სოციალური წრეები მათ მოიხმარს, ამის ნათელი მაგალითია აღნიშნული ძეგლი, ასევე, მცხეთაში 1951 წელს გამოვლენილი აკლდამა, რომელიც დაწინაურებული წრის ქალბატონს ეკუთვნოდა. აქ აღმოჩენილია 63 მონეტა, მათგან 9 ოქროსია, 54 ვერცხლის. ნიშანდობლივია, რომ 9 ოქროს საფასიდან ოთხი რომაული საიმპერატორო აურეუსია, ხუთი კი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი იმიტაცია [კაპანაძე დ. 1955:82; მათიაშვილი ნ. 2016:18].

ჩვენი აზრით, ავგუსტუსის დენარების იმიტაციების ადრეული ფრინველის გამოსახულებიანი ვარიანტების დამზადებაში ხელისუფლება მონაწილეობდა.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ, ძვ.წ. II საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოს ტერიტორიაზე ხდება ბერძნულ-რომაული ფულის იმიტაციების დამზადება. ამას საკმაოდ ფართო და ხანგრძლივი ხასიათი აქვს. ეს ხდება მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში. შემდგომ ეს პროცესი გაგრძელებას ჰპოვებს ადრეფეოდალურ ეპოქაში, ქართველი ერისმთავრების მიერ ქართულ სასანური ფულის დამზადებაში. უფრო მოგვიანებით, ეს პროცესი გვირგვინდება ტაო-კლარჯეთის მმართველი ბაგრატიონების მიერ საქართველოს გაერთიანებითა და ქართული ფულის ემიტეტის განხორციელებით.

ბიბლიოგრაფია

1. **კაპანაძე დ. 1955:** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937 – 1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. 1. გვ. 79-88. თბილისი.
2. **მათიაშვილი ნ. 1016:** მცხეთის აკლდამა. თბილისი.
3. **მირიანაშვილი ნ. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები). თბილისი.
4. **რამიშვილი ქ. 2005:** მდ. არაგვის ხეობაში აღმოჩენილი ფრინველების ბრინჯაოს მინიატურული გამოსახულება. იბერია-კოლხეთი №2. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული. გვ. 48-56. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).
5. **სულავა ნ. 1996:** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში. თბილისი.
6. **ჭყონია ა.** 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VI. არქეოლოგიური გათხრები. გვ: 54-59. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).
7. **ჭყონია ა. 1977:** ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურეები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი III. არქეოლოგიური გათხრები. გვ. 81-100. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).
8. **ხიდაშელი მ. 1972:** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბილისი.
9. **შეროზია მ. 2013:** ფრინველთა გამოსახულება ანტიკური ხანის ქართულ მონეტებზე. სემმ. IV, გვ. 232-248. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).
10. **შეროზია მ. 2015:** რომაული აურეუსები და მათი მინაბაძები იბერიის ფულად მიმოქცევაში. სემმ. VI, გვ. 38-61. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).
11. **წერეთელი მ. 2010:** კოლხური თავსამკაულის ახალი დეტალები (საირხის არქეოლოგიური მასალის მიხედვით). არქეოლოგიური ჟურნალი. ტ. V. გვ. 44-47. თბილისი (რედ. გ. მახარაძე).
12. **Бардавелидзе В. 1957**: Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племён. Тбилиси.
13. **Брайчевський М.1959**: Римска монета на територии Украини. Киев.
14. **Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1995**: Работы Месхет-Джавахетской экспедиции. Полевые археологические исследования в 1987 году (Краткие сообщения) Тбилиси.
15. **Дундуа Г.Ф.1987 :** Нумизматика античной Грузии. Тбилиси.
16. **Зограф А. Н. 1935:** Античные золотые монеты Кавказа, Известия ГАИМК, вып. 110, gv. 189-190.
17. **Зограф А. Н. 1945:** Распространение находок античных монет на Кавказе.ТОНГЭ. Ленинград
18. **Зограф А. Н. 1951**: Античные монеты. МИА, №16, Москва-Ленинград.

19. **Зограф А. Н. 1955:** Денежное обращение и монетное дело северного причерноморья. Античные города северного причерноморья, очерки истории и культуры, I, издательство академии наук СССР. Москва-Ленинград. Ред. В. Ф. Гайдукевич, М. И. Максимова.
20. **Капанадзе Д. 1956**: Изображение знаков власти на древнегрузинских монетах. КСИИМК Академия Наук СССР. Вып.66. ст. 83-88. Москва. Ред. А. Д. Удальцов.
21. **Кропоткин В.1961**: Клады Римских монет на территории СССР. Москва.
22. **Пахомов Е. А. 1926:** Монетные клады Азербайджана и Закавказья. вып. I . Баку.
23. **Пахомов Е. А. 1970:** Монетны Грузии. Тбилиси.
24. **Gagoshidze I. 2004:** *The Royal palace of the first century B.C.- Journal of Georgian Archeology. VI. p. 41-44.*
25. **Giard J.B. 2001:** Monnaies de L'Empire Romain. I. Auguste Catalogue Bibliotheque nationalede *France. Paris.*
26. **Sherozia M. 2008:** Monetary Circulation in Iberia in the Ist.c. B.C.-Ist. c. A.D. IBERIA AND ROME. The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influece in the Caucasian kingdom of Iberia (A. Furtvangler, I. Gagoshidze, H. Lohr, N. Ludvig). p. 235-242. Langenweibach.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ.27- ახ.წ.14 წწ) დენარი.

სურ. 2. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის იმიტაცია.

სურ. 3. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის იმიტაცია.

სურ. 4. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის იმიტაციის გრაფიკული ჩანახატი.

სურ. 5. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის იმიტაცია არმოცენილი დედოფლის გორაზე.

სურ. 6. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის იმიტაცია, რომელიც დაცულია სვანეთის ისტორიის მუზეუმში.

სურ. 7. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის იმიტაცია ვანიდან, ახვლედიანების გორა.

სურ. 8. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის იმიტაცია ვანიდან, გრაფიკული ჩანახატი.

სურ. 9. ლისიმაქეს სტატერის იმიტაცია.

სურ. 10. ლისიმაქეს სტატერის იმიტაცია.

სურ. 11. ლისიმაქეს სტატერის იმიტაცია.

სურ. 12. ლისიმაქეს სტატერის იმიტაცია.

სურ. 13. დეოფლის გორაზე გამოვლენილი მონეტების განძი, ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად.

ტაბულა

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

13

გურამ ფილიპაშვილი

უძველესი ოლიმპიური თამაშების სამსახსოვრო მონეტები

ოლიმპიადის სახელწოდება წარმოიშვა იმ ადგილიდან, სადაც თამაშები ტარდებოდა. ეს იყო ქალაქი ოლიმპია, რომელიც მდებარეობდა უძველესი საბერძნეთის დასავლეთით, ელისის მხარეში. ეს ადგილი გამოირჩეოდა, როგორც მდიდარი და ნაყოფიერი მხარე. აქ იყო ტაძრები, სპორტული მოედნები და შენობები სპორტსმენებისათვის. ყოველ ოთხ წელიწადში ოლიმპიაში ეწყობოდა სპორტული თამაშები და ელისის მოსახლეობა პასუხისმგებელი იყო ამ თამაშების ორგანიზებაზე. ოლიმპის სტადიონზე დაახლოებით 45 ათასი მაყურებლი იკრიბებოდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მოსახლეობის ინტერესი თამაშების მიმართ დიდი იყო.

ოლიმპიური თამაშები უძველესი და ყველაზე პოპულარული დღესასწაული და შეჯიბრი იყო ძველ საბერძნეთში. იგი იმართებოდა ზევსის პატივსაცემად. ჩვენთვის ცნობილი ანტიკური სამყაროსთვის პირველი ოლიმპიური თამაშები მოეწყო ძველი წელთაღრიცხვის 776 წელს ქალაქ ოლიმპში. ყოველ მომდევნო ოლიმპიურ თამაშებს შორის ინტერვალი შეადგენდა 1417 დღეს (დაახლოებით 4 წელიწადი). ოლიმპიური თამაშები თვალსაჩინო როლს ასრულებდა ძველი სამყაროს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ელისის ოლიმპიური თამაშები რეგულარულად ტარდებოდა 1170 წლის მანძილზე და ასეთი ოლიმპიური თამაშები სულ 293 არის ცნობილი, რომელსაც ატარებდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წლამდე, ვიდრე რომის იმპერატორმა თეოდოსი I ეს თამაშები არ გააუქმა, ვინაიდან ის თვლიდა, რომ ოლიმპიური თამაშები დაკავშირებული იყო გადაჭარბებულ კერპთაყვანისმცემლობასთან. ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად თავს იყრიდნენ ელისის მხარის ათლეტები. თამაშების ჩატარების მომენტში წდებოდა ყველა ომი, რადგან შეჯიბრება გრანდიოზულ და დიდებულ დღესასწაულად ითვლებოდა.

უძველესი ოლიმპიური თამაშები წარმოადგენდა უფრო მნიშნელოვან მოვლენას, ვიდრე უბრალო სპორტული შეჯიბრებები. ის იყო შემოსავლიანი საქმე და უზრუნველყოფდა პოლიტიკურ და კულტურულ ფორუმს, რადგან თამაშების დროს ბევრი ღონისძიება იმართებოდა. საჭირო იყო სპორტსმენების, მათი მწვრთნელების და მაყურებლების განთავსება და მომარაგება საკვებითა და სუვენირებით. თამაშები აერთიანებდა ათასობით მოქალაქეს საბერძნეთის ქვეყნის ყველა კუთხიდან, ისინი ესწრებოდნენ ბაზრობებს, წარმოდგენებს და კონცერტებს.

ოლიმპიადის ცენტრალური შემადგენელი ელემენტები იყო სპორტული შეჯიბრებები და რელიგიური ხასიათის რიტუალები. ოლიმპიადის დაწყების პირველ დღეს მონაწილე ათლეტები ფიცს დებდნენ და მოჰქონდათ ღმერთისათვის შესაწირი. ასევე, მსაჯებიც ფიცს დებდნენ, რომ სამართლიანად იმსაჯებდნენ და შემდეგ მომდევნო სამი დღე იმართებოდა შეჯიბრებები.

ოლიმპიური თამაშების უძველესი ტრადიცია ასევე მოიცავს ოლიმპიური მონეტის მოჭრის უძველეს გამოცდილებას. ბერძნები თვლიდნენ, რომ ოლიმპიური ფულის გამოშვებით საზოგადოებას ოლიმპიურ თამაშებთან დაახლოვებდნენ. ვინც ვერ შეძლებდა თამაშებზე დასწრებას, შეეძლო ჰქონოდა სამახსოვრო სუვენირები და ოლიმპიური მონეტები. ოლიმპიური მონეტა, როგორც ჩვეულებრივი ფული, პრაქტიკულად არ გამოყენებოდა, მაგრამ გამონაკლისი მაინც იყო, უკვე თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დროს.

პირველი ოლიმპიური ფული, სხვადასხვა ვერსიების მიხედვით, გამოჩნდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 471 წლიდან. ოლიმპიური მონეტები იყო ან ვერცხლის, ან ოქროს სტატერები (ფულის ერთეულის აღნიშვნა), რომლის ერთ მხარეს, თავდაპირველად გამოსახული იყო ზევსი, ზეციური არსება, რომელიც ზეცასა და მთებს ხელმძღვანელობდა, ან მისი მეუღლე ჰერა, მოგვიანებით კი ფულზე დაიწყეს ათლეტების დაბეჭდა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამა თუ იმ შეჯიბრებებში, ასევე ხდებოდა სპორტული სახეობების და თეატრალური სცენების ასახვა. მეორე მხარეს, სპეციალურ ოლიმპიურ ფულზე, როგორც წესი, გამოსახული იყო ძველბერძნული გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ან არწივი, როგორც ძალის სიმბოლო, რადგან მისი ზომა, ძლიერი ბრჭყალები და შორსმჭვრეტელი თვალები ითვლებოდა ჰაერის მეფედ და, რა თქმა უნდა, ზეთისხილის ფოთლების გვირგვინი, რომელსაც ტრადიციულად გამარჯვებულს თავზე ადგამდნენ.

ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე მეტად პოპულარული მხედარი ცხენით და ცხენშებმული ბორბლებიანი ეტლებით (კვადრიგა) მბრბოლელი იყო. შეჯიბრებაში მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება, ვინაიდან მათ ჰქონდათ ცხენების შენახვის და მათი გადაადგილების შესაძლებლობა.

ოლიმპიური თამაშების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ წერილობითი ჩანაწერები იწყება 776 წლიდან.

ჩვენამდე მოღწეულია ანტიკური, ელისის ოლიმპიური თამაშების დროს გამოშვებული რამოდენიმე სახეობის ოლიმპიური მონეტა:

ელისის 78-ე -- მე-80 ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღიცხვამდე 468 - 460 წლები, სტატერი, წონა - 11.800 გრამი, **ავერსი**: გამოსახულია მარცხენა მხარეს მფრინავი არწივი, რომელსაც ფრთები მიმართული აქვს ზემოთ და ქვემოთ და ნისკარტით გველი ჰყავს დაჭერილი. **რევერსი:** გამოსახულია ფრინველის ბოლო ნაწილი წყვდიადში ზემოთ და ფრთები ქვემოთ. მარჯვენა მხარეს, ვერტიკალურად ქვემოდან ზემოთ, წარწერაა "F-A".



ელისის 78-ე -- 82-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღიცხვამდე 468 - 452 წლები, სტატერი, წონა - 11.750 გრამი, **ავერსი:** გამოსახულია მარცხენა მხარეს მფრინავი არწივი, რომელიც გლეჯს კურდღელს ბრჭყალებით. **რევერსი:** ფრინველის ფრთები მიმართულია ზემოთ და ბოლო ნაწილი ქვემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს, პარარელურად წარწერაა "F-A".

ელისის 87-ე - 90-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 432-420 წლები, ჰემიდრაჰმა. ვერცხლი, წონა - 2.650 გრამი. **ავერსი:** არწივი სწორად დგას იონიურ მთავარ სვეტზე, რომელსაც ფრთები აქვს გაშლილი, თავი კი, მარცხნივ მიბრუნებული და კლანჭები ზემოთ აწეული. **რევერსი:** ფრინველის გაშლილი ფრთები მოხვეულ მდგომარეობაში მიმართულია ზემოთ და ბოლო ნაწილი ქვემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს პარალელურად არის წარწერა F- A. ეს არის უიშვიათესი მონეტა.

ელისის 87-ე - 90-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 432-420 წლები. სტატერი, ვერცხლი, წონა - 11,51 გრამი, დიამეტრი - 23 მმ. **ავერსი:** არწივი გამოსახულია მარჯვნივ ფრენის დროს, რომელსაც დაჭერილი ჰყავს გველი თავისი ნისკარტითა და კლანჭებით. **რევერსი:** ფრინველის ბოლო ნაწილი მიმართულია წყვდიადში ზემოთ და ფრთები ქვემოთ. მარჯვენა და მარცხენა მხარეს, პარალელურად არის წარწერა "F-A".

ელისის 93-ე ოლიმპიადა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 408 წელი. სტატერი, ვერცხლი, წონა -11,51 გრამი. დიამეტრი - 23 მმ, **ავერსი:** გამოსახულია არწივი, რომელიც იხედება მარცხენა მხარეს, არწივის ქვემოთ კი ალვის ხის ან სუროს ფოთოლია. **რევერსი:** ზემოთ გამოსახულია ფრინველის ბოლო ნაწილი წყვდიადში, ქვემოთ ჩამოშვერილი ფრთებით, მარჯვენა და მარცხენა მხარეს პარალელურად არის წარწერა "F-A" და ირგვლივ ზეთისხილის გვირგვინია.

ელისის 98-ე - მე-100 ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 388-380 წლები, ჰემიობოლი, ვერცხლი, წონა - 0.460 გრამი. **ავერსი:** არწივს თავი აქვს მარჯვნივ მიბრუნებული, ქვემოთ არის გაურკვეველი დეტალები, **რევერსი:** ზემოთ გამოსახულია ფრინველის ბოლო ნაწილი, ხოლო ფრთები ქვემოთ არის მიმართული, მარჯვენა და მარცხენა მხარეს პარალელურად წარწერაა "F-A".

ელისის 101-ე - 102-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 376 - 372 წლები, ჰემიდრაჰმა, ვერცხლი. წონა - 2.610 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია ჰერა გვირგვინით. **რევერსი:** არწივი დგას და თავი აქვს მარცხნივ მობრუნებული, მარჯვენა და მარცხენა მხარეს წარწერაა "F - A".

ელისის 103-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 368 წელი, ჰემიდრაჰმა. ვერცხლი, 2.770 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია ჰერას თავი, სახით მარჯვნივ. **რევერსი:** არწივი დგას ფრთებდაშვებული, , რომელსაც თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული.

ელისის 105-ე - 107-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 360-352 წლები, ჰემიდრაჰმა, ვერცხლი, წონა 2.560 გრამი. **ავერსი:** ჰერას თავი გამოსახულია სახით მარჯვნივ. **რევერსი:** არწივი, რომელიც დგას და თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული.

ელისის 108-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 356 წელი, თეთრადრაჰმა, 14.500 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია ზევსის თავი სახით მარჯვნივ. **რევერსი:** გამოსახულია მხედარი ცხენზე, რომელიც ნავარდობს, ცხენს ყალყზე აყენებს, მარცხნივ მიემართება და რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს გრძელი პალმის ტოტი. ცხენის ქვემოთ ოლიმპიური თასია.

ელისის 109-ე - 110-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 344-340 წლები, ჰემიდრაჰმა. ვერცხლი. 2.980 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია ჰერას თავი სახით მარჯვნივ. **რევერსი:** არწივი დგას სიმაღლეზე, რომელსაც თავი აქვს მარჯვნივ მიბრუნებული, მარცხენა მხარეს წარწერაა "F - A"Υ . ეს არის რარიტეტული მონეტა.

ელისის 111-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 336 წელი. სტატერი, ვერცხლი, წონა 11.580 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია ჰერას თავი, სახით მარჯვნივ, რომელსაც თავზე გვირგვინი ადგას წარწერით "*ΦΑΛΕΙΩΝ*" და ყურზე საყურე აქვს გაკეთებული. **რევერსი:** გამოსახულია კლდის პირას მდგომი ფრთებგაშლილი არწივი, რომელსაც მზერა მიმართული აქვს მარცხნივ. მონეტას ირგვლივ შემოვლებული აქვს ზეთისხილის ფოთლების გვირგვინი.

ელისის 112-ე ოლიმპიადა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 332 წელი, სტატერი._ვერცხლი, წონა 11.710 გრამი **ავერსი:** გამოსახულია ზევსი სახით მარჯვნივ. **რევერსი:** არწივი დგას, რომელიც მარჯვნა მხარეს არის მიბრუნებული და ფრთები აქვს ჩამოშვებული, მის უკან გამოსახულია ელვა, წინ კი "H" და დახვეული გველი, ხოლო მარჯვენა და მარცხენა მხარეს წარწერაა "F-A". ძალიან იშვიათი მონეტაა.

ელისის 113-ე - 115-ე ოლიმპიადა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 328-320 წლები. ჰემიდრაჰმა, ვერცხლი, წონა 2.770 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია ჰერას თავი ხვეული თმით და სახით მარჯვნივ. **რევერსი:** გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც უკანა მხარეს იხედება. უიშვიათესი მონეტაა.

ელისის 114-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 324 წელი, სლეითერი, წონა 11.750 გრამი, **ავერსი:** გამოსახულია ჰერას თავი სახით მარჯვნივ, ქვემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს წარწერაა "F-A". **რევერსი:** არწივი დგას სწორად, ფრთებგაშლილი და თავი აქვს მიბრუნებული მარცხენა მხარეს. მონეტას ირგვლივ შემოვლებული აქვს ზეთისხილის ფოთლების გვირგვინი.

ელისის 112-ე - 142-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 330 - 250 წლები. **პამპილიეს დრაჰმა. ასპინდოსი (ბერძნული ქალაქი, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე),** ვერცხლი, წონა - 10.160 გრამი. **ავერსი:** მონეტის ცენტრში, საასპარეზო მოედანზე, შეჯიბრების მონაწილე მოჭიდავეები შეხვედრის დაწყების მომენტშია გამოსახული. მათ შორის, მონეტის ქვედა ნაწილში, აღნიშნულია ბერძნული ასო "E", რომელიც სიტყვა "ელისი"-ს პირველ დაწყებით ასოს წარმოადგენს. **რევერსი:** ცენტრში გამოსახულია ასპარეზის მონაწილე, რომელსაც ხელები აწეული აქვს თავის სიმაღლემდე და გამოხატავს საგნის სროლის მომენტს, ხოლო თავის უკანა პლანზე, ჰორიზონტალურად, აღნიშნულია ორი პარალელური ხაზი. სპორტსმენის წინა მხარეს, ხელთან,

გამოსახულია სამი ფეხის ფრაგმენტი, ფეხის ზედა სახსრიდან ტერფის ჩათვლით მოხრილ მდგომარეობაში, ერთმანეთზე ბარძაყის ადგილთან შეკავშირებული მარჯვენა ფეხის მუხლის ქვედა ნაწილი მოხრილია. ამ ფრაგმენტის ქვემოთ გამოხატულია ბეისბოლის მსგავსი ხის გათლილი, მრგვალი ჯოხი, რომლის მსხვილ ნაწილთან, ჯოხის ორივე მხრიდან, ოთხ-ოთხი ბურთულაა გამოსახული. სავარაუდოდ ეს იყო შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენის სასროლი საგანი. სპორტსმენის უკან ვერტიკალურად, ქვემოდან ზემოთ მიმართულებით წარწერაა: "E TFEDIY". მონეტა მრგვალი ფორმისაა, რომელსაც ორივე მხარეს, გარშემო, წრიულად გასდევს ბურთულები და ქმნის რელიეფურ ფორმას. ეს მონეტა_საკმაოდ ბევრია მოჭრილი, სავარაუდოდ ფულის ფუნქციასაც ასრულებდა.

ელისის 134-ე / 135-ე - 143-ე ოლიმპიადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 244/240 - 208 წლები, სტატერი. ვერცხლი, წონა 4.620 გრამი, **ავერსი:** გამოსახულია მფრინავი არწივი, რომელსაც კურდღელი ჰყავს დაჭერილი. **რევერსი:** ქვემოთ გამოსახულია ფრინველის ბოლო ნაწილი ზემოთ მიმართული ფრთებით, მარჯვენა და მარცხენა მხარეს წარწერაა "F- A".

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ჩატარება უპირველესად დაკავშირებულია საფრანგეთის სპორტული და საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსის, პედაგოგის, ლიტერატორის, პიერ დე ფრედი ბარონ დე კუბერტენის (01.01.1863წ.-02.09.1937წ.) სახელთან. ის ბევრს ფიქრობდა, რომ სპორტის პოპულირაზაციის მიზნით ჩატარებულიყო საერთაშორისო თამაშები, რადგან შეამჩნია საზოგადოების ინტერესი ანტიკური ოლიმპიური თამაშებისადმი და შეადგინა ოლიმპიური თამაშების აღდგენის პროექტი. 1992 წლის 25 ნოემბერს, პარიზის ცნობილ უნივერსიტეტ სორბონაში, ის გამოვიდა მოხსენებით - "ოლიმპიზმის აღორძინება". მის ასეთ მცდელობას ფუჭად არ ჩაუვლია და დაგვირგვინდა წარმატებით. 1894 წლის 23 ივნისს სორბრონის კონგრესზე მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება აღდგენილიყო ოლიმპიური თამაშები, ვინაიდან ამას თანამედროვე ცხოვრება მოითხოვდა. კონგრესზე შემუშავდა და დამტკიცდა ძირითადი წესები და დებულებები (ოლიმპიური ქარტია). მიიღეს გადაწყვეტილება ერთიანი ორგანოს შექმნის შესახებ, რასაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) ეწოდა. კუბერტენმა გენერალური მდივნის პოსტი დაიკავა, ხოლო პრეზიდენტად მისი მეგობარი დემეტრიუს ვიკელასი დაინიშნა. ასევე გადაწყდა, რომ სიმბოლურად პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები 1896 წლის ზაფხულის თვეში, ათენში, ჩატარებულიყო (1896 წლის 06 - 15 აპრილი). ბარონ დე კუბერტენი საერთაშორისო ოლიმპიური კო-

მიტეტის (სოკ) პრეზიდენტი 1896 -1916 წწ. და 1919 -1925 წწ. იყო.

I ოლიმპიადიდან XV ოლიმპიადამდე არ ყოფილა მცდელობა, რომ ოლიმპიადის ჩამტარებელ ორგანიზატორ ქვეყანას სამახსოვრო, საიუბილეო მონეტები გამოეშვა. პირველად ასეთი ოლიმპიური მონეტები 1952 წელს, XV ჰელსინკის, ფინეთის ოლიმპიადაზე მოიჭრა, შემდეგ 1956 და 1960 წლების ოლიმპიადაზე საიუბილეო ოლიმპიური მონეტები არ გამოსულა. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადიდან დაწყებული ყოველ ოლიმპიადაზე გამოდიოდა ოლიმპიადასთან დაკავშირებით სხვადასხვა თემატიკის საიუბილეო მონეტები მასპინძელი ქვეყნის მიერ.

ოლიმპიური თამაშები ტარდება, როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის სპორტის სახეობებში და უწოდებენ ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებს. მათ დაემატა ასევე პარაოლიმპიადები, მსოფლიოსა და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადებთან დაკავშირებით საიუბილეო მონეტები არამარტო ოლიმპიადის ჩამტარებელ მასპინძელ ქვეყანებს, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას, მათ შორის პატარა ქვეყნებსაც კი აქვთ მიძღვნილი და გამოშვებული.

ამდენად, საიუბილეო მონეტების გამოშვების ისტორია უაღრესად დიდი თემაა და ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა ყველა ის ოლიმპიური მონეტა, რომელიც ოლიმპიადის ჩამტარებელმა მასპინძელმა ქვეყანამ მოჭრა ანტიკურ ეპოქაში.

ბოჩა ბერაძე, ალექსანდრე ნონეშვილი

ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის კატალოგი

ქართული მონეტები

1. 2. ქართული მონეტა. თამარ მეფე 1184-1213 წ.წ. ავერსი – ცენტრში ორნამენტი, მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრული ინიციალები თრ-დთ ანუ „თამარ, დავით," დარჩენილი კუთხეები უკავია ასოებს რომელიც ნიშნავს „ქორონიკონს 420" = 1200 წელი. რევერსი – ოთხსტრიქონიანი არაბული შრიფტით ზედწერილი: დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი, ასული გიორგისა. მესიის თაყვანისმცემელი. დამღით.
3. მანგუ ყაენის სახელის შემცველი თბილური სპილენძის ფელსი. 652-654 ჰიჯრით. (1254-1257წწ) ავერსი: მორკალურ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მანგუ ყაენი/უმაღლესი/სამართლიანი". კვადრატსა და რკალს შორის 4 სეგმენტში არაბულადვე აღნიშნულია მოჭრის ადგილი -- თბილისი. რევერსი: რკალისა და კვადრატის ასეთსავე შერწმის ცენტრში სამსტრიქონიანი რელიგიური ფორმულა არაბულად: „არ არს ღმერთი გარდა ღმერთისა მხოლოისა არ ჰყავს თანაზიარი." სეგმენტებში არაბულად მოცემულია თარიღი.
4. დავით VII (ურჩი დავითი) სპილენძის მონეტა ავერსი: ორნამენტულ ჩარჩოს ცენტრში ჩასმულია დავითის სახელის ასოთა შეწიაღებული დაქარაგმება, ხოლო ბუდეებში დაქარაგმებული წარწერა „მეფეთა მეფე" და ქვემოთ 530 ქორონიკონის (1310წ.) შემცველი ნიშნები. რევერსი: ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი, რომელსაც შემოვლებული აქვს ასომთავრულად შესრულებული ქრისტიანული ლოცვა: „გვრწამს მამაი, ძეი და სული წმინდაი."
5. ქართული მონეტა. უფლისწული ბაქარი 1716-1719 წ.წ. ნომინალი ნახევარბისტი. ავერსი – ფარშევანგი და ირგვლივ ბაქარის სახელი დაქარაგმებული „ბქრ". რევერსი – სპარსული ზედწერილი „ფულუსი იჭედა თბილისს 1130/31."
6. ქართული მონეტა. ანონიმური ფელსი. ნახევარბისტი. ავერსი – ლომი შველს ბდღვნის. რევერსი – სპარსულად „ფულუსი იჭედა თბილისს 1148."
7. უცნობ მონეტაზე დამღა არაბული წარწერით ფულუსი და სავარაუდოდ სიტყვა ადლი. კახეთის სამეფო (ზაგემის ზარაფხანა?) XVIს. ბოლო.
8. თბილური უსახელო სპილენძის მონეტა ფულუსი ავერსი: ცხენის გამოსახულება მარცხნივ სტილიზებულ ჩარჩოში ზურგზე ყვავილით. რევერსი: სპარსულად: „იჭედა ფულუსი თბილისს." თარიღი არ იკითხება. იჭრებოდა 1091, 1093, 1094, 1095, 1096წწ. ჰიჯრით, რომელიც ემთხვევა 1680-1685 წლებს.
9. ქართული მონეტა. უფლისწული სვიმონი 1712-1714 წ.წ. ნომინალი ნახევარბისტი. ავერსი – ფრთოსანი ურჩხული და ირგვლივ სვიმონის სახელი დაქარაგმებული „სმნ". რევერსი – სპარსული ზედწერილი „ფულუსი იჭედა თბილისს 1124."

10. ქართული მონეტა. უფლისწული სვიმონი 1712-1714 წ.წ. ნომინალი ფული. ავერსი – ფრთოსანი ურჩხული და ირგვლივ სვიმონის სახელი დაქარაგმებული „სმნ". რევერსი – სპარსული ზედწერილი „იჭედა თბილისს 1124."
11. ქართული მონეტა. დემეტრე II „თავდადებული" 1271-89 წ.წ. ავერსი – ორნამენტული ჩარჩო. ცენტრში დაქარაგმებული ასომთავრული „დ" და „ე" ანუ დემეტრე. გარშემო წარწერა „მეფე" ან „მეფე მეფეთა" რევერსი – ცენტრში ორნამენტი (ნიშანი), რკალის გარშემო ქართული ზედწერილი „ გურწამს მამაი, ძე და სული წმინდაი"
12. ქართული მონეტა. უფლისწული ბაქარი 1716-1719 წ.წ. ნომინალი ნახევარბისტი. ავერსი – ფარშევანგი და ირგვლივ ბაქარის სახელი დაქარაგმებული „ბქრ". რევერსი – სპარსული ზედწერილი „ფულუსი იჭედა თბილისს 1130/31."
13. ქართული მონეტა. უფლისწული ბაქარი 1716-1719 წ.წ. ნომინალი ფული. ავერსი – ფარშევანგი და ირგვლივ ბაქარის სახელი დაქარაგმებული „ბქრ". რევერსი – სპარსული ზედწერილი „ფულუსი იჭედა თბილისს 1130/31."
14. უწესოდ მოჭრილი გიორგი III სპილენძის მონეტა. ავერსზე იკითხება ყვავილოვანი ორნამენტი.
15. უწესოდ მოჭრილი გიორგი III სპილენძის მონეტა იშვიათი ტიპი. იკითხება ასო „მ" არაბულად.
16. სპარსული ანონიმური ქალაქური სპილენძის მონეტა მოჭრილი ქ. თავრიზში. ავერსზე ხმლის (ზულფიკარი) გამოსახულებით. რევერსი: არაბულად „იჭედა ფულუსი". XVIIIს-ის ბოლო.
17. ქართული მონეტა. გიორგი IV ლაშა 1213-1223წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში წერია: „გიორგი, ძე თამარის" ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა 430." ანუ 1210 წ. რევერსი – არაბული ზედწერილი „ მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა. მესიის მახვილი" გარშემო აქვს სპარსული ზედწერილი: „სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვეცხლი წელსა 430." მეფე რუსუდანის დიდი დამღით.
18-28. ქართული მონეტა. რუსუდან მეფე 1223-1245 წ.წ. ავერსი – ორნამენტში რუსუდანის დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა რსნ. გარშემო ემისიის თარიღი ქორონიკონით 447 – 1227 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით. რევერსი – ოთხსტრიქონიანი არაბული შრიფტით ზედწერილი: დედოფალი მეფეთა და დედოფალთა. მშვენება ქვეყნისა, სამეფოისა და სარწმუნოებისა. რუსუდან, ასული თამარისა. მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.
29. ქართული მონეტა. გიორგი III 1156-84 წ.წ. ავერსი – ვარდულის ცენტრში ასომთავრული ინიციალი „გ" ანუ გიორგი, ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: „მეფეთა მეფე, გიორგი მესიის მახვილი". რევერსი – ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: ხალიფის სახელი ალ მუკტაფი ლიამრ ალლაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი".

30. ქართული მონეტა. თამარ მეფე 1184-1213წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში თამარ მეფის ვენზელი, ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა – .” ემისიის წლებია 407 ან 430 ქორონიკონით. რევერსი – არაბული ზედწერილი „ დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა. მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.”

31. ქართული მონეტა. გიორგი IV ლაშა 1213-1223წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენ-ტოვან ჩარჩოს ცენტრში წერია: „გიორგი, ძე თამარის” ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა 430.” ანუ 1210 წ. რევერსი – არაბული ზედწერილი „ მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა. მესიის მახვილი” გარშემო აქვს სპარსული ზედწერილი: „სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვეცხლი წელსა 430.” უდამღო.

32. ქართული მონეტა. გიორგი III 1156-84 წ.წ. II ტიპი ავერსი – ვარდულის ცენტრში ასომთავრული ინიციალი „გ” ანუ გიორგი, ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: „მეფეთა მეფე, გიორგი მესიის მახვილი”. რევერსი – ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: ხალიფის სახელი ალ მუკტაფი ლიამრ ალლაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი”.

33. ქართული მონეტა. გიორგი III 1156-84 წ.წ. I ტიპი ავერსი – ვარდულის ცენტრში ასომთავრული ინიციალი „გ” ანუ გიორგი, ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: „მეფეთა მეფე, გიორგი მესიის მახვილი”. რევერსი – ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: ხალიფის სახელი ალ მუკტაფი ლიამრ ალლაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი”.

34-35. ქართული მონეტა. გიორგი III 1156-84 წ.წ. II ტიპი ავერსი – ვარდულის ცენტრში ასომთავრული ინიციალი „გ” ანუ გიორგი, ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: „მეფეთა მეფე, გიორგი მესიის მახვილი”. რევერსი – ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: ხალიფის სახელი ალ მუკტაფი ლიამრ ალლაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი”.

36. ქართული მონეტა. გიორგი IV ლაშა 1213-1223წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენ-ტოვან ჩარჩოს ცენტრში წერია: „გიორგი, ძე თამარის” ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა 430.” ანუ 1210 წ. რევერსი – არაბული ზედწერილი „ მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა. მესიის მახვილი” გარშემო აქვს სპარსული ზედწერილი: „სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვეცხლი წელსა 430.” მეფე რუსუდანის პატარა დამღით.

37. ქართული მონეტა. თამარ მეფე 1184-1213წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში თამარ მეფის ვენზელი, ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონი-კონსა – .” ემისიის წლებია 407 ან 430 ქორონიკონით. რევერსი – არაბული ზედწერილი „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა. მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.” დამღა „დ“.

38. ქართული მონეტა. ე.წ. „თამარ/გიორგი.” ავერსი – ვარდულის ცენტრში ასომთავრულად დაქარაგმებული სახელი „გი” ანუ გიორგი, ვარდულის გარე ბუდეებში ასომთავრული ზედწერილი: „ადიდე ღმერთო მეფეთა მეფე”. რევერსი – რვაბუდიან ვარდულის ცენტრში ასომთავრულად დაქარაგმებული „თმ” ანუ თამარი. ვარდულის ბუდეებში ასომთავრული ზედწერილი: „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი”.

39-40. ქართული მონეტა. თამარ მეფე 1184-1213წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში თამარ მეფის ვენზელი, ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა – .” ემისიის წლებია 407 ან 430 ქორონიკონით. რევერსი – არაბული ზედწერილი „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა. მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.” დამღა „დ“.

41. ქართული მონეტა. გიორგი IV ლაშა 1213-1223წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში წერია: „გიორგი, ძე თამარის” ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა 430.” ანუ 1210 წ. რევერსი – არაბული ზედწერილი „ მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა. მესიის მახვილი” გარშემო აქვს სპარსული ზედწერილი: „სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვეცხლი წელსა 430.” უდამღო.

42. ქართული მონეტა. თამარ მეფე 1184-1213წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში თამარ მეფის ვენზელი, ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა – .” ემისიის წლებია 407 ან 430 ქორონიკონით. რევერსი – არაბული ზედწერილი „ დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა. მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.” დამღა „დ“.

43. ქართული მონეტა. თამარ მეფე 1184-1213წ.წ. ავერსი – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში თამარ მეფის ვენზელი, ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილია. „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა – .” ემისიის წლებია 407 ან 430 ქორონიკონით. რევერსი – არაბული ზედწერილი „ დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა. მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.”

N	პარამეტრები			
	M	D		H
1	7.63	2.75	2.78	0.2
2	3.89	2.45	2.34	0.15
3	3.87	2.43	2.55	0.12
4	1.31	1.83	2.0	0.09
5	7.62	2.42	2.39	0.21
6	8.65	2.22	2.29	0.30
7	14.54	2.515	2.51	0.32
8	8.78	2.35	2.32	0.225
9	8.82	2.41	2.52	0.222
10	4.49	2.1	2.15	0.15
11	3.03	2.6	2.49	0.11
12	8.41	2.21	2.25	0.3
13	4.14	1.91	1.89	0.19
14	8.62	2.54	1.53	0.36
15	12.94	2.51	2.21	0.45
16	8.19	2.25	1.19	0.49
17	18.58	3.1	2.5	0.45
18	6.92	2.52	2.50	0.19
19	8.44	2.50	2.4	0.21
20	3.15	2.9	2.12	0.12
21	3.91	2.51	2.4	0.11
22	4.65	2.519	2.521	0.12
23	4.98	2.2	2.21	0.9
24	5.18	2.51	2.511	0.13
25	3.90	2.19	2.21	0.16
26	5.51	2.225	2.1	0.21
27	3.51	2.49	2.22	0.19
28	4.94	2.511	2.49	0.15
29	2.34	1.165	1.16	0.15
30	1.89	1.788	1.1	0.25
31	2.46	1.52	1.25	0.24
32	1.38	1.95	1.11	0.14
33	2.98	1.52	1.11	0.32
34	1.98	2.4	1.39	0.2
35	1.68	1.9	1.81	0.1
36	5.21	1.519	1.39	0.39
37	2.03	1.32	1.2	0.21
38	3.60	1.45	1.39	0.35
39	1.47	1.2	1.19	0.19
40	5.01	1.47	1.51	0.31
41	7.50	2.0	1.56	0.41
42	4.67	1.98	1.8	0.21
43	3.59	1.51	1.15	0.22

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

10.

11.

12.

13.

14.

15.

16.

17.

18.

19.

20.

21.

22.

23.

24.

25.

26.

27.

28.

29.

30.

31.

32.

33.

34.

35.

36.

37.

38.

39.

40.

41.

42.

43.

ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები

N1

აღნიშნულ მონეტაზე, ხელახლა ემისიაში გაშვების მიზნით, დარტყმულია ზაგემის ზარაფხანისათვის დამახასიათებელი დამღა.

დამღის შინაარსი შემდეგნაირია: ვარდულში მოთავსებულია წარწერა عدل فلوس (ფულუსი სამართლიანი)

XVI საუკუნე

N2

აღნიშნულ მონეტაზე, ხელახლა ემისიაში გაშვების მიზნით, დარტყმულია ზაგემის ზარაფხანისათვის დამახასიათებელი დამღა.

დამღის შინაარსი შემდეგნაირია: ოთხკუთხედ ჩარჩოში წარწერა: زكم فلوس (ფულუსი ზაგემი)

XVI საუკუნე

N3

Av.ცენტრალური წარწერა [مكز] فلوس (ფულუსი ზაგემი) Rv. არ განირჩევა შენახულობის გამო

XVI საუკუნე

N4

XVI საუკუნე

N5

Av. მონეტაზე გადარტყმულია კვადრატულ ჩარჩოში ჩასმული გადაკვეთილი ორი პარალელური ხაზი

Rv. გამოსახულება ან წარწერა არ განირჩევა

XVII საუკუნე

N6

Av. ცენტრალური წარწერა مكز سول ف (ფულუსი იჭედა ზაგემს)

Rv. ჩარჩო ორნამენტული წნულებით

XVI საუკუნე

N7

Av. ٩٩٢ مكز ضرب لوس ف (ფულუსი იჭედა ზაგემს 992)

Rv. ორნამენტული ჩარჩოს წნული

992 წელი ჰიჯრით (=1584/85 წელი)

N8

XVII საუკუნე

N9

XVII საუკუნე

N10

მონეტაზე რეემისიის მიზნით დარტყმულია დამღა. დამღის შინაარსი შემდეგნაირია : مكز لدع (ზაგემი სამართლიანი)

XVI-XVII საუკუნეები

N11

XVI საუკუნე

N12

Av. წარწერა არ განირჩევა სრულყოფილად. წარწერის შინაარსი სავარაუდოდ შემდეგნაირი უნდა იყოს :[مكز سول ف] (ფულუსი იჭედა ზაგემს)

Rv. სავარაუდოდ ლომის გამოსახულება მარჯვნივ

XVI საუკუნე

N13

Av. ლომის გამოსახულება მარჯვნივ

Rv.[مكز]لوس ف (ფულუსი იჭედა საგემს)

XVI საუკუნე

N14

Av.[مكز برض] لوس ف (ფულუსი იჭედა ზაგემს)

Rv. გაურკვეველი გამოსახულება

XVII საუკუნე

N15

XVII საუკუნე

N16

Av. ორნამენტული წნული

Rv.[مكز سول ف] (ფულუსი იჭედა ზაგემს)

XVII საუკუნე

N17

Av. ორნამენტული წნული

Rv. ორი გადაჯვარედინებული ხაზი. წარწერები არ განირჩევა

XVII საუკუნე

N18

მონეტის ხელახალი ემისიის მიზნით დარტყმულია დამღა. დამღის შენაარსი შემდეგნაირია : [مكز] سول ف (ფულუსი იჭედა ზაგემს)

XVI საუკუნე

N19

Av.[مكز برب ضرب سوس ف] (ფულუსი იჭედა ზაგემს)
Rv. გაურკვეველი მხეცის გამოსახულება მარჯვნივ
XVI საუკუნ

N20

XVI საუკუნე

ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები

N	ზომა				შემადგენლობა %									
	M	D		H	Si	P	S	Fe	Ni	Cu	Zn	As	Zr	Ag
1	7.11	2.7	2.4	0.35	1.223	0.652	0.296	0.061	0.064	96.796	0.036	0.098	0.024	0.053
2	6.30	2.65	2.4	0.26	5.185	1.149	0.097	0.102	0.064	91.815	0.037	0.135	0.038	0.042
3	3.77	2.3	1.9	0.2	7.018	8.387	0.087	0.952	0.063	80.060		0.105	0.069	0.044
4	2.23	1.9	1.8	0.12	2.636	1.297	0.085	0.204	0.063	94.601	0.035	0.115	0.031	0.028
5	2.81	1.68	1.4	0.25	2.643	2.803	0.872	0.100	0.063	92.689	0.057	0.331	0.009	
6	4.05	1.85	1.7	0.25	2.564	0.747	0.206	0.077	0.063	95.365		0.109	0.022	0.043
7	3.80	1.56	1.6	0.25	2.829	0.665	0.165	0.143	0.063	95.207	0.034	0.095	0.018	0.035
8	1.78	1.5	1.4	0.2	8.011	2.302	0.068	0.210	0.085	87.092	0.063	0.141	0.042	0.030
9	1.75	1.6	1.4	0.18	7.595	3.342	0.048	0.407	0.063	85.977	0.037	0.093	0.036	
10	1.86	1.6	1.6	0.15	3.458	1.840	0.107	0.158	0.062	93.254	0.072	0.110	0.018	
11	2.06	1.65	1.4	0.2	11.001	1.809	0.065	0.057	0.063	84.497	0.048	0.212	0.054	0.029
12	1.01	1.40	1.7	0.12	12.829	0.822	0.073	0.534	0.107	82.495	0.023	0.221	0.022	
13	0.75	1.55	1.4	0.1	0.864	0.246	0.188	0.044	0.063	98.264		0.143		
14	0.72	1.51	1.4	0.1	10.930	1.830	0.100	0.122	0.063	80.863	0.050	0.637		0.172
15	0.85	1.45	1.4	0.11	6.833	4.044	0.101	0.135	0.063	88.198		0.168		
16	2.04	1.42	1.3	0.2	3.935	5.247	0.083	0.463	0.064	89.028	0.023	0.124	0.009	
17	1.11	1.35	1.2	0.12	5.655	1.045	0.101	0.341	0.078	91.346	0.032	0.173	0.028	0.047
18	1.99	1.53	1.3	0.21	9.842	1.631	0.044	0.134	0.155	85.311	0.034	0.138	0.044	0.031
19	0.89	1.49	1.3	0.11	3.874	1.093	0.148	0.111	0.064	94.251	0.009	0.140		
20	0.90	1.35	1.3	0.1	2.023	1.222	0.238	0.125	0.063	92.887	0.078	0.176	0.066	0.044

N	Sn	Pb	Ti	Mn	Cr	Sb	Al	Co	Bi
1	0.108	0.567							
2	0.192	0.888	0.013		0.009	0.138			
3	0.123	0.584	0.109	0.030			2.367		
4	0.117	0.716	0.024		0.007				
5	0.049	0.313							
6	0.127	0.603	0.012		0.017				
7	0.113	0.556	0.023						
8	0.454	1.005				0.311			
9	0.324	0.654	0.016			0.366	1.043		
10	0.208	0.505			0.009	0.111		0.006	
11	0.217	1.470				0.165	0.307		
12	0.029	0.199	0.067	0.018	0.018		2.496	0.046	
13		0.122			0.018				
14	0.319	4.390			0.017	0.447			0.057
15		0.180	0.010		0.009			0.014	
16	0.041	0.171	0.009				0.788	0.015	
17	0.262	0.755							
18	0.519	1.194			0.007	0.685			0.016
19		0.138			0.019			0.020	
20	1.636	1.368			0.008				

ანტიკური მონეტები

1. რომის იმპერია. იმპერატორი ანტონიუს პიუსი. 138-161 წ.წ. ავერსი - იმპერატორის მარჯვენა პროფილი ლათინური ზედწერილით. რევერსი - შროშანების რკალში ლათინური შრიფტით ,,SC". სენატის მონეტა.
2. პონტოს სამეფო. მითრიდატე VI ევპატორი. 120-63 წ.წ. ქრისტეს შობამდე. ავერსი - მუზარადიანი მეომრის მარჯვენა პროფილი. რევერსი - ცხენის გამოსახულება. ბერძნული ასოებით „ამისო". ქვევით მონოგრამა ემისიის ადგილი ქ. ამისო.
3. პონტოს სამეფო. მითრიდატე VI ევპატორი. 120-63 წ.წ. ქრისტეს შობამდე. ავერსი - მედუზა გორგონას გამოსახულება . რევერსი - ქალღმერთი ნიკე. ბერძნული ასოებით „ამისო". ქვევით მონოგრამა ემისიის ადგილი ქ. ამისო.
4. პონტოს სამეფო. მითრიდატე VI ევპატორი. 120-63 წ.წ. ქრისტეს შობამდე. ავერსი - მუზარადიანი მეომრის მარჯვენა პროფილი. რევერსი - კვერთხი ქვევით ყვავილი. ბერძნული ასოებით „ამისო". ქვევით მონოგრამა ემისიის ადგილი ქ. ამისო.
5. რომის იმპერია. ავერსი - იმპრეტორი ტაციტუსის მარჯვენა პროფილი გარშემო ტრადიციული დევიზით. 56-117 წ.წ. რევერსი - მეომარი მთელი ტანით მარცხნივ მობრუნებული, მარჯვენა ხელში ზეთისხილის რტო, მარჯვენში შუბი.
6. აელია ფლაცილა. თეოდოსიუს I ცოლი გარდაიცვალა 386 წელს. ავერსზე - მისი მარჯვენა პროფილი ტრადიციული ზედწერილით. რევერსი - მეომრის გამოსახულება, მარჯვნივ პატარა ჯვარი.
7. პონტოს სამეფო. მითრიდატე VI ევპატორი. 120-63 წ.წ. ქრისტეს შობამდე. ავერსი - ქალღმერთის მარჯვენა პროფილი. რევერსი - რიტუალური ქუდი. ბერძნული ასოებით „ამისო". ემისიის ადგილი ქ. ამისო.
8. რომის იმპერია. ავერსი - იმპრეტორი კარინუსი მარჯვენა პროფილი გარშემო ტრადიციული დევიზით. 283-285 წ.წ. რევერსი - ქალღმერთი ადგამს გვირგვინს მეომარს.
9. რომის იმპერია. ავერსი - იმპრეტორი ლიციინიუსი მარჯვენა პროფილი გარშემო ტრადიციული დევიზით. 308-324 წ.წ. რევერსი - შუბზე დაყრდნობილ მარსი ხელში უჭირავს ნიკეს ქანდაკება.
10. .სირია. სელევკიდების დინასტია. მეფე ანტიოხოს IV ეპიფანესი. 175-164 ჩვწ.წ. აღ--მდე მოჭრის წლები 169-168 ავერსი - ზევსის მარჯვენა პროფილი წერტილოვან რკალში. რევერსი - მარჯვნივ შებრუნებული არწივის გამოსახულება და ბერძნული წარწერა **ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΝΤΙΟΧΟΥ ΘΕΟΥ ΕΠΙΦΑΝΟΥΣ.**
11. .რომის იმპერია. იმპერატორი კონსტანტინუსი. 293-36 წ.წ. ავერსი - იმპერატორის მარცხენა პროფილი გვირგვინით, ლათინური ზედწერილით შემოვლებული. რევერსი - წერტილოვან რკალში,- შუბზე დაყრდნობილ მარსი ხელში უჭირავს ნიკეს ქანდაკება შესაბამისი ლათინური ზედწერილით.
12. ალექსანდრე მაკედონელის მონეტა. ავერსი - მაკედონელის მარჯვენა პროფილი ლომიანი მუზარადით. რევერსი - ბერძნული წარწერა „ალექსანდრო" ქვევით საბრძოლო კვერთხი.
13. რომის იმპერია. ავერსი - იმპრეტორი კონსტანტინე I დიდი მარჯვენა პროფილი გარშემო ტრადიციული დევიზით. 306-337 წ.წ. რევერსი - ციხესიმაგრის გოდოლი კარიბჭით.

14. .რომის იმპერია. იმპერატორი თეოდოსიუსი I. 379-395 წ.წ. ავერსი - იმპერატორის მარჯვენა პროფილი ლათინური ზედწერილით. რევერსი - ფეხზე მდგომი ღვთაება შესაბამისი ლათინური ზედწერილით
15. რომის იმპერია. ავერსი - იმპრეტორი ლიცინიუსი მარჯვენა პროფილი გარშემო ტრადიციული დევიზით. 308-324 წ.წ. რევერსი - შუბზე დაყრდნობილ მარსი ხელში უჭირავს ნიკეს ქანდაკება, ფეხთან გედი მარჯვნივ შერუნებული.
16. ანტიოქე. II საუკუნის მეორე ნახევარი. ავერსი - ანტიოქეს მარჯვენა პროფილი თავსამკაულით, ყელზე დამღით (კონტრამარკა), დამღაზე გამოსახულია კაცის მარჯვენა პროფილი. რევერსი - ბერძნული წარწერა.
17. ეფესო. 394-295 წელი ჩვწ. წ. აღ-მდე. ავრსზე - ფუტკრის გამოსახულება. რევერსი - მონავარდე ირემი.
18. პონტოს სამეფო. მითრიდატე VI ევპატორი. 120-63 წ.წ. ქრისტეს შობამდე. ავერსი - ქალრმერთი ტიხეს მარჯვენა პროფილი თავსამკაულით. რევერსი - თმებგაშლილი მარჯვნივ მიმავალი ქალღმერთის გამოსახულება. ემისიის ადგილი ქ. არადი.
19. რომის იმპერია. იმპერატორი კონსტანტინე II. 337-340 წ.წ. ავერსი - იმპერატორის მარჯვენა პროფილი გვირგვინით, ლათინური ზედწერილით შემოვლებული. რევერსი - წერტილოვან რკალში ორი მეომარი შუაში ორი ლეგიონერის შტანდარტით, შესაბამისი ლათინური ზედწერილით. კონსტანტინოპოლის ზარაფხანა.
20. კონსტანტინოპოლის საიუბილეო მონეტა. ავერსზე - მუზარადიანი მეომრის მარცხენა პროფილი, გარშემო ლათინური წარწერით კონსტანტინოპოლი წერტილოვან რკალში. რევერსი - ფარზე დაყრდნობილი ფრთიანი ანგელოზი, ფეხთან მაჯვნივ მობრუნებული გედი. ლათინური წარწერა „S N H P“.

N	პარამეტრები			
	M	D		H
1	13,18	2,519	2,5	0,38
2	11,55	3,35	2,2	0,41
3	7,57	2,50	2,31	0,25
4	9,18	1,99	2,0	0,41
5	3,99	2,35	2,19	0,17
6	4,66	2,19	2,2	0,19
7	7,74	2,1	2,0	0,48
8	3,11	2,2	2,17	0,12
9	4,11	2,0	2,09	0,2
10	32,96	3,31	3,31	0,52
11	5,25	1,9	1,82	0,19
12	6,08	1,87	1,82	0,39
13	2,54	1,9	1,81	0,13
14	5,74	2,08	2,12	0,22
15	3,35	2,20	1,95	0,5
16	4,08	1,72	1,7	0,3
17	2,20	1,39	1,32	0,25
18	4,06	1,48	1,5	0,39
19	2,16	1,72	1,89	0,12
20	2,04	1,75	1,8	0,12

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

10.

11.

12.

13.

14.

15.

16.

17.

18.

19.

20.

ვერცხლის მონეტები

1. აქემენიდური სიკლი დარიოსი IV საუკუნე ჩვწ. აღ-მდე ადრეული ტიპი.
2. რომის იმპერატორი. სეპტიმუს სევერუსი 193-211 წელი. ავერსი - სეპტიმუსის მარჯვენა პროფილი დიადემით. რევერსი - კომბალზე დაყრდნობი ჰერაკლეს გამოსახულება მშვილდ-ისრით ხელში.
3. ალექსანდრე მაკედონელის მონეტა. ავერსი - მაკედონელის მარჯვენა პროფილი ლომიანი მუზარადით. რევერსი - ტახტზე მჯდარი ზევსი ფრინველით ხელში. ბერძნული წარწერა „ალექსანდრ“. ნომინალი დრაქმა.
4. გოტარეზეს პართელის დრაქმა. 40/41-51წ. ავერსი - მეფის ბიუსტი, მარცხნივ; გრძელი წვერი პარალელური შვეული ხაზებით არის წარმოდგენილი, რომლის ბოლო მონეტის კიდეზე თითქოს შეკეცილია, თუ სიქიდან მონეტის არეზე ასეა მოხვედრილი; გრძელი თმა ოდნავ ტალღოვანი ხაზებით, კისრამდეა დაფენილი, საყურით, დიადემით, რომელიც თავის უკან არის გამონასკული და სამი ბოლო დაბლა ეშვება, ყელი დაფარულია სამწყება ყელსაბამით, მარცხენა მხართან ოდნავ მოჩანს სამოსის საყელოზე მოყოლებული სამკაული, მსხვილი წერტილების რკალი, თავის ზევით გადაუყვება და მონეტის არეს სანახევროდ ფარავს -- ჩანს სიქაზეც ასე სანახევროდ არის ამოკვეთილი. რევერსი - არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ, გაწვდილ მარჯვენა ხელში მშვილდ-ისარი აქვს მომარჯვებული, რომელიც მარჯვნივ განლაგებულ ზედწერილს ორ ნაწილად ყოფს, არშაკის ოთხივე მხარეს არის ბერძნული წარწერა: „ მეფეთა მეფისა არშაკისა, კეთილმოქმედისა სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა.
5. არტაბან II დრაქმა. ავერსი - მეფის ბიუსტი მარცხნივ; მოკლე პარალელურ ხაზებად დაშვებული წვერულვაშით; დიადემით, რომელიც თავის უკან არის გამონასკული და ორი ბოლო დაბლა ეშვება; ნასკვთან თვალია; ოთხწყება ყელსაბამი სფეროს მსგავსი სამაგრიანი ორნამენტით, სამოსელის საყელო და მხრები მოოჭვილია თვლებით, წერტილოვანი რკალის პატარა ნაწილია მონეტის არეზე მოხვედრილი. რევერსი - არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული, მშვილდი მარჯვნივ განლაგებულ ზედწერილს ორად ყოფს შემოწერილია ოთხივე მხრიდან ბერძნულად: მეფის დიდისა არშაკისა, ღვთისმოსავისა ან ღვთისმოყვარულისა, კეთილმოქმედისა.
6. რომის იმპერია. კეისარ ოქტავიანე ავგუსტი. 27 ქრისტეს შობამდე - 14 წ. ავერსი – კეისრის მარჯვენა პროფილი ლათინური ზედწერილით. რევერსი – კეისრის შვილობილები გაიოზი და ლუცი ფარებით და იარაღით, შესაბამისი ლათინური ზედწერილით.
7. სასანური დრამა (დრაქმა). ხოსრო II. 590-628 წ.წ. ავერსი – მეფის პროფილი. რევერსი – ემისიის ადგილი და წელი. ორი ქურუმი იცავს “წმინდა” ცეცხლს. მართველობის შუა პერიოდი. წონა დაყვანილია არაბული დირხემის სტანდარტზე.

8. სასანური დრამა (დრაქმა). ხოსრო II. 590-628 წ.წ. ავერსი – მეფის პროფილი. რევერსი – ემისიის ადგილი და წელი. ორი ქურუმი იცავს “წმინდა” ცეცხლს. მართველობის ადრეული პერიოდი.
9. ბერძნული 30 დრაქმიანი მონეტა 1964წელი. ავერსი - მეფე კონსტანტინე II და მისი მეღლის პროფილი მარცხნოვ. რევერსი - ორთავიანი არწივი თავზე გვირგვინით.
10. გერმანული რეიხის 5 მარკიანი მონეტა. ავერსზე ჰინდერბურგის მარჯვენა პროფილით რევერსზე ფრთებგაშლილი არწივი. 1936 წელი
11. ბერძნული 30 დრაქმიანი მონეტა 1963წელი. ავერსი - ბერძნული დროშის ფონზე ხუთი მეფის გამოსახულება თავზე გვირგვინით. რევერსი - საბერძნეთის რუკა, მარცხენა ქვედა კუთხეში აფრიანი გემი.
12. ალფოს XII. 5 პესეტიანი მონეტა 1884 წელს მოჭრილი. ავერსი - აფონსის მარცხენა პროფილი. რევერსზე - ესპანეთის გერბი.
13. ფრანგული 100 ფრანკიანი მონეტა 1984 წლის. ავერსი - საფრანგეთის რესპუბლიკის პანთეონის შენობა. რევერსი - ოქტაგონში სქემატურად წამოდგენილია ხე.
14. გერმანული რეიხის 5 მარკიანი მონეტა. ავერსზე ეკლესიის გამოსახულება. რევერსზე ფრთებგაშლილი არწივი. 1935 წელი
15. რუმის სელჯუკები. ავერსი - ქაიქუბადუ, ქალაქი სივასი. რევერსზე - სულთანი უზენაისი.
16. ილხანური (მონღოლური) დირჰემი. ილხანი აბუ საიდი. 716-736 წ.წ. ჰიჯრით.. ავერსი – არაბული შრიფტით: ილხანი აბუ საიდის სახელი ტიტულატურით. სეგმენტებში ემისიის ადგილი და წელი 719 წ. ჰიჯრით. რევერსი – ორნამენტში ისლამური (შიიტური) რწმენის ტრადიციული ფორმულა და 4 იმამის სახელი.
17. საბჭოთა კავშირის 1925 წლის 50 კაპიკიანი. ავერსი - მჭედელი ურტყამს გრდემლს უროს. რევერსი - საბჭოთა კავშირის გერბი, წრეზე ლოზუნგი.
18. ესპანური 2 პესეტიანი 1870 წელს მოჭრილი. ავერსზე - მჯდომარე გვირგვინოსანი ქალი ხელში ზეთისხილის რტოთი. რევერსზე- ესპანეთის გერბი.
19. ბელგიური 20 ფრანკიანი 1934 წელს მოჭრილი. ავერსი მეფე ალბერტის მარცხენა პროფილი. რევერსი - ბელგიის გერბი.
20. გერმანული რეიხის 5 მარკიანი მონეტა. ავერსზე ჰინდერბურგის მარჯვენა პროფილით რევერსზე ფრთებგაშლილი არწივი. 1935 წელი.
21. ილხანური (მონღოლური) დირჰემი. ილხანი ანუშირვანი. 740-750 წ.წ. ჰიჯრით.. ავერსი – არაბული შრიფტით: ილხანი ანუშირვანი სახელი ტიტულატურით. რევერსი – ორნამენტში ისლამური (შიიტური) რწმენის ტრადიციული ფორმულა და 4 იმამის სახელი.
22. საბჭოთა კავშირის 1924 წლის 50 კაპიკიანი. ავერსი - მჭედელი ურტყამს გრდემლს უროს. რევერსი - საბჭოთა კავშირის გერბი, წრეზე ლოზუნგი.

23. რუსეთის ფედერაციის 50 კაპიკიანი 1922 წელს მოჭრილი. ავერსი - გარე წერტილოვან რკალში ფოთლები, ცეტრში ვარსკვლავი, რომლის ცენტრში წერია ციფრი 50, ქვემოთ მოჭრის თარიღი. რევერსი - ლოზუნგი, რუსეთის ფედერაციის გერბი.
24. ქართული თეთრი. ნომინალი ორი აბაზი. ავერსი – საქალაქო კბილანა, გვირგვინის ქვეშ ქართული მხედრული წარწერა „ტფილისი". სულ ქვემოთ: პალმის და ზეთისხილის ორი გადაჯვარედინებული შტო.

    რევერსი – პირველ სტრიქონზე ნომინალის აღმნიშვნელი ქართული ასო „უ", შემდეგ ორ სტრიქონად: „ქართული თეთრი". მეოთხე სტრიქონზე ევროპული თარიღი – 1830 წელი, რომელსაც ქართული რიცხვითი ნიშნებით აღნიშნავდნენ. -- „ჩყლ". თარიღის ქვემოთ მონეტის მომჭრელის ინიციალები.
25. ქართული თეთრი. ნომინალი ორი აბაზი. ავერსი – საქალაქო კბილანა, გვირგვინის ქვეშ ქართული მხედრული წარწერა „ტფილისი". სულ ქვემოთ: პალმის და ზეთისხილის ორი გადაჯვარედინებული შტო. რევერსი – პირველ სტრიქონზე ნომინალის აღმნიშვნელი ქართული ასო „უ", შემდეგ ორ სტრიქონად: „ქართული თეთრი". მეოთხე სტრიქონზე ევროპული თარიღი – 1809 წელი, რომელსაც ქართული რიცხვითი ნიშნებით აღნიშნავდნენ. – - „ჩყთ". თარიღის ქვემოთ მონეტის მომჭრელის ინიციალები.
26. რომის იმპერია. ბილონი. ეგვიპტე. ალექსანდრია. კარაკალა 186-217. ავერსი - იმპერატორის მარჯვენა პროფილი. რევერსი - ფრთებგაშლილი არწივის გამოსახულება.

N	პარამეტრები			
	M	D		H
1	5.40	1.522	1.19	0.44
2	3.61	1.172	1.61	0.21
3	3.74	1.71	1.62	0.3
4	3.44	2.1	1.81	0.19
5	3.85	1.95	1.9	0.21
6	3.71	1.91	1.82	0.2
7	2.23	2.5	2.5	0.9
8	3.05	2.9	2.82	0.9
9	12.00	30	30	0.21
10	13.88	29		0.25
11	18.00	34		0.21
12	25.00	37		0.25
13	8.45	31		0.21
14	13.88	23		0.25
15	2.90	2.35	2.30	0.1
16	3.63	2.51	2.25	0.11
17	10	26.67		0.2
18	9.87	27		0.19
19	11	28		0.2
20	13.88	29		0.25
21	1.64	2	1.515	0.1
22	10	26.67		0.2
23	10	26.67		0.2
24	5.83	23.1	23	0.15
25	5.65	24.1	24.1	0.14
26	12.66	26	25.1	0.31

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

10.

11.

12.

13.

14.

15.

16.

17.

18.

19.

20.

21.

22.

23.

24.

25.

26.

თემურ ბიბილური, ივანე ბიბილური

ახალმშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა დიდი მცხეთის არაგვისკარის ადრეშუასაუკუნეების ცენტრალური კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიაზე - 2018

დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობისათვის მძიმე ტექნიკით ქვაბულის ამოღებისას, დღევანდელი მიწის ზედაპირიდან 1,2-2,4 მ. სიღრმეზე დავაფიქსირეთ სხვადასხვა სახისა და დროის არქეოლოგიური ობიექტები (ძვ. წ. I ს. კრამიტსამარხის ნაშთი, ვერტიკალურად ჩადგმული პირგანიერი ქვევრი, ალიზისა და ნაცრის საკმაოდ სქელი ფენები, ორივე სახის კრამიტის დიდი ოდენობით ფრაგმენტები, თიხის ჭურჭელი და სხვ.).

აღნიშნულმა ვითარებამ გვაიძულა, დროებით შეგვეჩერებინა ქვაბულის ამოღებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები და განგვეხორციელებინა აღნიშნული ფართობის სრულფასოვანი არქეოლოგიური კვლევა[1].

მისამართი. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით. ქ. მცხეთა. კარიბჭის ჩიხი N 1. - მცხეთის მუნიციპალიტეტი; მცხეთა-მთიანეთის მხარე.

სამუშაოს თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა - ა) მეთვალყურეობა 2018 წლის 25 ივნისი-5 ივლისი; ბ) მოსამზადებელი სამუშაოები - შესასწავლი ფართობის ტექნიკით მოჭრილი მიწისფენებისაგან განთავისუფლება და ამ ფენების შესწავლა - 2018 წ. 6-8 ივლისი; გ) საველე კვლევა (უშუალოდ გათხრები) – 2018 წ. 9 ივლისი -31 აგვისტო;

---

[1] სამუშაოები განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული **სანებართვო მოწმობის (N ნ 17/54)** საფუძველზე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და სამშენებლო კომპანია „ჯავა“-ს დაფინანსებით; ტრანსპორტით უზრუნველყოფა განახორციელა თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორატმა და ადმინისტრაციამ.

საველე სამუშაოების დაწყებამდე, მისი მსვლელობისას და დასკვნით ეტაპზე განხორციელდა საკვლევი ფართობის დაკვალვა, არქეოლოგიური ბადის შექმნა (არქიტექტორები გიორგი კოტეტიშვილი, ლაშა ტრაპაიძე), გრაფიკული (ლაშა ტრაპაიძე) და ფოტო (თემურ ბიბილური, ივანე ბიბილური, ლაშა ტრაპაიძე, ქრისტინე კასრაძე) ფიქსაცია.

ექსპედიციის შემადგენლობა: თემურ ბიბილური - ექსპ. ხელმძღვანელი; ივანე ბიბილური, ბესარიონ გარსევანიშვილი - არქეოლოგები; გიორგი კოტეტიშვილი, ლაშა ტრაპაიძე - არქიტექტორები; გიორგი გარსევანიშვილი, გიორგი მესხი, ნოდარ პატატაშვილი, გოჩა სოტიშვილი, ივანე წიკლაური - მუშა-პრეპარატორები; მიქაელ გურგენიძე, მარიამ ზარიძე, ქრისტინე კასრაძე, ნატალი ნიქაცაძე, ხატია ქობულაშვილი - თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები; ლინდა ხუროშვილი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; სანდრო ხუროშვილი - მცხეთის 1-ლი საშ. სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე; მძღოლები - ზურაბ ჯავახიშვილი, გიორგი გასიშვილი.

ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა გამოვხატოთ მადლიერება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, სამშენებლო კომპანია „ჯავა“-სა და თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიმართ, საქმისადმი კორექტული და პროფესიონალური დამოკიდებულების გამო.

კამერალური სამუშაოები - 2018 წ. 1 – 18 სექტემბერი; დ) საველე არქეოლოგიური კვლევის ანგარიშის მომზადება - 20 აგვისტო - 22 სექტემბერი; ანგარიშის წარდგენა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში - 2018 წ. 24 აგვისტო .

საველე სამუშაობის დაწყებამდე და ანგარიშის მომზადების დროს შესწავლილ და გამოყენებულ იქნა წერილობითი წყაროებისა და ტერიტორიის გეოლოგიური კვლევის მონაცემები; უპირველეს ყოვლისა კი, აღნიშნულ ტერიტორიაზე გასული საუკუნის 60-იან წლებში განხორციელებული არქეოლოგიური ძიების შედეგები; ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდით, დიდი მცხეთის სხვადასხვა უბანზე, განსაკუთრებით საკვლევი ფართობის მიმდებარე ადგილებში შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლებს და ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოს.

ა. ტოპოგრაფია და ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება. საკვლევი ტერიტორია ისტორიული დიდი მცხეთის უმნიშვნელოვანეს უბანში მდებარეობდა, რომელსაც ესაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან, მშრალი (იგივე, მონასტრის) ხევის გადაღმა, სხვადასხვა ეპოქის (ძვ. წ. IV ათასწ.- ახ. წ. IV - VIII სს.) ნამოსახლარები, უმნიშვნელოვანესი წინარექრისტიანული და ქრისტიანული რელიგიური ცენტრი (დღევანდელი სამთავროს დედათა მონასტრის ტერიტორაზე), და მრავალფენიანი (ძვ. წ. XVI - ახ. წ. VI-VIII სს.) სამაროვანი; სამხრეთიდან, დიდი მცხეთის ადრეშუასაუკუნეების ციტადელის ცენტრალური კარიბჭე და ქალაქის საცხოვრებელი კვარტლები; აღმოსავლეთიდან, სამეფოს წინარექრისტიანული და ქრისტიანული რელიგიური ცენტრი (ჩემი ვარაუდით, ქრისტიანობის დამკვიდრებამდე - მზის კულტთან დაკავშირებული ტაძრით, აწინდელი სვეტიცხოვლის კათედრალის ტერიტორიაზე) და მის გარშემო არსებული საცხოვრებელი კვარტალი; დასავლეთიდან, საცხოვრებელი უბანი და ასევე მზის კულტთან დაკავშირებული უძველესი ქართული წინარექრისტიანული ღვთაების, ბარბალეს საკულტო ნაგებობა (დღეს - ჩანაცვლებული ქრისტიანი წმინდანის ბარბარეს სახელზე X - XI სს. აგებული ეკლესიით).

ბ. წერილობითი წყაროების მონაცემები. 1. <u>ზოგადი მიმოხილვა.</u> სათავდაცვო სისტემის ჩრდილო მონაკვეთი იხსენიება ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა": "მაშინ წმინდამან ნინო ქალაქისა ზღუდეთა გარეგნით პოვა ქოჩი ერთი ბრწამი მაყულისა, ხოლო აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკლესიისა საეპისკოპო" ["ქართლის ცხოვრება". ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.1. თბილისი, 1955. გვ. 94].

დამოწმებული ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ დამოწმებული ტექსტის ავტორი, წმ. ნინოს დიდ მცხეთაში მოსვლისა და მისი სამისიონერო მოღვაწეობის თანამედროვე არ არის.

იგი უდავოდ მოგვიანო დროის ავტორია. თუმცა, მის დროს უკვე და ჯერ კიდევ, არსებულა დედაქალაქის ახ. წ. V ს. სასიმაგრო სისტემა.

წმ. ნინოს მცხეთაში მოსვლისა და მის მიერ აქ პროზელიტური მოღვაწეობისას, დედაქალაქის თავდაცვითი სისტემის ჩრდილო ხაზი გადიოდა არა საკვლევ ტერიტორიაზე, არამედ ღართაზე, მოცემული ტერიტორიიდან 1,5 - 2,0 კმ-ით ჩრდილოეთით; სწორედ ღართისკარს ხვდებიან დედოფალი ნანა, სამეფო კარის წევრები, წმ. ნინო და მცხეთელი მოქალაქეები, თხოთის მთიდან დაბრუნებულ სასწაულ გადახდილ მეფე მირიანს.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ტექსტს: „მაშინ წმინდამან ნინო **ქალაქისა ზღუდეთა გარეგნით** პოვა ქოჩი ერთი ბრწამი მაყულისა, ხოლო **აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკლესიისა საეპისკოპო**".

ცხადია, აქ უპირობოდ იგულისხმება სამთავროს მთავარსაეპისკოპოსო ტაძრის წინარე დროის ეკლესია და მიმდებარე ტერიტორია (1812 წლიდან დედათა მონასტერი). ლოგიკურად გამოდის, რომ ლეონტი მროველის პირველწყაროს ავტორი, ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც: ა) აქ ჯერ კიდევ არსებობდა ახ. წ. V ს. აგებული თავდაცვითი ზღუდე ("მაშინ წმინდამან ნინო **ქალაქისა ზღუდეთა** გარეგნით...“), რომელიც შეეწირა არაბთა შემოსევებს საქართველოში (VIII ს. 30-40 წწ.); ბ) უკვე ფუნქციონირებდა **„ზემო ეკლესია საეპისკოპოსო“.**

შესაბამისად, ლეონტი მროველის ქრონიკის პირველწყაროს დაწერის დრო უნდა განისაზღვროს არაუგვიანეს VII ს. მიწურულითა და VIII ს. 30-40 წწ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც არქეოლოგიური მოწმობანი მყარ საფუძველს უქმნიან წერილობითი წყაროს მონაცემებს და დამატებით არგუმენტაციას მატებენ მათ დათარიღებას.

გ. არქეოლოგიური მოწმობანი. ყოფილი კინოთეტრისა და მომავალში სამუზეუმო კომპლექსის ადგილას, 1965, 1967-68 წწ. ჩატარდა სრულმასშტაბიანი საველე კვლევა, რომელიც განახორციელა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პროფ. ალექსანდრე კალანდაძის ხელმძღვანელობით [კალანდაძე ალ., ბოხოჩაძე ა.. 1968: 17-26; ბოხოჩაძე ა. 1975:38].

ჩატარებული საველე - არქეოლოგიური სამუშოების შედეგად გამოვლინდა:

1) ქალაქის ახ წ. V - VII სს. თავდაცვითი სისტემის ჩრდილო მონაკვეთის ცენტრალური ნაწილის კედლის, კოშკებისა და კარიბჭის ნაშთები - ზედა ფენა (სურ.2,3);

2) ახ. წ. IV - V ნამოსახლარი. შესწავლილ იქნა საცხოვრებელი სახლებისა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობების ნაშთები (მარნები, სამეთუნეო ნაწარმის გამოსაწვავი ქურები, სამეურნეო ორმოები) - შუა ფენა;

3) ძვ. წ. I - ახ. წ. I სს. სამაროვანი - ქვედა ფენა.

კონკრეტული ვითარების აღწერა. მოცემული ტერიტორია, როგორც უკვე ითქვა, გასული საუკუნის 60-იან წლებში საფუძვლიანად იქნა გამოკვლეული არქეოლო-გიურად და შესაბამისად, წინასწარულ არქეოლოგიურ დასკვნაში წინამდებარე სტატიის ერთერთი წერდა, რომ „რაიმე ხელშესახები ნივთიერი მასალის აღმოჩენა - დაზიანების ალბათობა პრაქტიკულად გამორიცხულია. თუმცა, მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, სასურველად მიმაჩნია ახალი მოდულის მშენებლობისათვის

განსახორციელებელი მიწის სამუშაოები არქეოლოგიური მეთვალყურეობით განხორციელდეს“ [ბიბილური თ. 2017:2,3]

ჩვენს მიერ განხორციელებულმა საველე სამუშაოებმა სრულიად გააბათილა თავდაპირველი ვარაუდი და ბევრი ნიშნით, აბსოლუტურად საპირისპირო სურათი მივიღეთ. თუმცა, ამაზე ქვემოთ და თანმიმდევრობით.

1. ქვაბულის კედლების დახასიათება. ქვაბულის ოთხივე კედელს განსხვავებული პროფილი ჰქონდა (ზემოდან ქვემოთ): **1. W კედელი** - ა) XX ს. 1-ლი ნახ. საცხოვრებელის სახლის საძირკვლის ნაშთი, წარმოდგენილი საყრდენი კედლის ნაშთით; ბ) გვიანელინისტური ხანის კრამიტსამარხი, რომელიც დიდი ალბათობით, გამართვიდან ახლო დროში გაუძარცვავთ; გ) სხვადასხვა დროისა და ხასიათის გეოლოგიური შრეები; **2. S კედელი** - ა) გვიანანტიკური ხანიდან ადრეშუასაუკუნეებზე გარდამავალი დროის ნაგებობის ნაშთი; ბ) ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთი, შესწავლილი გასული საუკუნის 60-იან წწ.; გ) კრამიტყრილი, შექმნილი არქეოლოგების მიერ გასული საუკუნის 60-იან წწ. განხორციელებული გათხრების შემდეგ; დ) სხვადასხვა დროისა და ხასიათის გეოლოგიური შრეები; **3. N კედელი** - ა) XX ს. 60-70 წწ. დაგებული ასფალტის ფენა; ბ) გაურკვეველი დროის სამშენებლო ფენა (ჩემი ვარაუდით, XIX-XX სს. მიჯნა); გ) გეოლოგიური შრე; დ) შუასაუკუნეების საკმად სუსტად წარმოდგენილი სამშენებლო ფენა (დიდი ალბათობით, არაბობის შემდგომი დროის მშენებლობა); ე) გეოლოგიური შრე; ვ) ადრეშუასაუკუნეების სამშენებლო ფენა, წარმოდგენილი ერთ რიგად შემორჩენილი რიყის საშუალო და მცირე ზომის ქვების ჰორიზონტალური რიგით; ზ) გვიანანტიკური ხანიდან ადრეშუასაუკუნეებზე გარდამავალი დროის ნაგებობის ნაშთი; **4. O კედელი** პროფილით ახლოს დგას N კედელთან.

გვიანელინისტური ხანისა და გარდამავალი დროის ნაგებობების ნაშთები. (სურ. 9-16, 36-37-ა). აღმოჩნდა ქვაბულის NO ნაწილის უკიდურეს ჩრდილო მონაკვეთში (სურ. 11); თუმცა, შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ნაგებობის ნაშთი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი კედლით და, რომ შემორჩენილი იყო მისი O კედელიც (სურ. 12). ჩვენს მიერ თავდაპირველად დაფიქსირდა სახურავის ღარიანი და გვერდებაკეცილი, მუქწითლად შეღებილი კრამიტის ორი მოზრდილი ფრაგმენტი და რიყის ქვით ნაგები კედლის სამი რიგი. კრამიტის ორივე ფრაგმენტი ანალოგიურია სამარხის ასაგებად გამოყენებული კრამიტებისა. შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ დიდი ნაგებობის ნაშთთან, რომელიც სრულად ყოფილა დახურული ორივე სახის შეღებილი კრამიტით.

ჩვენს მიერ შესწავლილი კედლების ნაშთიდან, უკეთ იყო შემორჩენილი N კედელი - ჩვენამდე მოაღწია ქვის წყობის ორმა, რიგ შემთხვევაში სამმა რიგმა (სურ. 11).

შენობა ნაგები იყო სხვადასხვა ხარისხით დამუშავებული ქვითა და ალიზის აგურით. შესწავლილი შენობის ინტერიერში აღმოჩენილი ალიზის ნატეხების ნაწილზე კარგადაა შემორჩენილი ერთ მხარეს შელესილობის კვალი (სურ. 85); მეორე მხარეს, ორი, ღარისებრი ჩაღრმავება, შუაში ქედით (სურ. 86). არ შევცდებით, თუ აღწერილ დეტალს ინტერიერის გაფორმების ნაწილად მივიჩნევ.

აღნიშნული შენობა და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ის, დანგრეულია საომარი მოქმედების შედეგად. ამ ფაქტზე მიუთითებს სხვადასხვა ზომის სატყორცნი იარაღის (ჭურვები (?), შურდულის ქვები) აღმოჩენის ხშირი შემთხვევები შენობის ორივე შემორჩენილი კედლის მთელ პერიმეტრზე (სურ. 89-93) და ძლიერი ხანძრის კვალი (სურ. 9,10, 13,14). ალაგ-ალაგ, დამწვარი ფენის სისქე აღწევდა 0,17 (ქვევრების მხარეს) და 0,25 მ. (სურ.13,14); ორ კრამიტზე აშკარად ჩანს სატყორცნი იარაღის მოხვედრის კვალი (სურ. 94-96).

საველე კვლევისას დამოწმებული სტრატიგრაფია, პლუს კრამიტების თარიღი, სრულ უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ნაგებობის ნაშთი, სწორედაც რომ გვიანე- ლინისტურ ხანას, მომეტებულად კი, ძვ. წ. I ს. განეკუთვნება; და, რომ მისი დანგრევიდან გარკვეული დროის შემდეგ ჩნდება სამშენებლო ფენა, რომლის ნაგებობების გადასახურავადაც გამოყენებული ყოფილა ის კრამიტი, რომელთა შესახებაც კარიბჭის გამთხრელები წერდნენ: „...სიდიდით, მოყვანილობით დამზადების ტექნიკით ახლოს დგას გვიანანტიკური ხანის კრამიტებთან, თუმცა შეინიშნება გარკვეული განსხვავებაც“ [ალ. კალანდაძე ალ., ბოხოჩაძე ა. 1968:24]. თავის მხრივ, გარდამავალი დროის ნაგებობა შეეწირა მოგვიანებით აგებულ „მარანს“ (სურ. 76).

წინა, გვიანელინისტური ხანის ნაგებობისაგან განსხვავებით, გვიაანტიკურიდან ადრეშუასაუკუნეებზე გარდამავალი დროის ფენაში, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მინისა და თიხის, მათ შორის მოჭიქული ჭურჭლის სხვადასხვა ზომის ფრაგმენტები (სურ.76).

2. საკრძალავები.

კრამიტსამარხი N 1. (სურ. 18-20). დამხრობა - NO-SW გრძივ ღერძზე. ბანურსახურავიანი სამარხი შედგენილი იყო დიდრონი, გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტით; იგივე კრამიტით მოუგიათ სამარხის ძირიც. საკრძალავის ზომები: 1,45 (+-20-30 სმ); სიგანე - 0,37 მ.

სამარხის ასაგებად გამოყენებული უკლებლივ ყველა კრამიტი ცალი (გარე) მხრიდან, გვერდების ჩათვლით, შეღებილი იყო მუქი წითელი ფერის წერნაქით.

ზომების გათვალისწინებით, სამარხი, სავარაუდოდ, ერთი ინდივიდისათვის უნდა ყოფილიყო გამართული. სამარხი გაძარცული იყო, დიდი ალბათობით, გამართვიდან ახლო დროში. საკრძალავის გაძარცვის გასულ საუკუნეში აგებული სახლის მშენებლებთან დაკავშირება ნაკლებ სავარაუდოა.

სამარხში დავაფიქსირეთ:

სავ. N 1. (სურ. 20). თიხის შავად გამომწვარი, პირმრგვალი და ცალყურა ჭინჭილა; თიხა კარგად დამუშავებულ-განლექილი; განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი ყური მიძერწილია პირსა და მუცლის ზედა ნაწილზე. ზომები: სიმაღლე ჭურჭლის - 11,0; ყურის - 6,5; დმ. პირის - 6,0; ძირის - 6,5 სმ.

სავ. N 2. (სურ. 21). კოჭი, საქონლის. ზომები: 5,5 x 3,5 x 3,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის NO კუთხეში.

განხილული საკრძალავი, კრამიტით, თიხის ჭურჭლითა და აქვე, გასული საუკუნის 60-იან წწ. გათხრილი სამარხებთან შედარებითი ანალიზით, კარგად თარიღდება ძვ. წ. I - ახ. წ. I სს.

კრამიტსამარხი N 2. (სურ. 23-38). 0 წერტილიდან: NO – 1,885; იატაკი (ცენტრ. ნაწილი) – 1,76; W მხარე - 1,745 მ. <u>სამარხის კონსტრუქცია.</u> სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის თქმა, თუ როგორი გადახურვა ჰქონდა საკრძალავს - ორფერდა თუ ბანური. შედარებით სრულყოფილი წარმოდგენა გვაქვს კედლებისა და განსაკუთრებით იატაკის შესახებ.

კედლების გასამართად გამოუყენებიათ ორივე სახის კრამიტი, ხოლო იატაკის მოსაგებად ბრტყელი გვერდებაკეცილი და მცირე ზომის, მოგრძო სწორკუთხად დაჭრილი კრამიტებით (სურ. 26,27).

სამარხის კედლების, იატაკისა და სახურავის მოსაწყობად, გამოუყენებიათ რამდენიმე სახელოსნოში დამზადებული კრამიტი. ნათქვამის სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც ნიშან-დამღიანი კრამიტების მრავალფეროვნება, რაზეც სათანადო ადგილას მექნება საუბარი. შესაბამისად, კიდევ ერთხელ დასტურდება აკად. ანდრია აფაქიძის მიერ გასული საუკუნის 50-60 წწ. გაკეთებული დასკვნა იმის თაობაზე, რომ საკრძალავის ასაგებად გამოყენებული კრამიტები ე. წ. სამშენებლო ფონდიდანაა აღებული [აფაქიძე ა. 1963]; სხვაგვარად - აღნიშნული კრამიტები არაა დამზადებული საგანგებოდ ამ საკრძალავის ასაგებად;

სამარხი ძველადვე გაუძარცვავთ. ამაზე მიუთითებს სამი ნეშთის ანატომიური აღნაგობა-დარღვეული და ადგილნაცვალი ნაწილების საკრძალავის სრულიად მოულოდნელ ადგილებში დაფიქსირება (სურ.23-25).

სამარხში, როგორც უკვე ვთქვი, სამი მიცვალებული დაუკრძალავთ. მათგან ერთი, მამაკაცის ნეშთი მიხვეტილი იყო სამარხის NO კუთხეში (სურ. 24); მამაკაცის თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა მეორე თავის ქალა; ერთი მიცვალებულის თავის ქალა და სხეულის ცალკეული ნაწილები დავაფიქსირეთ სამარხის NW კუთხეში.

სამარხში აღმოჩნდა:

1. სავ. N (სურ. 28). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი. ბაკო მომრგვალებული, პირი გადაშლილი; ყელწიბოიანი დაბალი ყელი. ტანი სფეროსებრი; ძირი განიერი და ბრტყელი.ოვალური დანაძერწით შემკული, განივკვეთში ოდნავ შესამჩნევად მრგვალბრტყელი ყური, მიძერწილია ყელის წიბოსა და ტანის უა ნაწილზე. სიმაღლე ხელადის - 14,5; ყელის - 4,6; ტანის - 10,0 ; ყურის - 5,5 ; დმ. პირის - 6,3; ყელის -7,2; ტანის - 14,5; ძირის - 9,0; მორჩის - 0,1; ყურის (შუა ნაწილში) – 0,5 x 1,0 სმ.

2. სავ. N 13/1 (სურ.29). ზარაკი ბრინჯაოსი. გატეხილი და დეფორმირებული. სიმაღლე (მიახ.) – 2,5; დმ. - სმ.

3. სავ. N 18. (სურ.30). მონეტა, ბრინჯაოსი. პართული. არტაბან II არშაკიდის (ზეობისწლები ახ. წ. 10/11-38)[1]).

[1] მონეტა განსაზღვრა ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციების მთავ. კურატორმა, ქალბატონმა მედეა შეროზიამ, რისთვისაც მას წრფელ მადლობას მოვახსენებ.

4. სავ. N 15. (სურ.31). მძივსაკიდი სფეროსებრი, ლითონის (ანთიმონი?) განიერი და განივკვეთში ბრტყელი, ოვალურნახვრეტიანი ყუნწით. ყუნწს გარედან მთელ სიგრძეზე დაუყვება ღარი. სიმაღლე - 2,1; ყუნწის - 1,0; დმ. – 0,7; ყურის სიგანე -0,5; სისქე -0,2 სმ. სიგანე დაჟანგული.

5. სავ. N (სურ. 32). მძივი, გიშრის. 0,1 x 0,3 სმ. შუაზეა გატეხილი.

6. სავ. N 14 (სურ. 33). მძივი, თეთრი ფერი მინის; მოგრძო, კასრისებრი ფორმის.ორივემხარეს ბორბლისებრი დაბოლოებით. მოიასამნოფრად ირიზებული. სიგრძე - 0,6 სმ. ბოლოებ- მოტეხილი.სავ. N 16/1. (სურ. 49).

7. სავ. N 14/1 (სურ. 34) მძივი, თეთრი ფერის მინის. გატეხილი. სიგრძე შემორჩენილი - 0,35 სმ.

8. სავ. N 18/1. (სურ. 37). სალესი ქვა, მინიატურული, ერთი მხარე (მუშა)და თხელებულია აღმოჩნდა სამარხის O ნაწილში, მამაკაცის თავის ქალის მახლობლად.

კრამიტსამარხ N 2, მასში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის საფუძველზე საკმაოდ მყარად თარიღდება ახ. წ. I-II სს.

დავუბრუნდეთ სამარხის ასაგებად გამოყენებული კრამიტების წარმომავლობას. როგორც ავღნიშნე, ისინი საგანგებოდ არ დაუმზადებიათ საკრძალავის ასაგებად; და, რომ ისინი აღებულია ე. წ. სამშენებლო ფონდიდან. ჩემი ვარაუდით, სამარხის ასაგებად ნაწილობრივ გამოუყენებიათ ელინისტური დროის დანგრეული შენობის სახურავის კრამიტები. ყოველ შემთხვევაში, სამარხის სახურავისა და კედლების გასამართი კრამიტებიდან ნაწილი, სწორედაც რომ გვიანელინისტურ პერიოდს განეკუთვნება (სურ. 26,27).

აღნიშნულ კრამიტებს უახლოესი ანალოგები დაფიქსირებულია სამთავროს ველის N მონაკვეთზე გასული საუკუნის 80-იან წლებში შესწავლილ ძვ. წ. I ს.ნაგებობის ნაშთის გადახურვაში.

3. ადრეშუასაუკუნეების ნაგებობების ნაშთები

„მარანი“ (სურ.38-49). შესწავლილი ძეგლებიდან, უდავოდ საინტერესოა სამეურნეო ნაგებობის ნაშთი, რომლისგანაც შემორჩენილი იყო კრამიტით დაბურული სახურავის ნაშთი, ოთხი დაზიანებული და მეტნაკლებად დეფორმირებული ქვევრი და ნახაძრალის საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი; აგრეთვე, შენობის ინტერიერში ალაგ-ალაგ დაფიქსირებული თიხისა და მინის ჭურჭლის ნამტვრევები, ობსიდიანის ანატკეცი, ბრინჯაოს ნაკეთობის მცირედი დეტალი (შესაძლოა, აბზინდის ენა).

საშუალო ზომის ქვევრები ჩადგმული იყო ერთმანეთისაგან 0,27-0,28 მ. დაშორებით. N 1 – N2 -0,2; N 1 – N 3 – 0,32; N 2 - N 3 ოდნავ მოშორებით – 0,8 მ. ოთხი ქვევრიდან სამი დახურული იყო რიყის ოვალური მოყვანილობის ბრტყელი ქვით; ერთიც (N3) - თიხის ფილით (0,28 x 0,29 x 0,25).

ქვევრების ზომები (დაზიანება-დეფორმირების გამო ანაზომები მიახლოებითია): N 1. დმ.პირის - 0,3 (+- 5); მუცლის - 0,85 (+-5-7); სიმაღლე (შემორჩნ.) – 0,64 მ.; N 2 - დმ. პირის - 0,35 (+- 5); მუცლის - 0,8; სიმაღლე (შემორჩნ.) – 0,75 მ.

ორ ქვევრში დავაფიქსირეთ საკმაოდ საინტერესო ფაქტი - უშუალოდ ქვევრების ძირზე იდო ბრტყელი, ფაქტობრივად ქვევრის ძირის ზომისა და მოყვანილობის რიყის ქვა (0,16; 0,14; 0,1; 0,2 სმ.). სახურავად მათი გამოყენება გამორიცხულია, რადგან: ა. ქვების დიამეტრი გაცილებით მცირეა, ვიდრე ქვევრების პირის დიამეტრი; ბ. ორ ქვევრს გააჩნდა სახურავი (ერთ შემთხვევაში რიყის ქვა; მეორეში - თიხის ფილა), შესაბამისად, მათი ქვევრში ჩავარდნა გამორიცხულია; გ. ქვებზე ზემოდან დავაფიქსირეთ მასა, რომელიც შესაძლოა იმ პროდუქტის ნაშთი იყოს, რომელიც თავის დროზე ქვევრში ინახებოდა. ამასთან, აღსანიშნა-ვია, რომ ქვევრის ძირებსა და ნახსენებ ქვებს შორის არე სრულიად სტერილური იყო.

საკითხში გასარკვევად, N 2 ქვევრიდან აღებული, მსგავსად სხვა, ჩემი თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშებისა, შესასწავლად გადავეცით ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელს, დოქტ. მაია ჭიჭინაძეს[1]). ვფიქრობ, ლაბორატორიული კვლევის საბოლოო შედეგები, გარკვეულ სიცხადეს შეიტანენ ამ უჩვეულო და, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის სრულიად ბუნდოვან საკითხში.

"მარნის უბანზე" მიკვლეული ძეგლების შემდგომი შესწავლა, ვფიქრობ, გარკვეულ ნიუანსებს შემატებს კარიბჭისა და მიმდებარე ტერიტორიაზე პროფ. ალექსანდრე კალანდაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის შედეგებს.

არაგვის კარის გალავნის ნაწილი. ქვაბული უკიდურეს SO ნაწილში გამოვავლინეთ სამ ტერასად განლაგებული სამშენებლო ფენა, რომელთაგან ერთს აქვს მკვეთრად გამოხატული ოვალური მოყვანილობა; ქვედა ჰორიზონტზე არსებულ ნაგებობის ნაშთიდან შემორჩენილია კედლის ფრაგმენტი და შესასვლელი (სურ.50,51).

აღნიშნული ფენები, ჩემი ვარაუდით, კავშირშია დიდი მცხეთის ადრეშუასაუკუნეების საფორთიფიკაციო სისტემის არაგვის კარის მონაკვეთთან. აქ არსებული ნაგებობა განადგურებულია საბრძოლო მოქმედებებით (არაბების შემოსევა?) გამოწვეული ძლიერი ხანძრის შედეგად (სურ. 52,53)

გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი ნაკვეთი სცილდება დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუმუზეუმ-ნაკრძალის ახალი შენობის ასაგებად მომზადებული ქვაბულის ფართობს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან და სამშენებლო კომპანიასთან შეთანხმებით, მივიღეთ გადაწყვეტილება გამოვლენილი ფართობის დროებითი კონსერვაციისა და მშენებლობის დასრულების შემდეგ, არქეოლოგიური კვლევის განახლების შესახებ. კონსერვაცია განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით: ა) წვრილმარცვლოვანი ყვითელი ფერის ქვიშა (ე. წ. - „საჩხერის ქვიშა"); ბ) მსხვილმარცვლოვანი ქვიშა; გ) ქვაბულიდან ამოღებული ნარევი მასა (სურ. 54,55).

კრამიტები. ჩვენს მიერ გამოკვლეულ ფართობზე დაფიქსირებული კრამიტების რაოდენობა მართლაც, რომ შთამბეჭდავია (სურ. 56); მაგრამ ამ რაოდენობაზე

[1] ქალბატონ მაია ჭიჭინაძეს და მის კოლეგებს მადლობას ვუხდით გაწეული სამუშაოსათვის. კვლევის წინასწარული შედეგები ერთვის წინამდებარე სტატიას.

შთამბეჭდავია მათზე დატანილი ნიშნების სიმრავლე და მრავალფეროვნება (სურ. 57-77). ამ ნიშნების, ისევე როგორც საზოგადოდ, აქ დაფიქსირებული კრამიტების ანალიზი ჯერ მხოლოდ საწყის სტადიაზეა; თუმცა, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ერთ პატარა ფართობზე, არც დიდი მცხეთისა და, არც ზოგადად, საქართველოს ტერიტორიიდან, ნიშან-დამღიანი კრამიტების ასეთი ოდენობა ჩემთვის ცნობილი არაა; **ხაზს ვუსვამ - ჩემთვის არაა ცნობილი.**

ქვაბულში აღმოჩენილი კრამიტების გარკვეული რაოდენობა (როგორც ბრტყელი, ასევე ღარიანი) ნაწილობრივაა შეღებილი - მხოლოდ ხილული მონაკვეთი; ანუ ის ნაწილი, რომელიც არ იყო დაფარული სხვა კრამიტით. ჩნდება ლოგიკური კითხვა, ხომ არ ხდებოდა მათი შეღებვა კონსტრუქციის (ვთქვათ, შენობის სახურავის) დასრულების შემდეგ? სხვა შემთხვევაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კრამიტი მზადდებოდა თითოეული კონკრეტული შენობისათვის, წინასწარ შემუშავებული ზუსტი გეგმისა და გათვლების (სახურავის ფართობის გამოთვლით) გათვალისწინებით.

არც ეს მოსაზრებაა უგულვებსაყოფი, მით უფრო, ელინისტურ-გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოში ხუროთმოძღვრებისა და მშენებლობის მაღალი დონის გათვალისწინენებით, რომლის დასტურია, ცალკერძ, ბერძნული წარმოშობის რომაელი გეოგრაფოსი სტრაბონის (დაახ. ძვ. 64/63 - ახ.წ. 23/24 წწ.) მონათხრობი, იმის თაობაზე, რომ „**მართლაც, იბერია (=ქართლს - თ.ბ.) დიდწილად იმდენად კარგადაა განაშენიანებული ქალაქებითა და დაბებით, რომ იქ არის კრამიტის სახურავები, საბაზრო მოედნები, და სხვა ნაგებობები, აღმართული არქიტექტურის კანონებით**“[სტრაბო. გეოგრაფია 17 წიგნად, წ. XI. თ. III. პ.1]. ცალკერძ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ-შესწავლილი მართლაც, რომ მაღალი საინჟინრო-არქიტექტურული ხელოვნებით ნაგები ათობით ძეგლი. და ბოლოს, ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის საგანგებო სახელოს არსებობა ქვეყნის დედაქალაქ დიდ მცხეთაში მაინც.

მიუხედავად იმისა, რომ სტრაბონი არ ჩამოთვლის „ქალაქებსა და დაბებს...“ , ცხადია, მათ შორის, უპირველესად, სწორედაც რომ ქვეყნის დედაქალაქი დიდი მცხეთა უნდა ვიგულისხმოთ;

სამშენებლო ქვები. გათხრებისას დავაფიქსირეთ არცთუ მცირე ოდენობის განსხვავებული ხარისხით დამუშავებული კლდისა და რიყის ქვა (სურ. 79-82). მათგან ერთ-ერთზე, აშკარად ჩანს, კლდის მასივიდან მოჭრისას სოლების მიერ დატოვებული კვალი (სურ. 83).

თიხის ჭურჭელი. ჩვენს მიერ შესწავლილ ფართობზე დავაფიქსირეთ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების დიდი ოდენობით თიხის ჭურჭელი (ვიყოთ ზუსტნი - მათი ფრაგმენტირებული ნაწილები). მხოლოდ ჩვენს მიერ აღწერილ-რეგისტრირებული ერთეულების რიცხვმა ოთხასს გადააჭარბა. ჭურჭელი აღმოჩნდა როგორც საკრძალავებში (თითო ეგზემპლარი), ასევე სამივე დროის სამშენებლო ფენაში. თიხის ჭურჭელში განირჩევა, როგორც სასუფრე (ჯამები, ფიალები, ლანგრები, ხელადები და ჭინჭილები), ასევე გაცილებით დიდი მოცულობის ეგზემპლარები (სურ.87,88). საველე

სამუშაოებისას მიკვლეული თიხის ჭურჭლის კვლევა დაწყებულია და ამ კვლევის შედეგები, ვიმედოვნებ, გარკვეულ სიახლეებს მოგვცემს.

მინის ჭურჭელი. როგორც გვიანელინისტურ-გვიანანტიკური ხანის ნაგებობების, ასევე ახ. წ. IV-V სს. მარნის ინტერიერში მიკვლეულ იქნა სხვადასხვა დროისა (ძირითადად, ახ. წ. II-IV სს.) და დანიშნულების მინის ჭურჭლის საკმაო ოდენობის ფრაგმენტები. სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილი იმდენად იყო დამტვრეული (0,5-1,5 სმ.), რომ ფუნქციის განსაზღვრა სრულიად შეუძლებელია.

სხვა. სხვადასხვა სამშენებლო ჰორიზონზე დავაფიქსირეთ საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების ნივთები (კვირისთავი, სალესი ქვა, ჭრაქი და ა. შ.) (სურ. 97).

ცალკე აღნიშვნის ღირსია, სხვადასხვა სიდიდის შურდულის ქვების აღმოჩენის ხშირი შემთხვევები. მათგან რამოდენიმე უშუალოდ კედლის გარე პერიმეტრზე დავაფიქსირეთ. ორ კრამიტზე აშკარად ჩანს მათი მოხვედრის კვალი (სურ. 78,79).

პალეოზოოლოგიური მასალა. სამივე სამშენებლო ჰორიზონტში დიდი ოდენობით აღმოჩნდაროგორც გარეული, ასევე შინაური ცხოველების ნაშთები (ტახი, მგელი (?), ირემი, შველი, ძროხა, ცხვარი (თხა), ცხენი და ა.შ.)*). თუმცა, რაოდენობრივად ჭარბობს ძვლოვანი მასალა, აღმოჩენილი არაგვის კარის გალავნის ნაწილად მიჩნეულ ფენაში. საინტერესოა, რომ დაფიქსირებული მსხვილფეხა საქონლის (ძროხა, ხარი) თავის ნაშთებიდან, მხოლოდ ქვედა ყბებია აღმოჩენილი (სურ.98-100).

პალეოზოოლოგიური და პალინოლოგიური მასალის სრულფასოვანი შესწავლის შედეგები, ვფიქრობ, განსჯისათვის საყურადღებო მონაცემებს მოგვცემს[1]).

დასკვნის მაგიერ. ჩვენს მიერ განხორციელებულმა საველე კვლევამ რამდენიმე საინტერესო მომენტი გამოავლინა; სახელდობრ ის, რომ დიდი მცხეთის აღნიშნულ უბანზე, განსხვავებით არაერთგზის გამოთქმული მოსაზრებისა, დაფიქსირებულია გვიანელინისტურ-გვიანრომაული ხანის სამშენებლო (ხაზს ვუსვამ - **სამშენებლო**) ფენები. გვიანელინისტური დროის ნაშთების უკეთ გამოვლენა-შესწავლა მომავლის საქმედ მიმაჩნია;

რაც შეეხება გვიანანტიკური ხანის ნაშთებს, დასტურდება პროფ. ალექსანდრე კალანდაძის მიერ გასული საუკუნის 60-იან წწ. გამოთქმული ფრთხილი ვარაუდი, რომ მცხეთის არაგვის კარის გათხრისას გამოვლინდა კრამიტის ტიპი, რომელიც „... სიდიდით, მოყვანილობით დამზადების ტექნიკით ახლოს დგას გვიანანტიკური ხანის კრამიტებთან, თუმცა შეინიშნება გარკვეული განსხვავებაც“ [კალანდაძე ალ., ბოხოჩაძე ა.1968:24].

კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიის სრულყოფილი არქეოლოგიური შესწავლის შემთხვევაში, რამდენიმე ძალზედ საინტერესო საკითხს მოეფინება შუქი; საკითხს, რომელიც დღემდე თეთრ ლაქად ან სადავოდ რჩება დიდი მცხეთის გვიანელინისტურ-ადრეშუასაუკუნეების ისტორიაში.

---

[1] აღნიშნული მასალის წინასწარული კვლევა ჩაატარა ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის ცენტრის მთ. მეცნ. თანამშრომელმა, დოქ. მაია ბუხიანიძემ, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუხდით.

ბიბლიოგრაფია

1. მროველი ლეონტი. [ცხოვრება ქართველთა მეფეთა..., ქართლის ცხოვრება. I. თბილისი. 1955.
2. მროველი ლეონტი. მატიანე ქრთლისაი. ქართლის ცხოვრება. I. თბილისი. 1955.
3. სტრაბო. გეოგრაფია 17 წიგნად, წ. XI. თ. III. პ.1. ძველბერძნულიდან რუსულ ენაზე თარგმანი, სტატია და კომენტარები გ. სტრატანოვსკის. მ., 1994
4. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. I. თბილისი. 1955. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I. თბილისი. „მეცნიერება“.1963
5. ბიბილური თ. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ქართლის სამეფოში ძვ. წ. IV - ახ. IV სს. თბილისი. 1996. ხელნაწერი ინახებოდა მცხეთის პროფ. გიორგი ნიორაძის არქეოლო-გიის ინსტიტუტის არქივში.
6. ბიბილური თ. ქართლის პიტიახშთა არმაზისხევის .სამაროვანი (დაკრძალვის წესების ახლებური გააზრების ცდა). კულტურის ისტორიის საკითხები. V. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის შრომები.თბილისი.1998
7. ბიბილური თ. მცხეთა. "კარიბჭე" და მიმდებარე ტერიტორია - არქეოლოგიური კვლევის ისტორია. წინასწარული დასკვნა. თბილისი. 2017
8. ბოხოჩაძე ა. მასალები დაბა მცხეთის არქეოლოგიური რუკისათვის. ძეგლის მეგობარი. თბილისი.1975.
9. კალანდაძე ა., ბოხოჩაძე ა. არაგვის კარი (მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 30 წლისთავისათვის). ძეგლის მეგობარი. თბილისი. 1968. N 15.
10. მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. კატალოგი. მცხეთა. VII. თბილისი. „მეცნიერება“. 1985

ტაბულები



სურ.1. მცხეთა. XIX ს. 80-იანი წწ. დ. ერმაკოვის ფოტო. უკანა პლანზე სამთავროს მთავარსაეპისკოპოსო ტაძარი

სურ. 2. კარიბჭე. ხედი NW-დან.

სურ. 3. კარიბჭე. ხედი O-დან.

სურ. 4. ქვაბულის ფართობი მიწის ამოღებამდე. უკანა პლანზე საყრდენი კედელი

სურ. 5. ფართობის განთავისუფლება XX ს. სამშენებლო ნარჩენებისაგან

სურ. 6. ტოპოგრაფიული გეგმა



სურ. 7. არქეოლოგიური ბადე

სურ. 8. საკვლევი ფართობი თანამედროვე სამშენებლო ფენების ნარჩენებისა და ნაყარი მიწის მოხსნის შემდეგ. ნახაძრალი ფენის გამოვლენა

„დამწვარი ნაგებობა“

სურ. 9, 10. ჩაქცეული სახურავი

სურ. 11. შენობის N კედლის მონაკვეთი

სურ. 12. შენობის SO კუთხე.O და S კედლების მონაკვეთები

სურ. 13. ნახაძრალი ფენა

სურ. 14. დამწვარი ნაგებობის სამხრეთის კარის ზღურბლი

სურ. 15, 16. დამწვარი ნაგებობის O კედელი, SO კუთხე და იატაკი. უკანა პლანზე - არაგვის კარის გალავნის კონტრფორსის (?) ნაწილი

კრამიტსამარხი N 1

სურ. 17-19. ქვაბულის SW კუთხე. გამოვლენის პროცესი კრამიტსამარხი. ხედი S-დან

სურ. 20. ხელადა, თიხის

სურ. 21. კოჭი, ცხვრის

კრამიტსამარხი N 2

სურ. 23-25. ნაყარი მიწის ფენის მოხსნისა და ნაწილობრივი პრეპარაციის შემდეგ

სურ.26. კრამიტსამარხი N 2 პრეპარაციის შემდეგ

სურ. 27. სამარხის იატაკად გამოყენებ. გვიანელინისტური ხანის შეღებილი კრამიტები

სურ. 28-35. კრამიტსამარხი N 2. სამარხეული ინვენტარი

სურ. 36,37. მარნის მიერ დაზიანებულ-ჩაჭრილი ახ. წ. III (?) –IV სს. ნაგებობის ნაშთი

სურ. 37-ა. რიყის ქვა ალიზისა და ნახშირის კვალით

„მარნის უბანი“

სურ. 38,39. მარნის ჩაქცეული სახურავის ნაშთი

სურ. 40,41. მარანი. ჩაქცეული სახურავისა და კედლების ნაშთი ქვევრებზე

სურ. 42,43. ქვევრები „მარნის“ ჩაქცეული სახურავისა და კედლის ნანგრევების მოხსნის შემდეგ

სურ. 44,45. ქვევრი N 1 და N 2 ნაყარი მიწის მოხსნის შემდეგ

სურ. 46,47. ქვევრები NN 1-3 პრეპარაციამდე და პრეპარაციის პროცესში

სურ. 48,49. ქვევრი N 2 პრეპარაციამდე და პრეპარეციის შემდეგ. ძირზე რიყის ქვით

სურ. 50,51. „დამწვარი ნაგებობის“ S კედელი და არაგვის კარის გალავნის კონტრფორსის (?) ნაწილი

სურ. 52, 53. ხანძრის შედეგად განადგურებული არაგვის კარის გალავნის კონტრფორსის (?) ნაწილი

სურ. 54,55. არაგვის კარის გალავნის ნაწილი. კონსერვაციის პროცესი

სურ. 56. გათხრების შედეგად მოპოვებული კრამიტები

ნიშან- დამღიანი კრამიტები

I ჯგუფი

სურ. 57-60. დამღიანი კრამიტები

II ჯგუფი

სურ. 58-67.ზოგად ნიშნიანი კრამიტები

III - IV ჯგუფი

სურ. 68-77. ინდივიდუალურ ნიშნიანი კრამიტები

სურ. 79-82. სამშენებლო ქვები

სურ. 83. კლდის ქვა სოლების კვალით

სურ. 84 დამწვარი ნაგებობის N კედელში დაფიქსირებული ხელსაფქვავის ნაწილი

სურ.85.ალიზი შელესილობის კვალით

სურ.86. ალიზი. ინტერიერის დეტალი

სურ. 87. ახ. წ. II-IV სს. თიხის ჭურჭელი

სურ. 88. არაგვის კარის გალავნის ნაწილი. ადრეშუასაუკუნეების კერამიკა

სურ. 89-93. შურდულის ქვები

სურ. 94-96. შურდულის ქვები და შურდულის ქვებითდაზიანებული კრამიტები

სურ. 97. ჭრაქი ნამწვის კვალით

სურ. 98. ღორის ვეშვები სურ. 99. შვლის რქა სურ. 100. ძროხის ქვედა ყბები

მაია ჭიჭინაძე

პალინოლოგიური კვლევის წინასწარული ანგარიში

მცხეთა, კარიბჭე, ქვაბული. ამ ძეგლიდან აღებული მიწის ნიმუშები მუშავდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში. წინასწარული კვლევა ჩატარდა ქვევრიდან აღებულ ორგანულ ნაშთებზე. ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩენილ ხემცენარეთა და ბალახოვნების მტვრის მარცვლებიდან მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი ვაზის მტვრის არსებობა . არაპალინოლოგიური ნაშთებიდან მრავლადაა სახამებლის მარცვლები, ფიტოლიტები, მწერების ნაშთები, ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები და ბამბისა და სელის ქსოვილის ნაშთები.

ქვევრის ნიმუშში აღმოჩენილი პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ნაშთების გათვალისწინებით, კერძოდ კი პალინოლოგიურ სპექტრში ვაზის მტვრის აღმოჩენა ვენახის სარეველებთან ერთად,ასევე ამავე ნიმუშში სახამებლის მარცვლების დიდი რაოდენობა (ფიტოლიტები და მწერების ნაშთები) ადასტურებენ ქვევრში ღვინის არსებობას.

გრძელდება დანაჩენი ნიმუშების მიკროსკოპული კვლევა და მათი მონაცემები აისახება კვლევის საბოლოო ანგარიშში.



სურ. 1 ქვევრის ნიმუშში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1, ფიჭვი (Pinus); 2. მ ურყანი(Alnus); 3. ხორბალი (Triticum)4. მატიტელა (Polygonum); 5-10. ჩვეულებრივი ვაზი (Vitis vinifera), 11.ავშანი (Artemisia



სურ. 2 - ქვევრის ნიმუშში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთები: 1,2 - სახამებლის ნაშთები; 3, 4, 5 - ფიტოლიტები; 6,7 ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები; 8,9,10 - მწერების ნაშთები



სურ. 3 - ქვევრის ნიმუშში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთები: 1,2 - სელის ქსოვილის ბოჭკოები; 3,4,5 - ბამბის ქსოვილის ბოჭკოები

სარჩევი

Оглавление

გურამ ლორთქიფანიძე – 80. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ადრესი* 5

ელენე გეგეშიძე. *მეცნიერისა და მამულიშვილის გზა* 8

ლ. ახალაია. *ვახტანგ ლიჩელი – 70* 31

დარეჯან კაჭარავა. *ვერცხლის სამკაულის ერთი ჯგუფი ვანის სამარხებიდან* 37

გივი ინანიშვილი. *პალეომეტალურგიის ისტორიულ-ეკონომიკურ ტერმინთა ატრიბუციისათვის* 52

ქეთევან რამიშვილი. *გემა მხედრის გამოსახულებით ჟინვალის სამაროვნიდან* 57

გოგა გაბაშვილი. *ერეკლე მეორეს სახელის დაწერილობა სამეფო ბეჭდებზე* 71

მედეა შეროზია. *ბერძნულ-რომაული ფულის იბერიული იმიტაციების შესახებ* 80

გურამ ფილიპაშვილი. *უძველესი ოლიმპიური თამაშების სამსახსოვრო მონეტები* 88

გოჩა გერაძე, ალექსანდრე ნოეშვილი. *ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის კატალოგი* 97

თემურ ბიბილური, ივანე ბიბილური. *ახალმშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა დიდი მცხეთის არაგვისკარის ადრეშუასაუკუნეების ცენტრალური კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიაზე - 2018* 130